ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 აგვისტო **სამშაბათი** 2011
№ 191 (13488) ფასი 80 თეთრი

გზის დალოცვის დღე

ევრობასკეტზე გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრებმა ისრაელთან სათამაშოდ შინ შემოიარა

12

იგორ კოკოშკოვი

ვიქტორ სანიკიძე (მარცხნივ) და გიორგი ცინცაძე თბილისის აეროპორტში

ვაჟა სიმონიშვილის ფოტოები

შოკი!

გეგუჩაძე გადადგა?

ზეგ, 18 აგვისტოს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე უეფას ევროპის ლიგის 2011-2012 წლის გათამაშების პლეი ოფის პირველი მატჩი "ზესტაფონი" ბელგიურ "ბრიუგეს" მიიღებს.

ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრამდე სამი დღით ადრე, გუშინ საღამოს ინტერნეტ-ფორუმებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ **გია გეგუჩაძე** "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა.

ეჭვები, ჯერ კიდევ "შტურმთან" წაგების შემდეგ, მისმა ავადმყოფობამ გამოიწვია, მაგრამ ბატონი გია გუნდს დაუბრუნდა და ყველაფერი ჩვეულებრივი რეჟიმით გრძელდებოდა. თუმცა, გუშინ მოხდა მოულოდნელი რამ – როდესაც "ზესტაფონის" ფეხბურთელები მშობლიურ არენაზე შეიკრიბნენ, ვარჯიშს გეგუჩაძის თანაშემწე **გია ჭიაბრიშვილი** გაუძღვა, მთავარი მწვრთნელი კი არ ჩანდა.

ასეთი რამ ადრეც მომხდარა, თუმცა კლუბიდან შევიტყვეთ, რომ თითქმის ყველა შეეგუა გეგუჩაძის წასვლას, მაგრამ ეს ამბავი ოფიციალურად არ დასტურდება. ასე რომ, უცნობია, "ბრიუგესთან" გუნდს ვინ მოამზადებს და იმედს ვიტოვებთ, რომ ვითარება კლუბის ინტერესებისთვის სასიკეთოდ შეიცვლება.

კიდევ ერთი ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელ **ბუბა დაუშვილს** უკავშირდება – მან "ზესტაფონთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა და დუბლებში გადაიყვანესო.

ცხადია, ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული შეხვედრების შემდეგ, 22 წლის ფეხბურთელს კარიერის უცხოეთში გაგრძელების ამბიცია გაუჩნდა. ამიტომაც გააფორმა კონტრაქტი საგანგებოდ მასთან თბილისში შესახვედრად ჩამოსულ **დალიბორ ლასინასთან**. ცნობილი ჩეხი მენეჯერი ბევრი ფეხბურთელის აგენტია – **ანდრეა ბარძალის, ტომაშ უიფალუშის, ბონი ვინფრიდის, ჯონ ჰეიტინგას...**

მოკლედ, დაუშვილმა "ზესტაფონთან" კონტრაქტის გაგრძელება არ ისურვა – ხელშეკრულება კი ზამთარში უმთავრდება. რაც შეეხება მის დუბლებში გადაყვანას, მსგავს "განსაწმენდელს" "ზესტაფონში" ადრე მიმართავდნენ და ფეხბურთელებს კონტრაქტის გაფორმების სურვილი უჩნდებოდათ. მაგრამ წასვლის მსურველი ფეხბურთელის ამგვარად გაჩერებას, გვჯერა, "ზესტაფონში" აღარ აპირებენ.

ფაქტია, რომ გუშინ დაუშვილმა ძირითად გუნდში ივარჯიშა, ჩვენ კი იმედი დავიტოვოთ, რომ "ბრიუგესთან" უმნიშვნელოვანეს შეხვედრას გუნდი მომზადებული და მობილიზებული დახვდება და თითოეული ჩვენგანისთვის სასურველ შედეგს მიაღწევს.

მერაბ მამულაშვილი

პაიქიძეს ბრინჯაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სტუმარი

ქართველების ბელგიელი იმედი



მარკ მარტენსი

თბილისს ცნობილი ბელგიელი პროფესორი **მარკ მარტენსი** ეწვია. ვიზიტი საქმიანია - მსოფლიოში ცნობილმა ექიმმა ოპერაცია ჩაუტარა "გაგრას" ნიგერიელ თავდამსხმელ **აბაიომი ოვონიკოკოს**. როგორც ნესი, მარტენსი ფეხბურთის ვარსკვლავებსაც სამშობლოში იბარებს, მაგრამ რაკი ოვონიკოკოს სავიზო პრობლემების გამო ევროკავშირის ქვეყნებში შესვლია არ შეუძლია, პროფესორმა გამონაკლისი დაუშვა და პაციენტს აქ ჩამოაკითხა.

მარტენსმა და მისმა ასისტენტებმა ოვონიკოკოს ოპერაცია გუშინ დილით გაუკეთეს. ნიგერიელს კლინიკიდან დღეს გაწერენ, მოედანს კი იგი დაახლოებით ნახევარ წელიწადში დაუბრუნდება. შეგახსენებთ, აბაიომიმ ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა.

რამდენიმე დღის წინ მარტენსმა ბელგიაში ანალოგიური ოპერაცია ჩაუტარა "ზესტაფონის" მცველ **გიორგი ხიდეშელსაც**, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში "დაჩიასთან" გამართული შეხვედრისას დაშავდა. მარტენსმა მისი დაბრუნების ვადად ასევე ექვსი თვე დაასახელა.

უცხოელი ვარსკვლავების გარდა, დოქტორ მარტენსს საქმე ქართველებთანაც არაერთხელ ჰქონია. რამდენიმე წლის წინ მან ოპერაცია **კახა კალაძეს** გაუკეთა, ამის შემდეგ კი ერთი შეხედვით უიმედო მდგომარეობაში მყოფი **რატი წინამძღვრიშვილი** დიდ ფეხბურთში დააბრუნა.

"ლელოს" ხვალინდელ ნომერში დოქტორ მარტენსის ინტერვიუს წაიკითხავთ.

ლევან ჯანეზაშვილი

● ლეგიონერები

ოთარ მარცვალაძე

აღაპჭაციისთვის დრო მჭირდება

რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურში **ოთარ მარცვალაძემ** "კრასნოდარის" შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა, თუმცა ეს მისი გუნდისთვის მხოლოდ მცირე შვება იყო – "ხარები" (ასე ეძახიან "კრასნოდარს") საკუთარ მოედანზე სამარის "კრილია სოვეტოვთან" 1:2 დამარცხდნენ.

მასპინძლები უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ, მარტო **იური მოვსესიანს** სამჯერ შეეძლო მეტოქის კარის აღება, თავად მარცვალაძემაც ცარიელ კარში ვერ გაიტანა, მშვენივრად თამაშობდა სამარელთა მეკარე **სერგეი ვერემკოც,** ორჯერ ბურთი ძელს მოხვდა და საბოლოოდ, მასპინძლები მხოლოდ პრესტიჟის გოლს დასჯერდნენ, რომელიც შეცვლაზე შესულმა მარცვალაძემ დამატებულ დროში გაიტანა – მან მოვსესიანის გადაცემა დააგვირგვინა.

ეტყობა, კრასნოდარელთა გამოუყენებელი საგოლე მომენტების სიმრავლემ და რუსულ პრემიერლიგაში არსებულმა მოვლენებმა მათი მედია დააეჭვა – ინტერნეტპორტალ "რუსკი ფუტბოლის" ჟურნალისტმა კრასნოდარელთა ერთადერთი გოლის ავტორ მარცვალაძეს პირდაპირ ჰკითხა, მატჩამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეხვედრა გარიგებული იყოო.

"მძიმე შეხვედრა გამოდგა. "კრილია" მთელი მატჩის განმავლობაში დაცვიდან გვეთამაშებოდა. უამრავი მომენტები კი შევქმენით, მაგრამ მხოლოდ გოლების გაშვების შემდეგ. მატჩის მიწურულს გავიტანეთ. ასე რომ, არ გაგვიმართლა. ყველაფერი კარგად იქნებოდა, პირველად ჩვენ რომ გაგვეტანა. გარიგება ზე კი არაფერი მსმენია. პირიქით, მოედანზე მოსაგებად გავედით, ძალიანაც მოვინდომეთ და გამარჯვება გვსურდა. უბრალოდ, არ გამოგვივიდა. ვფიქრობ, ნაგებისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ – მსგავსი რამ ყველა გუნდს მოსდის" – თქვა მარცვალაძემ.

საქართველოს ნაკრების 26 წლის ფორვარდმა ახალ გუნდზე თქვა: *"კრასნოდარელებმა თბილად მიმიღეს, რისთვისაც ყველას მადლობას ვუხდი. გუნდთან შესაგუებლად მცირე დროც მჭირდება და ყველაფერი კარგად იქნება. მართალია, ძირითადში არ ვთამაშობ, მაგრამ, როცა მოედანზე ვარ, ბოლომდე ვიხარჯები, დანარჩენი კი მწვრთნელის გადასაწყვეტია და ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით".*

მარცვალაძეს კითხვა პირად მიზნებზეც დაუსვეს – დასახული გაქვს თუ არა ამოცანად გარკვეული რაოდენობის გოლის გატანა?

"ასეთი მიზანი არ მაქვს. მთავარია, გუნდმა ითამაშოს წარმატებით" - უპასუხა "კრასნოდარის" ქართველმა თავდამსხმელმა.

ისე, ერთ საინტერესო ამბავს გაგიმხელთ: სინამდვილეში მარცვალაძეს მიზანი აქვს და მეგობართან სანაძლეოც დადო – საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი მოგებული იქნება, თუ რუსეთის პრემიერლიგაში 10 გოლზე მეტს გაიტანს.

დღემდე ჩატარებულ თხუთმეტ შეხვედრაში ექვსი გოლი გაიტანა (ხუთი – ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში", ერთიც "კრასნოდარში"), ბომბარდირთა დავაში კიდევ ოთხ ფეხბურთელთან იყოფს მე-7-მე-11 ადგილს და მიზანს უახლოვდება. სხვათა შორის, წლეულს ოთარ მარცვალაძე "ვოლგასა" და "კრასნოდარის" მაისურით უკვე ორჯერ ეთამაშა "კრილია სოვეტოვს" და სამჯერ გაუტანა.

მერაბ მამულაშვილი



ოთარ მარცვალაძე (მარცხნივ)

● სავარაუდო ტრანსფერი

ქიაფაზი რაჟამაშვილით დაინტერესდა

ტონი ადამსი და დავით რაჟამაშვილი

როგორც ცნობილია, 30-31 ივლისს აზერბაიჯანის ქალაქ გაბალაში საერთაშორისო ოთხთა ტურნირი გაიმართა. ყველასათვის მოულოდნელად, სოლიდური გუნდების კამპანიაში ("გაბალა", განჯის „ქიაფაზი", ცხინვალის „სპარტაკი") **გია ცეცაძის** გაწვრთნილმა გორის „დილამ" გაიმარჯვა.

„დილამ" ნახევარფინალში „გაბალა" დაამარცხა (3:1), ტურნირის გამარჯვებული კი „ქიაფაზის" ძლევით (1:0) გახდა.

ფინალში ერთადერთი გოლის ავტორი "დილას" 22 წლის შემტევი ნახევარმცველი **დავით რაჟამაშვილი** ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს - ის „გაბალას" მთავარმა მწვრთნელმა, ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" ყოფილმა კაპიტანმა **ტონი ადამსმა** დააჯილდოვა.

ახლა მთავარზე: ტურნირის დასრულების შემდეგ აზერბაიჯანის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული განჯის „ქიაფაზის" თავკაცებმა გორელ კოლეგებთან მოლაპარაკება წამოიწყეს - მათ რაჟამაშვილის ტრანსფერი სურდათ, მაგრამ უარი მიიღეს.

"აზერბაიჯანელები მართლაც დაინტერესდნენ, მაგრამ ტურნირზე გამგზავრებამდე "დილასთან" ახალი ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და გუნდი უფასოდ არ გამიშვებდა. როგორც ვხვდები, კლუბები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ, მაგრამ მიხარია, მშობლიური ქალაქის კლუბში რომ ვთამაშობ" – გვითხრა რაჟამაშვილმა.

გორელთა უარი არც არის გასაკვირი – რაჟამაშვილი გუნდის ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშეა, გორელებმა გადათამაშებაში მისი დუბლით დაამარცხეს "სამტრედია" (2:0) და მოიპოვეს უმაღლესის საგზური. ცხადია, სახელდახელოდ შეკონწიწებული შემადგენლობიდან ასეთი მოთამაშის გაშვება "დილას" დაასუსტებდა. ისედაც, გამართლებული არ იქნებოდა ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშის აზერბაიჯანში გაშვება.

საქართველოს ჩემპიონატი განახლდა, რაჟამაშვილმა კი ორივე შეხვედრა ჩაატარა. იმის მიუხედავად, რომ "დილამ" ქულაც ვერ მოიპოვა და გულშემატკივარი ჯერ კარგად არ იცნობს, ყველა აღნიშნავს - გორელთა ახალგაზრდა ფეხბურთელი ინდივიდუალური და ტექნიკური არსენალით ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია.

"სამწუხაროა, რომ ორ ტურში ერთი ქულაც ვერ მოვიპოვეთ, არადა, ორივეს მოგება შეგვეძლო. ცუდი სტარტის მიუხედავად, მე მომწონს ის ფეხბურთი, რასაც გია ცეცაძე "დილას" ათამაშებს. ის გვთხოვს ერთი შეხებით, სწრაფ და აგრესიულ თამაშს. სამწუხაროდ, ჯერ არ გვიმართლებს, მაგრამ სულ ასე არ გაარძელდება, ადრე თუ გვიან შედეგი გვექნება. დარწმუნებულიც ვარ, ხუთეულისთვის ბრძოლა შეგვიძლია, რადგან "დილაში" საინტერესო მოთამაშეები შეიკრიბნენ, რომელთაც სტადიონზე მაყურებლის მოზიდვა შეუძლიათ" – ამბობს "დილას" ერთ-ერთი ლიდერი.

ცოტა უცნაურია, რომ ამ თვალშისაცემი ნიჭის მოთამაშეს არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია: *"არათუ არ მითამაშია, ნაკრების შეკრებაზეც არასოდეს ვყოფილვარ. შესაძლოა, იმიტომაც გორის "დილას" უმაღლესში გუნდი არ ჰყავდა და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. სხვათა შორის, "დილამდე" ცხინვალის "სპარტაკის" დუბლებში მეორე ლიგაში ვთამაშობდი. მერე ჩემი ქალაქის გუნდი პირველ ლიგაში გადავიდა და მეც იქ ვამჯობინე თამაში".*

მერაბ მამულაშვილი

ლევან მჭედლიძე

მინდა, ესპანეთს გავუგანო!

ოთარ გაბელიამ ორჰეიში მოლდოვას ახალგაზრდულ ნაკრებთან 10 აგვისტოს მატჩში **ლევან მჭედლიძე** გამოიძახა, მაგრამ "ემპოლის" 21 წლის თავდამსხმელი ჯვაროსნებს ვერ დაეხმარა. ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, იტალიური კლუბის ფეხბურთელი ფეხის ტკივილმა შეაწუხა და გაბელიამ მისი დასვენება გადაწყვიტა.

მიუხედავად იმისა, რომ მჭედლიძემ იტალიიდან ჩამოსვლა ვერ მოახერხა, "ემპოლის" შემადგენლობაში ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა – ჯერ დაბალლიგელ "კარარეზესთან" შეცვლაზე, წინა ოთხშაბათს კი "ვიარეჯოსთან" ძირითად შემადგენლობაში.

ამის გამო ბევრმა იფიქრა ის, რამაც ლევანი გაანაწყენა: თითქოს, ახალგაზრდულში თამაშს თავს არიდებს ან უკადრისობს. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი მინიშნებები აქა-იქ ჩნდებოდა და ლევანმა გვითხრა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ცილისწამებაა და სხვა არაფერი.

"კარარეზესთან" მოედანზე შესვენების შემდეგ შევედი, მაგრამ ტრავმის გამო მალევე შემცვალეს. მართალია, სერიოზული და ზიანება არ აღმომაჩნდა, მაგრამ შემდეგ შეხვედრაშიც მხოლოდ ტაიმი ვითამაშე და მწვრთნელმა დამასვენა. ყველაზე გულდასაწყვეტი ისაა, რომ მე ჩემი გამჭირვებია, ტრავმის მორჩენას ვცდილობ და ვიღაცები ფიქრობენ, თითქოს ნაკრებში ჩამოსვლა არ მინდა და მიზეზებს ვიგონებ. მთავარია, რომ ოთარ გაბელიამ ყველაზე უკეთ იცის, რაც მჭირს და შეკრებაზე რატომ ვერ ჩამოვედი" – გვითხრა მჭედლიძემ.

სხვათა შორის, გაბელიამ მართლაც თქვა, რომ ესაუბრა მჭედლიძეს, შეიტყო მისი ტრავმის შესახებ და ესპანეთთან პირველი სექტემბრისთვის მომზადება და დარჩენა თავად ურჩია. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისთვის სრული შემადგენლობით შეკრება ევროპის ჩემპიონატის მატჩებისთვის არის აუცილებელი, ამხანაგურში კი გასასინჯ მოთამაშეებზე დაკვირვება უფრო მნიშვნელოვანია. მჭედლიძის პოტენციალი კი ყველასათვის ცნობილია და ასეთ პრობლემურ შემთხვევებში მწვრთნელები ფეხბურთელების მდგომარეობას ანგარიშს უწევენ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კლუბებისა და ეროვნული ფედერაციების ინტერესების კონფლიქტი. გამონაკლისი არც "ემპოლისა" და ჩვენი ფედერაციის ურთიერთობაა - კლუბი მაქსიმალურად ცდილობს, მჭედლიძე ნაკრებში არ გაუშვას. ასევე იყო **ირაკლი შეყილაძის** შემთხვევაშიც, რომელიც "ემპოლიში" გამოდის. მოთამაშეებს ლიმიტირებულად, წელიწადში შვიდჯერ აძლევენ ნაკრებში წასვლის უფლებას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არაა გამორიცხული, მჭედლიძე მალე ეროვნულ ნაკრებშიც ვიხილოთ, მისი ტრავმაც გასათვალისწინებელი იყო, ლიმიტიც და გამოძახებას მოერიდნენ.

მჭედლიძე ამბობს, რომ ევროშესარჩევის მატჩებისთვის განსაკუთრებული მონდომებით ემზადება.

"ესპანეთთან მატჩი ნებისმიერი მოთამაშისთვის დიდი სტიმულია, მაგრამ პირადად მე ასეთი მოლოდინი და სტიმული ცხოვრებაში არასოდეს მქონია. საერთოდ, მცირე ტრავმა მაწუხებს, მაგრამ ისეთი არაფერია, 1 სექტემბრამდე ვერ მოვმჯობინდე. სწორედ სანაკრებო მატჩისთვის უკეთ მომზადების მიზნით გამოვტოვე იტალიის თასის მეორე რაუნდის მატჩი "პიაჩენცასთან", რომელიც კვირას 14 აგვისტოს ჩატარდა. თავს ვუფრთხილდები და ამიტომაც ვუთხარი გაბელიას, რა მდგომარეობაც მქონდა და მოლდოვასთან სათამაშოდ აღარ ჩამოვედი, რადგან ახლა მთავარია საუკეთესო ფორმაში შევხვდე სექტემბრის მატჩებს. ესპანეთთან დაპირისპირება სატურნირო თვალსაზრისითაც ბევრს ნიშნავს და ჩვენი ნაკრების იმიჯისთვისაც. ყველას გასაგონად ვიტყვი, რომ ჩემზე მეტად არავის სურს ნაკრებში ვითამაშო, თუნდაც ასაკობრივში – საქართველოს ფორმით თამაში ჩემთვის ყოველთვის იყო და არის ყველაზე პრესტიჟული" – ამბობს მჭედლიძე.

"ემპოლის" ქართველი თავდამსხმელი იმედიანად არის: *"ესპანეთს ძლიერი ნაკრებები ჰყავს, მაგრამ ჩვენს გუნდში ნიჭიერი თაობა შეიკრიბა და მიმაჩნია, თუ მოვინდომებთ და საკუთარ შესაძლებლობებს ვირწმუნებთ, მოგება ესპანეთთანაც შესაძლებელი იქნება. პირველ ტურში ხომ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ხორვატიას მოვუგებდით, მაგრამ სამი ქულა წამოვიღეთ. მე კი ძალიან მინდა, ესპანელებთან ვითამაშო და გავიტანო. იმედია, მანამდე კარგად ვიქნები".*

მერაბ მამულაშვილი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

U 21

ესპანეთის ქუთაისში ვუმასპინძლებთ?

1 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ესპანეთისას უნდა უპასპინძლოს, მაგრამ სად, ეს ჯერ კიდევ უცნობია. ჩვენდა გასაკვირად, ბოლო რამდენიმე დღეა გაისმოდა ხმები, რომ შესაძლოა შეხვედრა ქუთაისში ჩატარდეს.

თავიდან ეს მორიგ ჭორად მივიჩნიეთ, მაგრამ გუშინ ახალგაზრდული ნაკრების წევრებსაც იგივე კითხვა რომ გაუჩნდათ, ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილს** დავუკავშირდით და აღმოჩდა, რომ ეს ვარიანტი განიხილება და შესაძლოა, საქართველო-ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩს მართლაც ქუთაისმა უმასპინძლოს.

"დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული სტადიონზე ეს შეხვედრა ვერ ჩატარდება, რადგან აგვისტოს ბოლოს რემონტისთვის დაიხურება და საფარს დაადგებენ. ამის გამო, ფედერაცია მატჩის ქუთაისში ჩატარებაზე ფიქრობს. ესპანელების მასპინძლობა გამორიცხულია "მიხეილ მესხზეც", რადგან ახალგაზრდულების მატჩი 1 სექტემბერს არის დაგეგმილი, ეროვნულმა გუნდმა კი ლატვიას, წესით, 2 სექტემბერს

სწორედ ვაკის არენაზე უნდა უმასპინძლოს, მატჩის წინა დღეს კი ორივე გუნდმა მატჩის გასამართ სარბიელზე უნდა ივარჯიშოს. ასე რომ, "მიხეილ მესხზე" ესპანელების მიღება შეუძლებელია.

ხვალ ესპანელები გვესტუმრებიან და ქუთაისში სასტუმროებსა და სტადიონს დაათვალიერებენ. შეიძლება ითქვას, ახლა მათ პასუხზეა დამოკიდებული, შედგება თუ არა შეხვედრა ქუთაისში. თუ უარს იტყვიან, ალტერნატიული ვარიანტის მოძებნა მოგვიწევს" – გვითხრა დვალიშვილმა.

ჩვენი გასარემონტებელი თუ რემონტში მყოფი სტადიონების გამო ასევე უცნობია, სად მიიღებს ეროვნული ნაკრები ლატვიას.

"23 აგვისტოს გვესტუმრება უეფას სტადიონებისა და უსაფრთხოების კომიტეტის წევრი, ნორვეგიელი ტრიგვე ბორნო, რომელიც უეფამ 25 აგვისტოს თბილისში "დინამოსა" და აეკ-ის მატჩის დელეგატადაც მოავლინა. ის დაათვალიერებს "მიხელ მესხზე" მიმდინარე სამუშაოებს და იტყვის, ვუმასპინძლებთ თუ არა ვაკის სტადიონზე ლატვიას. ფედერაციის თხოვნითა და შუამდგომლობით, ბორნო ზესტაფონის სტადიონსაც დაათვალიერებს და შეაფასებს".

მერაბ მამულაშვილი

ტრანსფერი

კანდელაკმა სკონტოსთან 3-წლიანი გააფორმა

21 წლის **ივანე კანდელაკი**, რომელმაც გასული სეზონი რუსთავის "ოლიმპში" ჩაამთავრა, კარიერას ლატვიაში გააგრძელებს. მან რიგის "სკონტოს" შემადგენლობაში ერთი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და ლატვიის ყველაზე ტიტულოვან კლუბთან კონტრაქტიც გააფორმა. კლუბი მას მალე განაცხადში შეიყვანს და მიმდინარე კვირაში მის დებიუტსაც უნდა ველოდოთ. სატელეფონო საუბარში ეს თავად ფეხბურთელმა გვითხრა.

"კალინინგრადის "ბალტიკას" 2:0 მოვუგეთ. ამ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ვიყავი და 70 წუთის განმავლობაში ვითამაშე. "სკონტოს" მთავარ მწვრთნელ მარიან პახარსს ჩემი თამაში მოეწონა და ეს არც დამიმალა.

"სკონტოსთან" 3-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე და 17 აგვისტოს "ელგავას" წინააღმდეგ თუ არა, 21-ში ლიეპაიას "მეტალურგსთან" მაინც ვითამაშებ. 13-ში "იურმალას" წინააღმდეგაც შეიძლებოდა მეთამაშა, მაგრამ კლუბის განაცხადში შესაყვანად გარკვეული ფორმალობებია მოსაგვარებელი. ამასთან, ცოტა ნელიც მტკიოდა და პახარსმა მითხრა, ნუ იჩქარებ, ტკივილგამაყუჩებელი ნემსითაც არ ითამაშო, ტკივილი მოირჩინე და უკეთესი დებიუტი გექნებაო",

ერთი სიტყვით, "სკონტოში" კარგად მიმიღეს, ჩემზე დიდ იმედს ამყარებენ, მწვრთნელებისგან და კლუბის ხელმძღვანელობისგან დიდ ნდობას ვგრძნობ. ეს კი ფეხბურთელისთვის ცოტას ნამდვილად არ ნიშნავს. "სკონტოში" კარგად უნდა მოვემზადო. ჩემი მიზანი ახალგ ზრდულ ნაკრებში თამამია და მჯერა, ამ ჩანაფიქრს განვახორციელებ", – გვითხრა კანდელაკმა.

რიგელებმა მარჯვენა მცველი **იურის ლაიზანსი** ვორონეჟის "ფაკელში" გაასხვისეს და კანდელაკს სწორედ ლაიზანსის შემცვლელად მოიაზრებენ.

ლევან ჯანეზაშვილი

ინტერვიუ

მალხაზ ჟვანია

მერანი დაკომპლექტდა, მარტვილში გუნდი ქომაგთან ერთად იმარჯვებს

მარტვილის "მერანმა" უმაღლეს ლიგაში სადებიუტო მატჩი წარუმატებლად ჩაატარა – სტუმრად "გაგრასთან" 0:3 წააგო. სამაგიეროდ, მეორე ტურში მალხაზ ჟვანიას გუნდმა დაამტკიცა, რომ საშინაო მატჩში საკუთარი ძალის სულ სხვა დონეზე წარმოჩენა შეუძლია. "სპარტაკის" 2:0 დამარცხებამ მიგვანიშნა, რომ მარტვილელებმა საკუთარ სტადიონზე შესაძლებელია არაერთ მეტოქეს შეუქმნან პრობლემა.

"მერანის" მთავარ მწვრთნელს მალხაზ ჟვანიას განვლილ შეხვედრებსა და გუნდის მიზნებზე ვესაუბრეთ.

- როგორ აფასებთ ჩემპიონატის სტარტს?

- ერთი მატჩი წავაგეთ, მეორე კი მოვიგეთ, რაც უმაღლესი ლიგის დებიუტანტი გუნდისთვის ნორმალური შედეგია. მეტიც შეგვეძლო, მაგრამ ახლა ვეღარაფერს შევცვლით და მხოლოდ წინ უნდა ვიყუროთ, რათა მომავალ ტურებში ხარისხიანად და შედეგიანად ვითამაშოთ.

- "გაგრასთან" განადგურების მიუხედავად, "მერანი" უშანსოდ არც იმ მატჩში ყოფილა.

- გეთანხმებით. ის თამაში კარგად გავაანალიზეთ და დავასკვენით, რომ მინიმუმ არწაგება შეგვეძლო. მეტოქემ საკუთარი საგოლე შანსებით მშვენივრად ისარგებლა, ჩვენ კი რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან და ანგარიშიც ამან განაპირობა. გამოცდილება ძალიან ბევრს ნიშნავს, უმაღლეს და პირველ ლიგებს შორის უზარმაზარი სხვაობაა და ახალ დონესთან შესაგუებლად ცოტა დრო დაგვჭირდება. უმაღლეს ლიგაში "მერანიც" პირველად თამაშობს და აქ ჩემი სამწვრთნელო დებიუტიც შედგა.

- შინაური კედლების ფაქტორი კი კარგად გამოიყენეთ.

- მარტვილელ გულშემატკივრებს ჩვენი გუნდის წარმატებაში ყოველთვის განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდათ და ასე იყო ახლაც. ბიჭებმაც ძალიან მოინდომეს, მაგრამ ქომაგთა ერთგულმა მხარდაჭერამ ხელი ძალიან შეგვიწყო. ამისთვის ამ ხალხს დიდ მადლობას ვუხდი.

- შეესაბამება თუ არა უმაღლესი ლიგის დონეს "მერანის" დღევანდელი შემადგენლობა?

- ამას დრო გვიჩვენებს, თუმცა ვფიქრობ, საკმარისად ძლიერი კონტინგენტი გაგვაჩნია, რომ უმაღლეს ლიგაში მყარად დავმკვიდრდეთ. გუნდი ყველა რგოლში თანაბრადაა დაკომპლექტებული, სასწავლი ბევრი გვაქვს, მაგრამ სერიოზული ხარვეზები არც ერთ რგოლს არ აქვს.

- "სპარტაკთან" მატჩში "მერანის" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა გივი დიდავას.

- მოხარული ვარ, ასეთი გამოცდილი და მაღალი დონის ფეხბურთელის დამატება რომ შევძელით. დიდავა მშვენიერ ფორმაშია და ახალგაზრდა თანაგუნდელები მისგან ძალიან ბევრს ისწავლიან.

- უახლოეს დღეებში კიდევ ვინმეს დამატებას ხომ არ აპირებთ?

- არა, გუნდის დაკომპლექტება დავასრულეთ და ფონს გასვლას არსებული კადრებით შევეცდებით.

- როგორია "მერანის" სათადარიგოთა სკამი და არის თუ არა კონკურენცია?

- ამითაც კმაყოფილი ვარ. 22 კვალიფიციური ფეხბურთელი გვყავს და თითოეულ პოზიციაზე პრეტენზიას ორი ძლიერი მოთამაშე აცხადებს.

- ალბათ, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზანი გაქვთ.

- რა თქმა უნდა. საკუთარ შესაძლებლობებს ობიექტურად ვაფასებთ და ამ სეზონში მიზნად მხოლოდ უმაღლეს ლიგაში დარჩენას ვისახავთ. კარგი იქნება, თუ საუკეთესო რვა გუნდში მოვხვდებით და ჩემპიონატის მეორე ეტაპზე უძლიერესთა შორის ვითამაშებთ. ნებისმიერ მეტოქეს დიდ წინააღმდეგობას გავუწევთ და ფარ-ხმალს წინასწარ არავისთან დავყრით. მომავალში კი უფრო მაღალ მიზნებსაც დავისახავთ.

- კლუბის ფინანსური მდგომარეობა ძველებურად სტაბილურია?

- ამ მხრივაც ყველაფერი წესრიგში გვაქვს. "მერანის" განვითარება შეუფერხებლად, გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

- მარტვილის სტადიონის რეკონსტრუქციის პროცესი რა ეტაპზეა?

მალხაზ ჟვანია (შუაში)

- ჯერჯერობით, სამუშაოები შეჩერებულია და უახლოეს საშინაო მატჩებს მარტვილში ჩავატარებთ, მალე კი წესით, რეკონსტრუქციაც უნდა განახლდეს. ამჯერად კლუბსა და სამუშაოების მწარმოებელ კომპანიას შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რომელსაც დადებითი შედეგი უნდა მოჰყვეს.

ლევან ჯანეზაშვილი

თავისუფალი ბრძოლა

ნერვიული რედაქციას

პატივცემულო რედაქცია!

მალე ევროპის საკლუბო ტურნირში ერთმანეთს ორი მართლმადიდებლური ქვეყნის საფეხბურთო გუნდი შეხვდება. ათენის აეკ-ი და „დინამო" (თბილისი).

სათქმელი პირდაპირ ვთქვათ:

საქართველომ დამოუკიდებლობა ფეხბურთით დაიწყო (უპრეცედენტო ფაქტი ისტორიაში!) 1990 წლის 30 მარტს. სწორედ დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნით, სსრკ-ს ჩემპიონატიდან გამოსვლით და ქვეყნის სუვერენიტეტის გამოცხადებით გახდა შესაძლებელი ევროპისა და მსოფლიოს ასპარეზზე გასვლა.

ბუნებრივია, დამოუკიდებელ საქართველოში ვერ დაგვამკვიდრებდა კლუბების ისეთი სახელწოდებები, როგორებიცაა ოკუპანტთა სკა, ჯალათთა „დინამო" ან მონათა „შრომითი რეზერვები". გაგახსენებთ პირველი ეროვნული ჩემპიონატის გუნდების სახელებს: „იბერია," „ეგრისი", „შევარდენი"...

ბუნებრივია, თავისუფლებააღდგენილ ქვეყანაში სპორტსმენების (ანუ ახალგაზრდების) აღზრდის საქმე უმთავრესი საზრუნავი გახდა საზოგადოებისთვის და ამ საქმეში სპორტულ იდეოლოგიასა და სიმბოლიკას მამულიშვილური მნიშვნელობა დაეკისრა. ეს ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეა.

სხვათა შორის, ეროვნული განსაცდელის ჟამს, ზემოთქმულს მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ამის შესანიშნავი მაგალითია ჩვენი მეტოქეთა გუნდი.

რა ქნეს მეოცე საუკუნის ოციან წლებში სტამბულიდან დევნილმა ბერძნებმა, ეროვნული კატასტროფის შემდეგ (მათ თურქებთან ომი წააგეს). რა ქნეს და 1924 წელს ათენში დააარსეს კონსტანტინეპოლის ათლეტური კლუბი (აეკ-ი). შავ-ყვითელი ბიზანტიური ფერებითა და ორთავიანი არწივით გერბზე, სხვათა შორის ოსმალთა ჯარს კურატორობდა ჩეკას საუწყებო კლუბის შემქმნელი ქვეყნის სარდალი ფრუნზე.

რა ქნეს პუტჩის შემდეგ საქართველოს სპორტმესაჭქებმა? რა და, მოსპეს კლუბების ეროვნული სახელები, პირველ რიგში „იბერია". ახალგაზრდა გულშემატკივართა ფანკლუბს კი ძერჟინსკისთვის ყველაზე საამო სკანდირება დაუწესეს. დღეს „დინამო" (თბილისის) სიმბოლიკა საოცარია, — ვჩკა, ოგპუ, ენკავედე, კაგებეს „ტრადიციების" მატარებლებს გულზე L და D-ს მაგივრად ჯვარი (!) დაახატეს. ეს იგივეა (ღმერთო, მაპატიე!) ეკლესიის გუმბათს ხუთქიმიანი სოლომონის ვარსკვლავი დაადგა!

ცნობა „ტრადიციების" მოყვარულთათვის: იმავე აეკ-ის კალათბურთელებმა (ეთნიკურად მხოლოდ ბერძნებმა) 1968 წელს ევროპის საკლუბო თასი მოიგეს. და ეს გააკეთეს კონსტანტინეპოლის ათლეტთა კლუბის დროშის ქვეშ და არა „იანიჩარის", „ყიზილბაშისა" თუ კიდევ სხვა დამპყრობელი ქვეყნის შინაგან საქმეთა უწყების ეგიდით.

აი, ამ ტრადიციებს გაუფრთხილდებიან ის სპორტსმენები და მათი ქომაგები, რომელთაც ვიხილავთ სტადიონის ტრიბუნებზე და ტელეეკრანზე.

ყოჩაღ ბერძნებო! აი, თორნიკე ერისთავის ქვეყანაში კი, ჯერჯერობით ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი.

პატივისცემით

ალექსანდრე ულენტი

მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 56 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა კასპის საფეხბურთო კლუბ „განთიადის" ყოფილი პრეზიდენტი

ვალერი (ცანცულა) ტერტერაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ჩემპიონატი | **უმაღლესი ლიგა. II ტურის მიმოხილვა**

უკომპრომისო დასაწყისი

ზესტაფონი-კოლხეთი 1:1

კოლხური მოტივები

ახალი სეზონი მართლაც უკომპრომისოდ დაიწყო — ორ ტურში მხოლოდ ორი საყაიმო ანგირიში დაფიქსირდა! აღსანიშნავია, რომ ერთადერთი გუნდი ფოთის „კოლხეთია“, თავისი ორივე მატჩი ფრედ რომ ითამაშა; თანაც, ფოთელები ზედიზედ ორი ტურია სიურპრიზს გვთავაზობენ და ჯერ რუსთავიდან წამოიღეს დამსახურებული ქულა, ახლა კი - ზესტაფონიდან! ჰოდა, რა გასაკვირი იქნებოდა, ამჯერად „ტურის მწვრთნელად“ „კოლხეთის“ გამოცდილ დამრიგებელს **სოსო ფილიას** თუ დავასახელებდით - ფოთელებმა მოქმედ ჩემპიონთან მატჩშიც ღირსეულად ითამაშეს და, აქედან გამომდინარე, უკვე გვიჭირს კიდეც ამ გუნდის ნაჩვენებ შედეგს სენსაციური ვუწოდოთ. რაც მთავარია, „კოლხეთმა“ ორივე ქულა „ზღაპარში“ კი არ მოიპოვა (ანუ, მთელი გუნდით დაცვაში არ იყო „ჩამჯდარი“), არამედ ძლიერ მეტოქეებს არ შეუშინდა და მწვავე კონტრშეტევებით აქეთ უქმნიდა პრობლემებს. ჩინებული მატჩი ჩაატარა ფოთელთა გუნდის ახალწვეულმა, 27 წლის **ლადო ნადირაშვილმა:** „კოლხეთის“ მეკარემ საკუთარი გუნდი არაერთხელ გადაარჩინა; რაც შეეხება მეორე ახალწვეულს, 27 წლის **ლაშა ქებაძეს,** ამ ნახევარმცველმა შეცვლაზე შემოსულმა შეძლო გოლის გატანა. სტუმართა გუნდში კიდევ ერთი ფეხბურთელი გვინდა აღვნიშნოთ: 20 წლის **ლაშა გვალიამ,** წინა ტურის მსგავსად, ახლაც ჩინებულად ითამაშა და „ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც“ ზედიზედ მეორედ მოხვდა. რა თქმა უნდა, „კოლხეთის“ წარმატების დაკნინებას არ ვაპირებთ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ზესტაფონი“ აშკარად ექსპერიმენტული შემადგენლობით ასპარეზობდა; იმის გარდა, რომ „ზესტაფონს“ დისკვალიფიცირებული და ტრავმირებული ფეხბურთელები (**თორნიკე აფციაური, ჯაბა დვალი, ნიკოლოზ გელაშვილი, გიორგი ხიდეშელი**) აკლდა, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** რამდენიმე წამყვან ფეხბურთელსაც დასვენების საშუალება მისცა - წინ ხომ ევროპის ლიგის პლეი ოფის მატჩია ბელგიურ „ბრიუგეთან“...

მარტვილი ისტორიაში

მეორე ტურში რამდენიმე განსაკუთრებული ფაქტი მოხდა და შევეცდებით, არც ერთი გამოგვრჩეს; „პირველობა“ კი ამ შემთხვევაში მარტვილის „მერანის“ გამარჯვებას მივაკუთვნეთ: უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა ხომ პირველ წარმატებას მიაღწია, ცნობისათვის: ამ სეზონის დაწყებამდე (ანუ, 1990 წლიდან დღემდე) უმაღლეს ლიგაში 48 გუნდს უასპარეზია და 49-ეს დებიუტიც ვნახეთ! ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი განწყობა იქნებოდა მარტვილის სტადიონის ტრიბუნებზე: ახალგაზრდა მწვრთნელის, **მალხაზ ჟვანიას** დამოძღვრილმა გუნდმა ამბიციური მიზნების მქონე „სპარტაკის“ კარში ორი უპასუხო გოლი გაიტანა და უმაღლეს ლიგაში პირველი და ისტორიული გამარჯვება მოიპოვა! მასპინძელთა შორის თავი გამოიჩინეს 29 წლის **გიორგი მანწკავამ** (უმაღლეს ლიგას გარკვეული პაუზის მერე რომ დაუბრუნდა) და გუნდის კოტ'დივუარელმა ლეგიონერმა, 20 წლის **ტაპემ**. აქვე, „მერანის“ ცნობილი ახალწვეულიც უნდა ვახსენოთ: 35 წლის **გივი დიდავა** საქართველოს ჩემპიონატში მოქმედ ფეხბურთელთა შორის ყველაზე ტიტულიანია; ამ უნივერსალ ფეხბურთელს „ტორპედოს“, „დინამოსა“ თუ „ამერის“ შემადგენლობაში არაერთი ტიტული მოუგია, გარკვეული პერიოდი „სპარტაკსა“ და „სიონშიც“ უასპარეზია.

დაბრუნებები...

სამი წელიწადი და სამი თვე, - აი, ამდენი ხნის შემდეგ ჩაატარა გორის „დილამ“ უმაღლეს ლიგაში საშინაო შეხვედრა; იმ სამი წლისწინანდელი შემადგენლობიდან „დილას“ მხოლოდ სამი ფეხბურთელიღა შემორჩა: 24 წლის **ნოდარ ნოზაძე,** 22 წლის **ნიკოლოზ სადაღაშვილი** და 21 წლის **ილია ლომიძე;** თუმცა, ამათ გარდა **გიორგი ცეცაძის** გუნდში მრავლად არიან ისეთი ფეხბურთელებიც, უმაღლეს ლიგაში სხვადასხვა კლუბის შემადგენლობაში არაერთი მატჩი რომ ჩაუტარებიათ. „დილამ“, ისე როგორც პირველი ტურის შეხვედრაში, ახლაც არ დატოვა ურიგო შთაბეჭდილება, მაგრამ კვლავაც დამარცხდა, თუმცა, მეტოქის ფაქტორიც უნდა ვახსენოთ - ქუთაისის „ტორპედოს“ ამ სეზონში სერიოზული გეგმები აქვს და **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდმა უმძიმეს ბრძოლაში შეძლო 3 ქულის მოპოვება. სტუმრები, ფაქტობრივად, მთელი მატჩის განმავლობაში კაცნაკლული თამაშობდნენ (შეხვედრის დასაწყისში ცენტრალური მცველი **მიხეილ ჩხარტიშვილი** გააძევეს მოედნიდან), თუმცა ხან მასპინძლები სცოდავდნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ხან კი „ტორპედოს“ 27 წლის მეკარე **ომარ მიგინეიშვილი** თამაშობდა უშეცდომოდ. მატჩის ბედი კი ქუთაისელთა გამოცდილი ახალწვეულის, 31 წლის **დავით ბოლქვაძის** ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა და ახლა ქუთაისელები მომავალი ტურის მოლოდინში არიან: კვირას, 21 აგვისტოს „ტორპედო“-„დინამოს“ დაპირისპირება გველოდება!

დაბოლოს, კიდევ ერთ დაბრუნებაზეც: **კობა ჟორჟიკაშვილს** საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებთან არაერთი წარმატებისათვის მიუღწევია, თუმცა ამ სპეციალისტს სხვადასხვა დროს უმაღლესი ლიგის გუნდებიც გაუწვრთნია; და აი, სამწლიანი პაუზის შემდეგ ჟორჟიკაშვილი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა და პირველსავე მატჩში გაიმარჯვა: „მეტალურგმა“ უპრობლემოდ შეძლო „ბაიას“ დამარცხება. გუშინაც აღვნიშნეთ და დღესაც გავიმეორებთ, რომ „მეტალურგის“ წარმატება დიდად განაპირობა გუნდის ლიდერების, 26 წლის **ირაკლი მოდებაძისა** და მისი თანატოლის **რევაზ გეწაძის** აქტიურმა და, რაც მთავარია, შედეგიანმა თამაშმა. თუმცა, ნურც ის ფაქტი დაგვავიწყდება, რომ ორი ტურის შემდეგ ერთადერთი „მეტალურგია“, საკუთარ კარს მშრალად რომ ინახავს: ეს კი, რაღა თქმა უნდა, გუნდის გამოცდილი მეკარის, 31 წლის **ზურაბ ბათიაშვილის** დამსახურებაა.

ორი პლიდერი

ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ორი გუნდი ასპარეზობს და „დინამოსგან“ ასეთი წარმატებული სტარტი თუ ჩვეულებრივ მოვლენად უნდა შეფასდეს, აი, „გაგრამ“ სასიამოვნოდ გაგვაკვირვა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა **ანატოლი პისკოვეცის** გუნდის სუპერშედეგიანი თამაში: „გაგრამ“ ორივე შეხვედრაში მეტოქეთა კარში 3-3 გოლის გატანა მოახერხა, ხოლო 20 წლის **შალვა კვანტალიანი** 3 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა.

... წინა ტურში ორი „ესპანური“ გოლი ვიხილეთ: 30 წლის **ჩისკომ** და 23 წლის **კოტომ** საქართველოს ჩემპიონატში დებიუტი შედეგიანი დარტყმებით აღნიშნეს; ასევე წარმატებული და შედეგიანი დებიუტი ჰქონდა „დინამოს“ კიდევ ერთ ესპანელ ახალწვეულს, 28 წლის **მიკელე ალვაროს,** „ვიტ ჯორჯიასთან“ შეხვედრის მიწურულს ეფექტური გოლი რომ გაიტანა! II ტურის ცენტრალურ დაპირისპირებად, რაღა თქმა უნდა, ეს მატჩი მიიჩნეოდა და **ალექს გარსიამ** თავის პირველ „თბილისურ დერბიში“ დამსახურებულად გაიმარჯვა. სხვათა შორის, „დინამოს“ ესპანელი თავკაცი ამ ბოლო დროს თამამად მიმართავს როტაციას: **ჯაბა ჯიღაური, ნიკა კვეკვესკირი** და **რობერტინიო** განაცხადშიც არ იყვნენ, **გიორგი კახელიშვილი** კი შეცვლაზე შემოვიდა. გარსიას მიერ შემადგენლობის ვარირება კი აბსოლუტურად გასაგებია: ათი დღის განმავლობაში „დინამომ“ ევროპის ლიგასა და საქართველოს ჩემპიონატში 4 მატჩი უნდა ჩაატაროს (ბერძნულ აეკ-თან სტუმრად და შინ, პლუს ქუთაისის „ტორპედთან“ და „ზესტაფონთან“)...

გია ტუხაშვილი

დინამო-ვიტ ჯორჯია 2:0. მიკელე ალვარომ (ბურთით) დებიუტი გოლით აღნიშნა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მანჩესტერ იუნაიტედი

კეთილი იყოს შენი მოგზაურობა ინგლისში, დავიდ!

20 წლის ესპანელი მეკარე, **დავიდ დე ხეა** ისევ გადარჩა — მისი შეცდომის გამო „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გოლი კი გაუშვა, მაგრამ გუნდმა კვლავ არ წააგო. მოგეხსენებათ, მადრიდის „ატლეტიკოს“ ყოფილი გოლკიპერი „იუნაიტედს“ 18 მილიონი ფუნტი ანუ 20,5 მილიონი ევრო დაუჯდა, მაგრამ მან, ახალი გუნდის შემადგენლობაში, პირველ ორ შეხვედრაში, სეროზული შეცდომები დაუშვა, რის გამოც ინგლისის ჩემპიონებმა გოლები გაუშვეს. ისევე, როგორც ერთი კვირის წინ, პირველი შეცდომის შემდეგ, დე ხეას ამჯერადაც მწვრთნელი, სერ **ალექს ფერგიუსონი** „გადაეფარა“. მანამდე კი, მოედანზე, ესპანელის მდგომარეობიდან გამოყვანა 25 წლის **ეშლი იანგმა** იკისრა — მან „ვესტ ბრომვიჩთან“ ზოგადადაც კარგად ითამაშა, მაგრამ, რაც მთავარია, „იუნაიტედის“ გამარჯვების გოლი (**სტივენ რიდის** ავტოგოლი) სწორედ მის აქტიურობას მოჰყვა.

გნახოთ რა თქვა ფერგიუსონმა ამ ჯერზე:

„კეთილი იყოს მისი მობრძანება ინგლისში. დავიდს შეინ ლონგის დარტყმული, რასაკვირველია, უნდა მოეგერიებინა. მეორე ტაიმში კი მას ფიზიკური ორთაბრძოები მოუწყვეს და, ვფიქრობ, მსაჯს გოლკიპერის დაცვა მართებდა.

ახლა სხვა გზა არ არის, დე ხეამ შექმნილი მდგომარეობა უნდა გადაიტანოს. ვფიქრობ, კარგი გაკვეთილი მიიღო. ბიჭი 20 წლის არის და პროგრესის გზაზე დგას. ამნუთას მხოლოდ პატარა თავში წამორტყმა სჭირდება, მეტი არაფერი“.

ერთი კვირის წინ, „ქომუნითი შილდის“ შეხვედრაში დე ხეამ **ედინ ჯეკოს** შორეული დარტყმული გაუშვა. მაშინაც და ახლაც, გოლკიპერს თანაგუნდელებმა უშველეს — მისი შეცდომა მეტოქის კარში გატანილი გოლებით გამოასწორეს და მოიგეს. როდესაც ფერგიუსონს ჰკითხეს, დე ხეასთვის ინგლისში კარიერის ჯიქურ დაწყება მეტისმეტი ხომ არ იყო, მან ჟურნალისტებს ლეგენდარული დანიელი მეკარე **პიტერ შმეიხელი** შეახსენა და უთხრა, რომ პრემიერლიგაში თავიდან ისიც კი ცდებოდა.

„გამოცდილება მკარნახობს, რომ კონტინენტიდან ჩამოყვანილ მეკარეებს ინგლისთან შესაგუებლად დრო სჭირდებათ. შმეიხელსაც იგივე სჭირდა. თუ სწორად მახსოვს ოთხშაბათი იყო, როდესაც ვ „უიმბლდონმა“ საშინელ დღეში ჩააგდო. შემდეგ, შინ, „ლიდსთან“ შეცდა უხეშად და გოლი გავუშვით, მაგრამ ასეთი რთული სტარტის მიუხედავად ის ყველა დროის საუკეთესო მეკარე გახდა“.

დავიდ დე ხეა

● ფრანგია

რიოს ფეხის ტკივილი მწვრთნელთა თავის ტკივილია



რიო ფერდინანდმა პრემიერლიგის პირველ შეხვედრაში, „ვესტ ბრომვიჩთან“, ფეხის კუნთი გაიწყვიტა, რითაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ინგლისის ნაკრები კრიზისში ჩააგდო. 32 წლის ცენტრალურ მცველს, პირველი შეფასებებით, შეიძლება ექვსი კვირა გაუცდეს! ასეთი მდგომარეობა ეროვნული გუნდის იტალიელ თავკაც **ფაბიო კაპელოს** საგონებელში აგდებს, რადგან მას რიო 2 სექტემბერს ბულგარეთში, ხოლო 6 სექტემბერს შინ, უელსის ნაკრებთან სჭირდებოდა. ეს ორი შეხვედრა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრების G ჯგუფის კალენდრისა გახლავთ. ბუნებრივია, თუ „იუნაიტედის“ ვეტერანი დროულად ვერ გამოჯანმრთელდება მას შეიძლება 7 ოქტომბერს ჩერნოგორიასთან პრინციპული შეხვედრაც გაუცდეს.

კაპელოზე არანაკლებ შავ დღეშია ინგლისის ჩემპიონთა თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი**. მას „ვესტ ბრომვიჩთან“ შეხვედრაში ფერდინანდამდე კაპიტანი **ნემანია ვიდიჩი** დაუშავდა. ამბობენ, რომ ვიდიჩსაც ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდება. მას მყესის პრობლემა აქვს.

ფერგიუსონის „ლაზარეთიდან“ **რაფაელის** ამბავიც აუცილებლად სახსენებელია. მას მხარი აქვს ამოვარდნილი. ბრაზილიელი ტყუპისცალი სამი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს. ფერგიუსონმა თქვა:

„საშინელი დღეები დადგა. ახალგაზრდა რაფა 10 კვირას გამოსტოვებს, მხარი იტკინა სერიოზულად. რიოს საქმეც ვერ არის კარგად, აი, ვიდიჩს კი შევხედავთ. თუ ნერვის ამბავია, რამდენიმე კვირის გამოტოვება მასაც მოუწევს. ჩამოთვლილი ფეხბურთელების დანაკლისი, რასაკვირველია, სერიოზულია, მაგრამ ჩემს განკარგულებაში არიან ფილ ჯონსი, ჯონი ევანსი და კრის სმოლინგი, ხოლო პატრის ევრა შემდეგ ტურში დაგვიბრუნდება“.

● ნიუკასლი

ჟერვინიოს არ უნდა მივვარდნოდი - თქვა მატჩის შემდეგ ჯოი ბარტონმა (მარჯვნივ)

ბარტონმა აღიარა!

ჯოი ბარტონმა გადაწყვიტა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გული მოელბო, მაგრამ გაზეთებს ეეჭვებათ, რომ მიზანს მიაღწევს. „ნიუკასლის“ 28 წლის ნახევარმცველმა „არსენალის“ ფორვარდ **ჟერვინიოს** ჯერ აფერისტი უწოდა, შემდეგ დასძინა, რომ შეხლა-შემოხლის ეპიზოდში გააფორმა, თორემ ჟერვინიოს მისთვის ძლიერად სულაც არ დაურტყამს და ბოლოს „ტვიტერით“ ჩხუბი **ჯეკ უილშირსაც** აუტეხა.

BBC-ს „რადიო 5“-ში გამოსვლისას ბარტონმა სინანული გამოთქვა, კოტ დ'ივუარელი თავდამსხმელის წაქცევაზე ასეთი რეაქცია არ უნდა მქონოდაო და თავისი საქციელი გაღიზიანებით ახსნა — უფრო ადრე მას „არსენალის“ კამერუნელ **ალექს სონგთან** მოუვიდა ინციდენტი. ვინც „სენტ ჯეიმს პარკზე“ „ნიუკასლ იუნაიტედისა“ და „მეთოფეების“ შეხვედრას უყურა, იცის, რომ სონგმა ბარტონთან ერთ-ერთი ორთაბრძოლის მერე წაქცეულ ნიუკასლელს ფეხი დააბიჯა, რაც მსაჯს, **პიტერ უოლტონს** შეუმჩნეველი დარჩა. მოგვიანებით არბიტრმა შეცდომა აღიარა, მასმედია კი სონგის სამთამაშიან დასჯას ნინასწარმეტყველებს.

უოლტონმა თავისი ოქმი ფეხბურთის ასოციაციაში გუშინ დილით მიიტანა, მაგრამ მასში, რა საკვირველია, არ არის ასახული „ტვიტერში“ ატეხილი სკანდალი, რომლის შესახებაც ფედერაციის პრესმდივანმა თქვა: *„ჩვენ ყველაფერს შევისწავლით, რაც შაბათის თამაშს შეეხება“.*

ბარტონმა კი, როგორც გითხარით, „რადიო 5“-ის ეთერით უკან დაიხია. მან თქვა: *„ჟერვინიოს აფერისტი დაუფიქრებლად ვუწოდე და ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ის ძალად წაიქცა, მსაჯისთვის პენალტის გამოტყუება უნდოდა. კიდევ კარგი პიტერ უოლტონი ვითარებაში გაერკვა და ანკეს ზე არ წამოეგო“.*

გავიხსენოთ ბარტონისა და ჟერვინიოს ინციდენტი. „არსენალის“ ახალნვეული „კაჭკაჭების“ საჯარიმოში შევარდა და მცველის სიხლოვე რომ იგრძნო წაიქცა. შორიახლოს მყოფმა ბარტონმა მეტოქის ასეთი საქციელი ვერ მოითმინა, მივარდა და ჩხუბით დაუწყო წამოყენება. ამასობაში სხვებიც მივარდნენ, ჩოჩქოლი ატყდა და ჟერვინიომ ბარტონს სახეში ხელი ჰკრა. ამაზე „ნიუკასლის“ ნახევარმცველი თეატრალურად გაიშოტა და არბიტრს ჟერვინიო მოედნიდან გააძევებინა.

მოგვიანებით, „არსენალის“ ნახევარმცველმა **ჯეკ უილშირმა**, რომელსაც იმ დღეს ტრავმის გამო არ უთამაშია, ბარტონს „ტვიტერის“ აუდიტორიის წინაშე, აგრესიაში დასდო ბრალი. იმავე „ტვიტერში“ საკუთრივ ბარტონმა ცნობილ **ალან შირერზე** დაწერა უხეშად. მიზეზი: შირერი მის მიმართ კრიტიკული იყო. თუმცა, მეორე დღეს, „კაჭკაჭი“ უფრო დამშვიდებული ჩანდა და ასე ამბობდა:

„რასაკვირველია, საკუთარ საქციელს მეტად უნდა ვაკონტროლებდე. წაქცეულ ჟერვინიოს არ უნდა მივვარდნოდი და მაისურზე ქაჩვით მისი წამოყენება არ უნდა დამეწყო, მაგრამ როდესაც დავინახე, როგორ ცდილობდა ის მსაჯისთვის პენალტის გამოტყუებას, ველარ მოვითმინე. სულელი ხომ არ ვარ, მივხვდი, რომ იმ ეპიზოდში ოდნავ კონტაქს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მან ამისგან დიდი უპირატესობის შექმნა სცადა. რეაქცია კი, როგორც გითხარით... რას იზამ, ხანდახან ადამიანი თავს ვერ იკავებ და მე ვიცი, რომ საამაყო ნამდვილად არაფერი გამიკეთებია.

ახლა ჩემი წაქცევის შესახებ... რასაკვირველია, ძალიან თეატრალურად ნავიქეცი, მაგრამ განა ჩემთვის ხელის დარტყმა იმიტომ, რომ ეს მე ვარ, სწორია? სკოლაში უარესადაც მომხვედრია, მაგრამ ჩემი წაქცევა სხვა თემაა, მან კი ადამიანზე ხელი აღმართა და ეს კანონის თანახმად ისჯება. ვაღიარებ, გადავაჭარბე, თუმცა მანამდე სონგთან მქონდა ინციდენტი და მის გამო გაღიზიანებული ვიყავი. საერთოდ კი რთულ დღეში ვარ, რადგან ვიცი, რომ გასულ წლებში ჩადენილი სისულელეების გამო პერიოდულად ისევ ვექცევი ხოლმე ყურადღების ცენტრში და ჩემს ამა თუ იმ საქციელს ხალხი ჩვეულებრივ ვერ აღიქვამს. ჩემთვის პატიებაც უჭირთ.

20 წელიწადია რაც პრემიერლიგა არსებობს და ამ ხნის განმავლობაში უამრავი სიმულაცია მომხდარა. დღეს, ჩემგან ამაზე ლაპარაკი ცოტა არასწორია, რადგან სახეზე ხელი რომ მომადეს თავად გავაფორმე და ძალიან იოლად წავიქეცი, მაგრამ ეს რომ არ გამეკეთებინა და მსაჯებიც სიტუაციაში ვერ გარკვეულიყვნენ, ჩემი გუნდი უსამართლოდ დაიჩაგრებოდა“.

შეგახსენებთ, რომ ჯოი ბარტონი ბოლო რამდენიმე კვირაა საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. საქმე ის გახლავთ, რომ მან „ტვიტერის“ 220 ათასი „მეგობრის“ წინაშე „ნიუკასლ იუნაიტედის“ შეფები გააკრიტიკა, რის გამოც ორი კვირის ხელფასიც დაუქვითეს და ტრანსფერზეც დააყენეს, მაგრამ მერე კონფლიქტი ჩაცხრა.

გუშინვე ბარტონი „ტვიტერზე“ კიდევ უფრო მშვიდი ჩანდა: *„დილის ექვსის 25 წუთზე ხმაურმა გამაღვიძა. თურმე მეზობლის სახლში ქურდი ძვრებოდა“.*

როგორც ხედავთ, ეს უკვე სხვა თემაა.

და კიდევ ერთი, რაც შეეხება „ტვიტერს“: ზემოხსენებული უილშირი „ნიუკასლისა“ და „არსენალის“ შეხვედრის მსვლელობისას თურმა წერდა: *„თეოს (უოლკოტის) შეყვანაა საჭირო და განაპირა მცველები მეტად უნდა ჩაერთონ შეტევებში“.*

ნეტავ, 19 წლის ვარსკვლავს ამ კომენტარებს **არსენ ვენგერისთვის** ჭკუის სწავლებად ხომ ხომ არ ჩამოართმევენ?

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● ბუნდესლიგა. გამოხმაურება

იურგენ კლოპი და მისი გუნდი სოფლელებმა მინაზე დაუშვეს

შარშანდელი სცენარით

უცნაურია, მაგრამ შარშანდელი სცენარი ისევ ძალაშია. ბუნდესლიგას სათავეში ისევ მოულოდნელი ლიდერები ჰყავს - "მაინცი" და "ჰანოვერი". არადა, ამ გუნდებს ექსპერტები მძიმე სეზონს უწინასწარმეტყველებდნენ. **თომას ტუხელის** გუნდს განსაკუთრებით, რადგან მას შარშანდელი ორი ლიდერი **ლუის ჰოლტბი** ("შალკემ" დაიბრუნა) და **ანდრეას შიურლე** ("ლევერკუზენმა" გადაიბირა) აღარ ჰყავს. თუმცა ყველაფრის მიუხედავად ეს გუნდები ამტკიცებენ, რომ დანებებას არ აპირებენ. მეორე ტურში ორივეს მძიმე გამოცდა ელოდა - კარნავალელებს "ფრაიბურგთან", "ჰანოვერს" – "ნიურნბერგთან".

"დორტმუნდი" ვერაფრით ახერხებს "ჰოფენჰაიმის" ბარიერის გადალახვას. ასე იყო შარშანაც, როცა მომავალმა ჩემპიონმა სოფლელების დამარცხება ერთხელაც ვერ მოახერხა. მასპინძლებმა ფავორიტს ყველა ზონა დაუკეტეს. **ჰოლგერ სტანისლავსკის** შეგირდებს გაუმართლათ იმაშიც, რომ **სეად სალიჰოვიჩმა** ბურთი დებიუტშივე შეაგდო, რამაც მატჩის მიმდინარეობაზე სერიოზული გავლენა იქონია. რაღაც წილად **იურგენ კლოპის** შეგირდებისთვის ეს კარგიც არის, რადგან ლიგის თასისა და პირველი ტურის შემდეგ ჟურნალისტებმა რურელები ქებით ცაში აიყვანეს. ახლა კი მათ მინა ისევ იგრძნეს ფეხქვეშ.

"ბაიერნმა" მოიგო, მაგრამ ვაი ამ მოგებას. შედეგი თამაშის მიმდინარეობას საერთოდ არ ასახავდა. მასპინძლები ბევრად უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ. საჯარიმოს მისადგომებიდან ერთადერთი ზუსტი დარტყმა შეხვედრაში **ლუის გუსტავომ** შეასრულა. პრინციპში ზუსტი დარტყმა იქამდეც იყო, მაგრამ მსაჯმა არარსებული თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და **პატრიკ ჰელმესს** სეზონში მესამე გოლი ჯიბიდან ამოაცალა. "ბაიერნისთვის" ეს მოგება (თუნდაც დაუმსახურებელი) სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი შეიძლებოდა ღრმა კრიზისში ჩაფლულიყო. "მგლებს" კი მშვენიერი შანსი აქვთ ამ სეზონში, რადგან გუნდი იდეალურად არის მზად როგორც ფიზიკური, ისე ტაქტიკური თვალსაზრისით. მსაჯის მოქმედებით **ფელიქს მაგათის** აღშფოთება გასაგებია. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მან კიდევ ერთხელ ილაპარაკა იმაზე, რომ უკვე დროა, ფეხბურთში ვიდეოგამეორებები დაინერგოსო: *"თუკი ოთხი მსაჯი არ არის საკმარისი, რომ ზუსტად განისაზღვროს, წესების დაცვით გავიდა თუ არა გოლი, ეს ნიშნავს, რომ სხვა გამოსავალი უნდა მოინახოს. მე თავიდანვე მომეჩვენა, რომ ჰელმესმა გოლი სუფთად გაიტანა და გამეორებამ ეს დაადასტურა"*. "ბილდის" ფურცლებიდან მის აღშფოთებას გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **თეო ცვანციგერმა** უპასუხა: *"ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საფეხბურთო მატჩების შედეგები მაქსიმალურად სამართლიანი იყოს. ერთი შეხედვით მართებულად მეჩვენება მეოთხე არბიტრისთვის მონიტორზე ნანახი გამეორების მიხედვით გადაწყვეტილების მიღების იდეა, მაგრამ არის სხვა მხარეც – მსაჯის ფაქტობრივი შეცდომები ხელშეუხებელი უნდა იყოს და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდეს. ამას გარდა დაუშვებელია საკამათო ეპიზოდების გამო შეხვედრის ხანგრძლივად შენყვეტაც,"* - განაცხადა ჩინოვნიკმა, რომელიც, როგორც ჩანს, ამ განცხადებით არც მწვადს წვავს და არც შამფურს.

კვირის ცენტრალური თამაში ლევერკუზენში გაიმართა, სადაც **რობინ დუტის** გუნდს შარშანდელი სეზონის იმედგაცრუება "ვერდერი" სტუმრობდა. ექსპერტები საინტერესო, დაძაბულ 90 წუთს ელოდნენ და ხელში მოსაწყენი ბურთის გორება შერჩათ. შეხვედრა კი იმ გუნდმა მოიგო, რომელიც ამას მეტად იმსახურებდა. ყველაზე მეტად ორი ფეხბურთელის გამოსვლა იყო საინტერესო. ბრემენში დიდი იმედებით ჩაყვანილი **მეჰმეტ ეკიჩისა** და ვეტერანი **მიხაელ ბალაკის**, ვისაც დღემდე აქვს ამბიცია, დაუმტკიცოს **იოგი ლიოვს**, რომ ის იმსახურებს ნაკრებში თამაშს. ვერც ახალგაზრდა საყრდენმა გაამართლა იმედები და ვერც ბალაკმა დაამტკიცა ამბიცია. საგოლე პასი ბუნდესნაკრების ყოფილი კაპიტნის ნაცვლად შესულმა **სიმონ როლფესმა** გააკეთა.

კიდევ რა შეიძლება ითქვას საინტერესო მეორე ტურზე? ჩვენი პროგნოზი ასეთია: კიოლნი ასეთი თამაშით ბუნდესლიგაში ადგილს ვერ შეინარჩუნებს.

● ᲐᲘᲐᲥᲡᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცესი გრძელდება

"ᲐᲘᲐᲥᲡᲘᲡ" წარმომადგენლების განცხადებით, ამსტერდამული კლუბის ლეგენდარული თავდამსხმელი **მარკ ოვერმარსი** უახლოეს დღეებში ესტუმრება ქვეყნის დედაქალაქს და კლუბთან ხელშეკრულებას ხელს მოაწერს. დირექტორატი მას სამწვრთნელო შტაბში დასაქმებას სთავაზობს. დატვირთვა მინიმალური ექნება. მარკმა კვირაში ერთხელ რამდენიმე საათი ფეხბურთელებთან ინდივიდუალურად უნდა იმუშაოს. ზუსტად ასეთი ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული კლუბთან **იაია სტამსა** და **რონალდ დე ბურსაც**. მოლაპარაკება ოვერმარსსა და "აიაქსს" შორის რამდენიმე თვე გრძელდებოდა. მასში მონაწილეობდა მარკის ახლანდელი კლუბი "გოუ ეჰედ იგლზიც", სადაც ვეტერანი ტექნიკურ დირექტორად მუშაობს. საინტერესო ის არის, რომ ფეხბურთელი ამჟამინდელ თანამდებობასაც შეინარჩუნებს.

"აიაქსი" ორი ფეხბურთელის გასხვისებას დღემდე უშედეგოდ ცდილობს. ლაპარაკია მაროკოელ თავდამსხმელ **მუნირ ელ ჰამდაუისა** და **იან იარი ვან დერ ჰეიდენზე**. აფრიკელი თავდამსხმელი არ აპირებს ამსტერდამიდან წასვლის შემთხვევაში ხელფასის შემცირებას დათანხმდეს. ამჟამად ელ ჰამდაუი წელიწადში 1,8 მილიონ ევროს იღებს. ის "აიაქსის" ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია. მისით დაინტერესება პსვ-მ დაადასტურა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ფილიპსელებს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ, ფეხბურთელს ისინი შედარებით მცირე ანაზღაურებას სთავაზობენ. თუკი ეს გარიგება არ შედგა, "აიაქსი" მზადაა ფეხბურთელი სხვაგან გაუშვას. მისით ხომ პრემიერლიგის რამდენიმე კლუბია დაინტერესებული.

რაც შეეხება ვან დერ ჰეიდენს, მის სამსახურზე უარს უშუალოდ **ფრანკ დე ბური** ამბობს. მიზეზს არავინ აკონკრეტებს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. *"რამდენიმე ვარიანტი კარიერის გასაგრძელებლად უკვე მაქვს, მათ შორის ინგლისური პრემიერლიგიდან. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დრო ჯერ კიდევ მაქვს და სანერვიულოც არაფერია. ერთადერთი, რაც ვიცი ისაა, რომ "აიაქსში" ნამდვილად არ დავრჩები,"* – ამბობს არი ვან დერ ჰეიდენი. მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტი 2013 წელს იწურება. თუკი სრულფასოვანი ტრანსფერი არ შედგა, ვან დერ ჰეიდენი მორიგ იჯარაზეც თანახმაა, მით უფრო, რომ "ვილემ II" თანახმაა ის კიდევ ერთი წლით შეიფაროს.

იან იარი ვან დერ ჰეიდენი აიაქსში არ დარჩება

● ᲤᲔᲘᲔᲜᲝᲠᲓᲘ

კუმანი კმაყოფილია

"როდას" წინააღმდეგ "ფეიენოორდის" გარჯით **რონალდ კუმანი** ძალიან კმაყოფილი დარჩა. ახლა მას ერთადერთი რამ ანუხებს, გუნდს ტრავმირებული **დიეგო ბესესვარი** და **მიკელ ნელომი** აკლიან. *"ჩვენ მთელი 90 წუთის განმავლობაში ვდომინირებდით და მოხარული ვარ, რომ გოლები სწორედ საჭირო მომენტებში გავიტანეთ. როგორც გუნდის თამაშით, შედეგით ნასიამოვნები დავრჩი. კარგია, რომ გუნდში მყავს ჟერსონ კაბრალი, თავდამსხმელი, ვისაც მარტოს შეუძლია მეტოქის კართან ვითარების გამწვავებაც და გატანაც. მისი პირველი გოლი არაჩვეულებრივი იყო. აუცილებლად უნდა აღვნიშნო დანი ფერნანდესის დაბრუნებაც. მოხარული ვარ, რომ მან ბოლოს და ბოლოს მოახერხა და მოედანს დაუბრუნდა. აღფრთოვანებული დავრჩი იმით, როგორ შეხვდა მას ჩვენი გულშემატკივარი. იმედია, ის ამიერიდან ყველაფერ ცუდს წარსულს დაუტოვებს,"* – განაცხადა "ფეიეს" თავკაცმა.

გეტყვით, რომ ესპანელი **დანი ფერნანდესი** "დე კუიპზე" 2009 წელს გადავიდა და მას შემდეგ თითებზე ჩამოსათვლელი მატჩები ჩაატარა. 2009 წლის შემოდგომაზე ერედივიზიეში მან სულ რაღაც 4 მატჩი გამართა და უმძიმესი ტრავმის გამო ფეხბურთს ნახევარი წლით ჩამოშორდა. ამ დრომ განვლო. ის იყო დანი ბოლომდე უნდა გამოჯანმრთელებულიყო, რომ ისტორია განმეორდა. მუხლის ტრავმის გამო ფერნანდესმა მთელი შარშანდელი სეზონიც გამოტოვა.

აქვე უნდა ითქვას, რომ "როდასთან" "ფეიენოორდის" მაისურა მეასედ მოირგო გუნდის კაპიტანმა **რონი ვლაარმა**. ერედივიზიეს პირველ ტურში "ექსელსიორის" წინააღმდეგ კი ანალოგიური იუბილე აღნიშნა გუნდის ვიცე-კაპიტანმა **ლეროი ფერმაც**.

გვერდი მოამზადა
ლევან ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ



რონი ვლაარმა ფეიენოორდში მეასედ ითამაშა

● ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘᲡ ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ

ვეტერანების კრიტიკა მიუნხენს



თომას ბერთოლდს ბაიერნის ხელმძღვანელებისა არ ესმის

"ᲑᲘᲚᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ" მიცემულ ინტერვიუში გერმანიის ნაკრებისა და "ბაიერნის" ყოფილმა წევრმა, 46 წლის **თომას ბერთოლდმა** მიუნხენელებს კრიტიკის ნიაღვარი დაატეხა თავს. მისი თქმით, მას არაფერი ესმის რეკორდმაისტერის სატრანსფერო პოლიტიკისა. ის ფიქრობს, რომ გუნდს უფრო მეტად გაძლიერება მართებდა. *"განაპირა მცველად მათ რაფინია იყიდეს. გამიჩნდა შეკითხვა, ნუთუ ამ პოზიციაზე უკეთესი ფეხბურთელის ნახვა შეუძლებელი იყო? გარდა ამისა, გუნდმა ცენტრალურ მცველად ჟერომ ბოატენგი შეიძინა, ფეხბურთელი, რომელსაც ამ პოზიციაზე სრული სეზონი ჯერ არ ჩაუტარებია. შეკითხვები ბუნებრივია აქაც ჩნდება,"* – განაცხადა ვეტერანმა.

გარდა ბერთოლდისა, გერმანიის ყველაზე პოპულარულ კლუბს აკრიტიკებს **გიუნტერ ნეტცერიც**. ის სეზონის სტარტზე გუნდის სათამაშო ფორმაზე მსჯელობს: *"ვუყურე "ვოლფსბურგისა" და "ბაიერნის" შეხვედრას. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ მეორე ტაიმში სტუმრების თამაში უფრო მომეწონა, რადგან გამარჯვებისკენ დაუოკებელი სწრაფვა გამოავლინეს. ადრე გუნდს სწორედ ეს თვისებები აკლდა. სპორტში როცა ბედი გიღიმის, ამასაც მონდომება უნდა. ამიტომ ვამბობ, რომ "ბაიერნს" უფრო აგრესიულად მართებს თამაში, რადგან მხოლოდ ბურთის დაჭერა და დომინაცია არაფერს ნიშნავს. მთავარია, რომ საგოლე მომენტები შეიქმნას"*.

ახლა რაც შეეხება გუნდის შესახებ სხვა ინფორმაციებს: **არიენ რობენი** მზადაა, ჩემპიონთა ლიგის მატჩში "ციურიხის" წინააღმდეგ ძირითადში ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ მეორე ტურის მატჩში მან ზურგის ტკივილების გამო არ ითამაშა. ეს ინფორმაცია "ფრანს ფუტბოლს" თავად **იუპ ჰაინკესმა** მიაწოდა. შეგახსენებთ, რომ ეს შეხვედრა მიუნხენში ხვალ შედგება.

რუსული ვებგვერდების ინფორმაციით, უახლოეს დღეებში "ბაიერნის" უკრაინელმა საყრდენმა ნახევარმცველმა **ანატოლი ტიმოშჩუკმა** შეიძლება მახაჩყალის "ანჟისთან" გააფორმოს კონტრაქტი. წყარო ამტკიცებს, რომ ფეხბურთელსა და დაღესტნურ კლუბს პირადი კონტრაქტი უკვე გაფორმებული აქვთ და ახლა ყველაფერი **ული ჰიონესსა** და **იუპ ჰაინკესზეა** დამოკიდებული. ტიმოშჩუკი ადასტურებს, რომ მისით რუსული კლუბები არიან დაინტერესებულნი. საინტერესოა, რომ ანატოლი ბუნდესლიგის პირველ ორ ტურში მინდორზე არ გამოჩენილა.

ამბები

ინციდენტი გერმანიაში

"ჰამბურგერ აბენდბლატის" ცნობით, "ჰამბურგი"-"ჰერტას" მატჩის დამთავრების შემდეგ ადგილობრივი დროით 19:00 წუთზე ამ კლუბების ფანებმა რკინიგზის სადგურ კიონიგშტრესეზე მასობრივი ჩხუბი გააჩაღეს. სადგურის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, ჩხუბს კიდევ უფრო დიდი მასშტაბი რომ არ შეეძინა, მატარებლების მოძრაობა შეეწყვიტა. ერთ-ერთი მატარებელი, სადაც 600-მდე მგზავრი იყო, გვირაბში გაჩერდა. პაუზა თითქმის 30 წუთს გაგრძელდა. ცოტა ხნის შემდეგ ვაგონებში შუქი ჩაქრა, გამოირთო კონდიციონერი, ყოველივემ კი მასობრივი პანიკა გამოიწვია. სტადიონიდან გამოსულმა რამდენიმე მთვრალმა გულშემატკივარმა მატარებლებში ფანჯრების ჩალეწვა სცადა. ამავე ინფორმაციას ეხმაურება "შპიგელი", წერს, რომ მას შემდეგ, რაც ელექტროენერგიის მინოდება აღდგა, აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მოქალაქე აშკარად ცუდად გრძნობდა თავს. მათ შორის ორი, 24 და 26 წლის მამაკაცები, სასწრაფო დახმარების მანქანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ გულის უკმარისობა აღენიშნებოდათ.

ჟინიასი: მე მსუქანი არ ვარ

"მარსელის" თავდამსხმელი **ანდრე-პიერ ჟინიაკი** ფორმას სწრაფად იბრუნებსო, წერენ ფრანგი ჟურნალისტები. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა საზარდული სეზონისწინა პირველივე შეკრებაზე დაიზიანა და მას მერე მკურნალობს. ანდრე-პიერი ამჟამად იტალიაშია, სადაც სპეციალიზებულ სპორტულ კლინიკაში სარეაბილიტაციო კურსს გადის. ექიმების თქმით, მან რამდენიმე ზედმეტი კილოგრამიც დააგდო. აი, რას ამბობს თავად ჟინიაკი: *"მე მსუქანი არ ვარ. ტრავმის გამო დიდი ხანი არ მივარჯიშია, ასე რომ, თუკი ფორმა დაკარგული მაქვს, ეს ბუნებრივიცაა. ძველებურად ასათამაშებლად სულ ცოტა დრო მჭირდება. ეს ის შემთხვევა არ არის, როცა შვებულებიდან სავარჯიშო პროცესს მართლა გვარიანად შეპუტკუნებული უბრუნდებიან ხოლშე. გარწმუნებთ, ინტენსიური სავარჯიშო პროცესი ჩემს ორგანიზმს ძველებურ იერს მალე დაუბრუნებს,"* – უთხრა ფეხბურთელმა "ფრანს ფუტბოლს".

შევჩენკო დაიმტვრა

კიევის "დინამოს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, **ანდრეი შევჩენკომ** ვიშალიგის მე-6 ტურში "არსენალის" წინააღმდეგ მატჩში მეტოქესთან შეჯახებისას სახის სერიოზული ტრავმა მიიღო. ექიმებმა მას ნატკენი ადგილი გაუყინეს, რისი წყალობითაც ვეტერანი მინდორს დაუბრუნდა, მაგრამ მალე იძულებული გახდა, ცვლილება ეთხოვა. შევა მატჩის დამთავრებისთანავე კიევის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც ყვრიმალის ძვლების მოტეხილობა დაუდგინეს. კლუბის სამედიცინო შტაბი არ გამორიცხავს, ფეხბურთელი დამატებითი გამოკვლევებისთვის უცხოეთშიც კი გაგზავნოს. ჯერჯერობით იმაზე ლაპარაკი, როდის დაუბრუნდება ფეხბურელი გუნდს, ძალიან ადრეა. პრაქტიკულად გამორიცხულია შევჩენკოს ასპარეზობა ევროპის ლიგის გათამაშებაში ბულგარული "ლიტექსის" წინააღმდეგ.

ანელკა ჰამბურგში?

ნიკოლა ანელკას "ჩელსიში" აღარ დაედგომება. ლონდონელთა მთავარ მწვრთნელად დანიშვნის მეორე დღეს **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** ფეხბურთელის სამსახურზე უარი თქვა. მას ხან პსჟ-ში დაბრუნება შესთავაზეს, ხანაც იტალიაში უხმეს, მაგრამ ჯერჯერობით 32 ნლის თავდამსხმელის ბედი გაურკვეველია. მოგეხსენებათ, წელს ზაფხულზე ლონდონიდან ჰამბურგში გადავიდა სამუშაოდ "ჩელსის" ყოფილი სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი**. კლუბის სახელით სწორედ ის დაუკავშირდა ვეტერან ფრანგს და კონტრაქტი შესთავაზა. "ჩელსი" მასში 9 მილიონ ევროს ითხოვს.

ლევან ბიბილაშვილი

ინგლისი. პრემიერლიგა. I ტური



კუნ აგუერომ ორი გოლი გაიტანა

მანჩესტერ სიტი-სუონსი 4:0

მანჩესტერ სიტი (4-3-3): ჰარტი – რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, კლიში – ტურე, დე იონგი (59. აგუერო), ბერი – სილვა (81. მილნერი), ჯეკო, ჯონსონი (74. სავიჩი)

სუონსი (4-3-3): ვორმი, რანგელი, კულკერი, უილიამსი, ტეიტი – ბრიტონი (65. ალენი), დობი (65. რუტლიჯი), აგუსტიენი – დაიერი (81. ლიტა), გრეჰემი, სინკლერი

გოლები: 1:0 ჯეკო (57), 2:0 აგუერო (68), 3:0 სილვა (71), 4:0 აგუერო (90)

კუთხური: 7-4; **ჯარიმა**: 11-3; **კარში დარტყმა**: 22-5 (17-3); **თამაშგარე**: 5-1; **ბურთის ფლობა**: 54%-46%

მაყურებელი: 46 802

იტალიის ნაკრები

ჩეზარე პრანდელის გამხელილი ოპოზიცია

იტალიისა და ესპანეთის ნაკრებების ამხანაგურ პაექრობას აპენინურ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ბუნებრივია, ტიფოზებთან ერთად ჟურნალისტებიც კმაყოფილები არიან იმით, რომ "სკუადრა აძურამ" მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი დაამარცხა და თანაც მეტოქეს თამაშით აჯობა. მართალია, მეორე ნახევარში ტერიტორიულ უპირატესობას პირენეელები ფლობდნენ, მაგრამ სუფთა სათამაშო კომპონენტებში ჩეზარე პრანდელის გუნდი აშკარად აღემატებოდა მოწინააღმდეგეს. პრანდელი ყურადღების ცენტრშია მოქცეული და კომენტარს კომენტარზე აკეთებს. ჩვენ კი "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტთან მისი საუბრის გადმოქართულებულ ვარიანტს გთავაზობთ, თანაც თემების მიხედვით...

თამაში

ბოლოს ალბათ 70-იან წლებში იყო, როდესაც ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ ბრაზილიის ეროვნული ნაკრები საუკეთესო გახლდათ მსოფლიოში. სწორედ ასეთი ვითარებაა დღეს და ყველამ უნდა ვაღიაროთ, რომ ესპანელებს ბადალი არ ჰყავთ. შესაბამისად, ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო როგორ შევეწინააღმდეგებოდით მრისხანე მეტოქეს და რამდენად მივცემდით საკუთარი პლუსების რეალიზების საშუალებას. საბედნიეროდ, ჩემმა შეგირდებმა ყველაფერი კარგად შეასრულეს და სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ესპანელებს სრულიად დამსახურებლად მოვუგეთ. პირველ ტაიმში პირველ ნომრად თამაში გადავწყვიტეთ, აქტიურად შევუტიეთ და დავრწმუნდი, რომ დიდად არც ბურთის ფლობის მხრივ ჩამოვუვარდებოდით მეტოქეს. აი მეორეში კი უკან დავიხიეთ და უკვე კონტრშეტევებზე ვცადეთ ბედი – საბედნიეროდ, ეს საქმეც ძალიან კარგად გამოგვივიდა. ერთი სიტყვით, მთლიანობაში კმაყოფილი ვარ.

როსი-კასანოს ტანდემი

უკვე მეორედ ხდება, რომ შეტევაში **ანტონიო კასანოსა** და **ჯუზეპე როსის** ტანდემს დავეყრდენი. ორივე ძალზე ტექნიკურია, მობილური და მოძრავი, რაც მეტოქე მცველთათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. არ ვიცი, რა იქნება მომავალში, მაგრამ დღეს სწორედ მათზე ჩამოვდივარ ფსონს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სხვებს შანსი არ მიეცემათ – პირიქით, ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა, ვინც ჩემს კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს. თუ რა კრიტერიუმებზეა საუბარი, ამის თქმა გამიჭირდება და ვფიქრობ, გულშემატკივრებისთვის ნაკლებად საინტერესოა.

ბალოტელი

მარიო ბალოტელი მუდმივი კრიტიკის ობიექტია, რაც, სიმართლე რომ გითხრათ, არ მესმის. ხასიათთან გარკვეული პრობლემები აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველამ ავითვალწუნოთ და ვაკრიტიკოთ. არადა, მას გვერდში დგომა და მხარდაჭერა სჭირდება. ესპანელებთან ისე ცუდად ნამდვილად არ უთამაშია, როგორც ეს ჟურნალ-გაზეთებში დაწერეს - პირადად მე კმაყოფილი დავრჩი – ბევრი იბრძოლა და, როგორც დავავალე, უკანაც ხშირად ჩამოდიოდა. თუმცა, მან კარგად იცის, რომ დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში, აუცილებლად დაისჯება.

ტაქტიკა

არასდროს მქონია საბაზო ტაქტიკა და ალბათ არც არასდროს მექნება. ყოველთვის იმის მიხედვით ვიქცევი თუ რა შემადგენლობა მყავს და რომელ მეტოქეს ვეთამაშები. იმ მწვრთნელთა კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებსაც არ აინტერესებთ ვის წინააღმდეგ უწევთ თამაში – ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეისწავლო მეტოქის თამაში, გაარკვიო პლუს-მინუსები და შესაბამისი ტაქტიკა-სტრატეგია დაუპირისპირო. როდესაც იცი მოწინააღმდეგის სვლა, უფრო იოლი ხდება გამარჯვების მოპოვება. ამიტომ, ვერაფრით ვიტყვი. რომელი ტაქტიკაა ჩემთვის ყველაზე მისაღები. იყო პერიოდი, როდესაც "ფიორენტინა" მთელი სეზონი 4-3-3-ით ვათამაშე, თუმცა უფრო ხშირად მაინც ალბათ 4-4-2 გამომიყენებია. თუ იმ ფეხბურთელთა ბირთვს გავითვალისწინებთ, დღეს რომ არის ჩემს განკარგულებაში, აქცენტი ალბათ 4-4-2-ზე გაკეთდება. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან იტალიაში მაღალი კლასის გარემარბების დეფიციტია. მართალია, ფლანგზე თამაში კასანოსაც შეუძლია და იმავე როსისაც, მაგრამ ისინი მაინც სუფთა თავდამსხმელები არიან.

ჩეზარე პრანდელი

გასახდელი

გუნდში ისეთი ატმოსფეროა, როგორსაც ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა. თითოეული ფეხბურთელი სანაკრებო მიწვევას დიდი სიხარულით იღებს და ენთუზიაზმითაც თამაშობს. სწორედ ეს არის წარმატების საწინდარი და ამის შესახებ არაერთხელ მისაუბრია. ყველამ კარგად ვიცით, რომ იმავე კასანოს ჭირვეული ხასიათი აქვს, მაგრამ ეროვნული ნაკრების შეკრებაზე ამას ერთი წუთითაც ვერ იფიქრებთ. სულ სხვა პასუხისმგებლობით უდგება საქმეს და ერთ-ერთი სამაგალითოა ამ მხრივ. სწორედ ამიტომ ავირჩიე კაპიტნად ესპანელებთან პაექრობისთვის და ჩემი იმედები ბოლომდე გაამართლა.

ლაშა წიკლაური

ინტერი

მორატი ფორლანზე გადაერთო

ეტოო ჯერ არ წასულა

დაახლოებით ერთი კვირის წინ გამცნეთ, რომ **სამუელ ეტოოს** "ინტერიდან" "ანუიში" გადაბარგების ამბავი პრაქტიკულად გადაწყვეტილი გახლდათ. ეს ინფორმაცია მილანური გრანდის ტექნიკურმა დირექტორმაც კი დაადასტურა, მაგრამ დრო გადის და ტრანსფერი ოფიციალურად ჯერ არ გაჩარხულა. მეტიც, ეტოომ არ გამორიცხა, რომ მოლაპარაკებები შეიძლება ჩიხში შევიდეს და მას "ინტერში" მოუწიოს დარჩენამ. აი, რა განაცხადა კამერუნელმა:

"რუსულ კლუბთან მოლაპარაკების აქტიურ ფაზაში ვართ ჩაბმულნი და მართლაც დიდია იმის შანსი, რომ ტრანსფერი შედგეს. თუმცა, იმას ვერაფრით დავეთანხმები, რომ შეთანხმება შედგა და მე უკვე "ანუის" ფეხბურთელი ვარ. ასე ნამდვილად არ არის და არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ გუნდის მაისურა არასდროს მოვირგო. მაქვს ინფორმაცია, რომ ჩემით ინგლისური გუნდებიც არიან დაინტერესებულნი და შესაძლოა, ალბიონზეც კი მომიწიოს გადაბარგება. დღეს რაიმეზე კონკრეტულად საუბარი გამიჭირდება, ყველაფერი კი დაახლოებით ერთ კვირაში გადაწყდება".

სამუელ ეტოო

ნებისმიერ შემთხვევაში, დიდია იმის შანსი, რომ ეტოომ "ინტერი" დატოვოს და კარიერა სხვა გუნდში გააგრძელოს. შესაბამისად, მილანური გრანდის მესვეურები მისი შემცვლელის ძიებით არიან დაკავებულნი. ერთ-ერთი ვერსიით, არ არის გამორიცხული **მასიმო მორატიმ დიეგო ფორლანის** გადაბირება შეძლოს, რადგან ამ მიმართულებით თურმე უკვე აქტიურად მუშაობს. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "ნერაძურის" პრეზიდენტმა ურუგვაელი ფორვარდის სანაცვლოდ 17 მილიონი ევრო გადადო და მზადაა ნებისმიერ დროს მადრიდის "„ატლეტიკოს" ანგარიშზე გადარიცხოს. ამ საკითხზე კომენტარს "ინტერის" სპორტული დირექტორი **მარკო ბრანკა** აკეთებს:

"არ აქვს მნიშვნელობა, წავა თუ არა გუნდიდან სამუელ ეტოო, დიეგო ფორლანი ნებისმიერ შემთხვევაში სასურველი ფეხბურთელია და თუ მისი გადაბირების შანსი მოგვეცა, ამას აუცილებლად გამოვიყენებთ. ჯერჯერობით, მადრიდული კლუბის მესვეურებისთვის ოფიციალური წინადადებით არ მოგვიმართავს, მაგრამ სავარაუდოდ, ამას უახლოეს დღეებში გავაკეთებთ. თანხაზე საუბარი გამიჭირდება, რადგან ეს საკითხი ჯერ კიდევ განსახილველია".

ბრანკას თქმით, მორატის ჯერ არ გაუკეთებია შეთავაზება მადრიდელი კოლეგისთვის და 18 მილიონი ევროს თემასაც მონაჩმახი უნოდა, მაგრამ "გაძეტა" თავისას არ იშლის და გვიმტკიცებს, რომ "ინტერი" სწორედ ამ თანხის სანაცლოდ შეეცდება ფორლანის გადაბირებას.

ლაშა წიკლაური

უცხოური ფეხბურთი

ესპანეთის სუპერთასის გამოხმაურება

კამპ ნოუზე შეხვედრამდე

ნაღდი ფეხბურთი და კმაყოფილი გრანდები

„მარკას“, „სპორტისა“ და „მუნდო დეპორტივოს“ პირველი გვერდები

PURO FUTBOL - ასეთი სათაური ამშვენებდა ესპანეთის ყველაზე მაღალტირაჟიან გაზეთ „მარკას“ პირველ გვერდს კვირის სუპერკლასიკოს შემდეგ. ჩვენებურად, რომ ვთქვათ - ნაღდი ფეხბურთიო. მართლაც, როგორც ერთმა ესპანელმა კომენტატორმა მოსწრებულად შენიშნა, როცა „რეალი“ და „ბარსა“ ნაღდ ფეხბურთს თამაშობენ, სხვა გუნდებს ურჩევნიათ გაჩერდნენ და მათ[illegible] უყურონო. შარშანდელ სეზონში **ჟოზე მოურინიო** 5-ჯერ „შეასკდა“ „ბარსელონას“ და მხოლოდ ერთ ტიტულს, „სამეფო თასს“ გამორჩა. მაგრამ, მიუხედავად, დიდი დაძაბულობისა შარშანდელ კლასიკოებს რაღაც აკლდა, თითქოს მოურინიო გასაღებს არგებს კატალონიურ გრანდსო. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ პორტუგალიელს ეს გასაღები უპოვნია, მაგრამ ამჯერად კარი მაინც არ გაიღო - 2:2 და „კამპ ნოუზე“ თამაშის წინ სუპერთასის მოგების ფავორიტი „ბარსელონაა“...

უპირველესად იმ შეფასებებს გაგაცნობთ, რაც ესპანურმა გაზეთებმა სუპერთასის მონაწილეებს დაუწერეს. ისინი საკმაოდ განსხვავებულია და, ხშირად, ურთიერთგამომრიცხავიც. „მარკამ“ 2-იანით შეაფასა **მარსელო, იოზილი, ჩაბი ალონსო, დი მარია, ბენზემა, რონალდო** (რეალი), **ვალდესი, აბიდალი, ალექსისი, მესი, ვილია** და **პედრო** (ბარსელონა), სხვებს კი 1-იანები აკმარა. „ელ მუნდო დეპორტივომ“ მატჩის ყველაზე დიდი შეფასება - 4 ვარსკვლავი - ლეო მესის დაუწერა, 3 ვარსკვლავი მიიღეს: ჩაბი ალონსომ, რონალდომ, ბენზემამ (რეალი), ვალდესმა, **კეიტამ, ჩავიმ, ინიესტამ**, ალექსისმა და ვილიამ (ბარსელონა), დანარჩენებს 2-2 ვარსკვლავი ხვდათ წილად, ხოლო მარსელო და დი მარია თითოს დაჯერეს. „სპორტი“ 8 ბალით აფასებს: მესის, ვალდესს, ალექსისსა და ვილიას, მოკლედ, მხოლოდ ბარსელონელებს. დანარჩენებმა 6 ან 7 ბალი მიიღეს, ყველაზე ცუდი შეფასებები კი (5-5) **ტიაგო ალკანტარას, რიკარდო კარვალიოს, კალეხონსა** და **იგუაინს** დაუწერეს.

საერთაშორისო გამოცემასაც მივმართოთ - ყველაზე პოპულარული საფეხბურთო საიტი „გოლი“, რომელიც ახლახან „გადმობარგდა“ ამერიკიდან ევროპაში (კერძოდ, ბრიტანეთში), მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად „რეალის“ გერმანელ ათიანს, მესუთ იოზილს მიიჩნევს - 8 ბალი. *„გაიტანა შესანიშნავი გოლი და მუდამ „რეალის“ შეტევების გულში იყო“*, - წერს „გოლი“. 8 ბალი მიიღო ჩაბი ალონსომაც, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საუკეთესო ფეხბურთელად იოზილი დაასახელეს. 7,5-7,5 ბალი მიიღეს ბენზემამ, რონალდომ და **ხედირამ**. როგორც ხედავთ, „გოლი“ უპირატესობას მასპინძელ ფეხბურთელებს ანიჭებს. მატჩის ყველაზე ცუდ მოთამაშედ კი „რეალის“ არგენტინელი ნახევარმცველი დი მარია დაასახელეს.

მოკლედ, „რეალმა“ ის თამაში იპოვნა, რომელიც საჭიროა „ბარსელონას“ წინააღმდეგ, მაგრამ ვერ მიიღო სათანადო შედეგი. „ბარსელონამ“ კი, რომელიც ჯერ ვერ არის სათანადო ფორმაში, საპასუხო მატჩის წინ ძალზე სასურველი ანგარიში დაიბევა. მოკლედ, ორივე გუნდს კმაყოფილების საბაბი მიეცა, თუმცა უკმაყოფილებისაც - მაგალითად, მასპინძლები ამტკიცებენ, რომ რონალდოს ნაღდი პენალტი მოჰპარეს, ხოლო სტუმრები დარწმუნებულნი არიან, რომ მარსელო საჯარიმოში წესს არღვევდა და პენალტი მათაც ეკუთვნოდათ, მადრიდელები **დანი ალვეშს** სიმულიანტს უწოდებენ, ბარსელონელები კი **პეპეს** - არანორმალურს.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მოურინიო არ მისულა, მის ნაცვლად ვითხვებს **აიტორ კარანკამ** უპასუხა.

აი, რა თქვა **ხოსეპ გვარდიოლამ**

„ვფიქრობ, ბრწყინვალე შედეგია. ოთხშაბათის მატჩისთვის დაუყოვნებლივ ვიწყებთ მზადებას და იმედი გვაქვს, როცა დახმარება დაგვჭირდება, ფანები გაგვამხნევებენ და ტიტულს მოგვაგებინებენ“.

სხვათა შორის, ეს შეხვედრა ზედიზედ 184-ე იყო „ბარსელონასთვის“, როცა გვარდიოლას გუნდმა ბურთის ფლობის პროცენტით აჯობა მეტოქეს, მაგრამ ამ რეკორდს პირველად, სერიოზულად დაემუქრა შეჩერება, რადგან სანამ მოედანზე ჩავი გამოვიდოდა, „რეალის“ ბურთს აკონტროლებდა. საბოლოოდ, „ბარსას“ მაინც 52% დარჩა: *„სანამ მე ამ გუნდის მწვრთნელი ვარ, ჩვენი თამაშის სტილი არ შეიცვლება. რა თქმა უნდა, „რეალს“ მოგების შანსი ჰქონდა“*, - განაცხადა პეპმა.

კარანკას მსაჯობაზე რომ დაეკითხნენ, მოურინიოს ასისტენტმა დიპლომატიურად მიუგო: *„მადრიდი კი პროგრესირებს, მაგრამ არის რაღაც, რაც „კლასიკოზე“ ვერაფრით შეიცვალა. სამწუხაროა, როცა ასე ითამაშებ და სასურველ შედეგს ვერ მიიღებ. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ შეგვიძლია გავიხაროთ, რომ ბიჭებმა ასე კარგად ითამაშეს“.*

მოკლედ, წინმსწრები დაკსნებიდან თავს შევიკავებთ, ეს ხომ ორივე კლუბისთვის პირველი ოფიციალური მატჩი იყო სეზონში, მაგრამ ერთი ცხადია - ოთხშაბათს კიდევ ერთი საფეხბურთო სპექტაკლი გველის, ამჯერად, „კამპ ნოუზე“.

ტრანსფერი

სესკი ბავშვობაში და დღეს



უკან, სახლში

სესკ ფაბრეგასი 2016 წლამდე ბარსელონელია

გუშინ ძალიან გაჭინაურებულ სატრანსფერო ამბავს დაესვა წერტილი - 24 წლის ესპანელი ნახევარმცველი **სესკ ფაბრეგასი** მშობლიურ კლუბ „ბარსელონას“ დაუბრუნდა. ადგილობრივი დროით, 13 საათზე სესკმა კონტრაქტს მოაწერა ხელი, მანამდე კი, „არსენალის“ ან უკვე ყოფილმა კაპიტანმა, სრული სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა. ამიერიდან, მომავალი ხუთი სეზონის განმავლობაში, სესკი ბარსელონელია, როგორც ბავშვობაში.

კონტრაქტზე ხელმოწერის ცერემონიალში სესკის გარდა „ბარსას“ პრეზიდენტი **სანდრო როსელი** მონაწილეობდა. იქ იყვნენ ვიცე-პრეზიდენტი **ჟოზეპ მარია ბარტომეუ**, სპორტული დირექტორი **ანდონი სუბისარეტა** და საფეხბურთო დირექტორი **რაულ სანლეჰი**. ამიერიდან, იმ გუნდს, რომელსაც ფაბრეგასის ყიდვა მოუნდება, 200 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს!

ფაბრეგასის გამოჩენამ მედიისა და ფანების დიდი ინტერესი გამოინვია, სესკმა საჩვენებელი კენწლაც გამართა „ბარსას“ ფორმით „კამპ ნოუზე“.

მაშ ასე, 8-წლიანი განშორების შემდეგ ფაბრეგასი ისევ მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა. ის 2003 წელს, 16 წლის ასაკში წავიდა ლონდონში და „მეთოოე“ გახდა. „არსენალის“ მაისურით სესკმა 303 მატჩში 57 გოლი გაიტანა და ზუსტად 100 საგოლე პასი გააკეთა. ბოლოს, როგორც გითხარით, ახალგაზრდა ესპანელი „არსენალის“ კაპიტანიც გახდა.

ფაბრეგასი ძალიან ნიჭიერი და ალღოიანი ნახევარმცველი, ის პრემიერლიგის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მეპასეა. ესპანელს შეუძლია ნახევარდაცვის ყველა პოზიციაზე თამაში, როგორც ჩამშლელად, ასევე ფლანგებზე (სულ ერთია, რომელზე) და თავდამსხმელთა უკან. **ხოსეპ გვარდიოლას** ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, სესკის სამშობლოში დაბრუნება იყო, ბოლო წლებში კი ეს თავად ფეხბურთელის ოცნებასაც წარმოადგენდა. მაგრამ ყველაზე დიდი ხელისშემშლელი ფაქტორი ფაბრეგასის საბაზრო ფასი იყო, „არსენალი“ მას ძვირად აფასებდა და ტრანსფერს არადა არ დაადგა საშველი. ესპანური მედია ირწმუნებოდა, რომ „ბარსამ“ 40 მილიონი ევრო გაიღო ფეხბურთელის სანაცვლოდ, მაგრამ გუშინ სანდრო როსელმა ეს ხმები უარყო და დაასახელა თანხა, რომელიც კატალონიური გრანდმა ფაბრეგასში გადაიხადა - 29 მილიონი ევრო.

სესკ ფაბრეგასი „ბარსაში“ იმავე ნომრით ითამაშებს, რომლითაც „არსენალში“ გამოდიოდა - გუშინ მას უკვე 4-ნომრიანი მაისურა ეცვა. შესაძლოა, მისი დებიუტი უკვე ამ ოთხშაბათს ესპანეთის სუპერთასის საპასუხო მატჩში შედგეს, მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ.

„ამ დღეს მრავალი დღე, თვე და წელიწადი ველოდე. ჩემთვის ეს დღე დაუვიწყარია - სახლში დავბრუნდი, მას შემდეგ, რაც 8 სეზონი უცხო მხარეში გავატარე. ბევრ თქვენგანს ალბათ გული ვატკინე, აქედან, რომ წავედი, ახლა ეს უნდა გამოვისყიდო. „ბარსელონაში“ დამკვიდრება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული ამოცანა იქნება“, - განაცხადა სესკმა, როცა ტრიბუნებზე მრავლად შეკრებილ ფანებს მიმართა.

ამბები

რაულ გონსალესი

ისევ ეს ანჭი, ახლა რაული!

„დეილი მეილი“ იტყობინება, რომ „შალკეს“ ესპანელ ვეტერან (33) **რაულ გონსალესს** გერმანული კლუბიდან წასვლა სურს, ხოლო მის ყიდვას „ბლექბერნ როვერსი“ ეშურება, მაგრამ ამ ინგლისურ კლუბს ორი მეტოქეც გასჩენია, ორივე მასზე ფულიანი - ესპანური „მალაგა“ და... რუსული „ანჟი“. შეგახსნებთ, რომ წინა დღით მეორე რუსულმა კლუბმა, „რუბინმა“ „ერკულესის“ პარაგვაელი ვარსკვლავი **ნელსონ ვალდესი** დაიბევა.

ჰერესი და როსელი ლოჯაუტის წინააღმდეგ

როგორც იქნა, „რეალისა“ და „ბარსელონას“ პრეზიდენტებს რაღაც საკითხში ერთი აზრი გაუჩნდათ, ორივე მათგანი სასტიკი წინააღმდეგია გაფიცვის, რომელიც ესპანური პრიმერას ორ ტურს ჩაშლით ემუქრება. **ფლორენტინო პერესმა** და **სანდრო როსელმა** განაცხადეს, რომ ფეხბურთელთა ასოციაციის გადაწყვეტილება არავის მოუტანს სიკეთეს.

ესპანეთში კი უკვე სერიოზულად შეშფოთდნენ, მართლა არ ჩაიშალოს ჩემპიონატის სტარტი. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელთა ასოციაცია ლიგა-სთან კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებას ითხოვს 21 აგვისტომდე, წინააღმდეგ შემთხვევაში პრიმერაში და სეგუნდაში პირველი ორი ტური არ გაიმართება. ესპანეთის სპორტის მინისტრმა **ალბერტ სოლერმა** მხარეებს მოუწოდა დიალოგისკენ, დაპირისპირებულ მხარეთა შეხვედრა კი, შეიძლება, დღეს გაიმართოს.

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● მსოფლიოს ჩემპიონატი. U-20. 29 ივლისი-20 აგვისტო

ევფორია VS აგონია

კონტრასტები: ასე ხარობენ ბრაზილიელები და განიცდიან ესპანელები

ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, კოლუმბიაში დასკვნით ფაზაში შევიდა მსოფლიოს ჩემპიონატი 20-წლამდელთა შორის. მეოთხედფინალური დრამები ჩავლილია, ცნობილია ის ოთხი ნაკრები, რომლებიც ტიტულისთვის ბრძოლას განაგრძობენ. უკვე კარგა ხანია, ვიცით, რომ ამ ასაკში მსოფლიოს ახალი ჩემპიონი მოევლინება, რადგან მოქმედი ჩემპიონი განა, 2009 წლის ტრიუმფატორი გუნდი საერთოდ ვერ გავიდა ფინალურ ეტაპზე. მეოთხედფინალების შემდეგ ისიც ცნობილი გახდა, რომ ფინალში ევროამერიკული ჯახი გველის: ნახევარფინალებში ასე დაწყვილდნენ, 17 აგვისტოს პორტუგალია საფრანგეთს დაუპირისპირდება, ბრაზილია კი - მექსიკას.

რადგან ჩვენ ამ ტურნირის შესახებ მხოლოდ ფინალური ეტაპის წინ შემოგთავაზეთ სტატია, მოკლედ მოგითხრობთ ჯგუფურ და პლეი ოფის ეტაპებზე, გაგაცნობთ მომავლის ვარსკვლავებს, რომელთაც უკვე გამოიჩინეს თავი კოლუმბიაში.

A ჯგუფს უმთავრესად ბოგოტა მასპინძლობდა, ეს ბუნებრივიცაა - აქ ხომ მასპინძელი კოლუმბია თამაშობდა. კოლუმბიასთან ერთად იყვნენ, საფრანგეთი, სამხრეთი კორეა და მალი. საბოლოოდ, აფრიკელთა გარდა შემდეგ ეტაპზე ყველა გავიდა. პირველივე ტურში კოლუმბიამ 4:1 გაანადგურა საფრანგეთის ნაკრები და მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ევროპელები უფრო შორს წავიდოდნენ, ვიდრე მასპინძელი ქვეყანის გუნდი. ამ შეხვედრაში „ლეჩეს" ფორვარდმა **ლუის მურიელმა** დუბლი შეასრულა. არადა, ფრანგებმა „ლორიანის" შემტევის, **ჟილ სუნუს** გოლით გახსნეს ანგარიში, მაგრამ მერედამერე წახდნენ. კორეელებმა მე-2 ტაიმში 2 გოლი გაუტანეს აფრიკელებს. მე-2 ტურში ფაქტობრივად მეორე ადგილის ბედი წყდებოდა და **ფრანს სმერეჩკის** გუნდმა 3:1 მოუგო კორეას. ამ შეხვედრაში სუნუს გარდა (რომელიც „არსენალის" საკუთრებაა და „ლორიანში" იჯარით თამაშობს) თავი **გუეიდა ფოფანამ** (ლე ავრი) და **ალექსანდრ ლაკაზეტმა** (ლიონი) გამოიჩინეს. ფრანგთა ტრიუმფი ჰაერიდან არ მოსულა, ამ გუნდმა შარშან ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი მოიგო. კოლუმბიის ნაკრებმა დარჩენილი ორი მატჩიც მოიგო: მალისთან 2:0, ხოლო კორეასთან 1:0. ფრანგებმა კი ბოლო მატჩში მალელებს მესამე მარცხი აგემეს (**ბაკამბუ**, ლაკაზეტი).

B ჯგუფში პორტუგალიის ნაკრებმა იპირველა. მათ 0:0 ითამაშეს ურუგვაისთან, შემდეგ კი მინიმალური ანგარიშებით (1:0) დაამარცხეს კამერუნი (გოლის ავტორი **ოლივეირა**) და ახალი ზელანდია (**რუი**). მე-2 ადგილზე 4 ქულით კამერუნი გავიდა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში ურუგვაი 1:0 (**მგონგო**) დაამარცხა.

C ჯგუფი მარშით გაიარა ესპანეთის ნაკრებმა **ხულიენ ლოპოტეგის** გუნდში უკვე ირიცხება რამდენიმე შემდგარი ვარსკვლავი და, ბუნებრივია, ეს გუნდი ერთ-ერთი ფავორიტი იყო ჩემპიონატში. ესპანელებმა სამივე შეხვედრა მოიგეს, 11 გოლი გაიტანეს და მხოლოდ 2 გაუშვეს. იბერიელებმა კოსტა რიკა 4:1 გაანადგურეს (**როდრიგოს** დუბლი, **კოკე**, **ისკო**), 2:0 მოუგეს ეკვადორს (**კანალესი**, **ვასკესი**) და 5:1 დაიბრიყვეს ავსტრალია (ვასკესის ჰეთ თრიკი, **რობერტო**, კანალესი). შემდეგ ეტაპზე გავიდნენ ეკვადორელები (4 ქულა) და კოსტა რიკელებიც (3).

D ჯგუფი: აქ ესპანელთა ანალოგიური შედეგი ნიგერიელებმა აჩვენეს (ერთით მეტი გოლიც კი გაიტანეს). ნიგერიამ 5:0 მოუგო გვატემალას (**ეგბედი 2**, **აჯაგუნი**, **კაიოდე**, **მუსა**), 5:2 - ხორვატიას (**ნვოფორი 2**, კაიოდე, **სუსვამი**, მუსა), და 2:0 საუდის არაბეთს (მუსა, კაიოდე). არაბები მეორე ადგილზე გავიდნენ. ამ ჯფუფში უცნაური რამ მოხდა, გვატემალის ნაკრებმა ისეთი მე-3 ადგილი დაიკავა, რომელიც პლეი ოფის საგზურს იძლეოდა. არადა, ამ ძალზე სუსტმა ნაკრებმა ნიგერიასთან გამანადგურებელი მარცხის შემდეგ უკვე 0:6 დათმო საუდის არაბეთთან, მაგრამ ბოლო ტურში ხორვატია აჯობა 1:0.

E ჯგუფი 7-7 ქულით დაასრულეს ბრაზილიის და ეგვიპტის ნაკრებებმა. ეს გუნდები პირველ ტურში მშვიდობით დაშორდნენ ერთმანეთს - 1:1 (**დანილო** ბრაზილიიდან). ამის შემდეგ ბრაზილიამ 3:0 მოუგო ავსტრიას (**ენრიკე**, **კოუტინიო**, **ვილიანი**) და 4:0 პანამას (კოუტინიო 2, ენრიკე, **დუდუ**). ეგვიპტე-ავსტრიის შეხვედრაში (4:0) ჰეთ თრიკი შეასრულა „ზამალეკის" შემტევმა ნახევარმცველმა **მოჰამედ იბრაჰიმმა**. ეს ამ ტურნირის ისტორიაში პირველი ჰეთ თრიკია, რომლის ავტორიც აფრიკელი ფეხბურთელია. იბრაჰიმს დიდ მომავალს თვით ბრაზილიელთა თავკაცი **ნეი ფრანკო** უწინასწარმეტყველებს.

F ჯგუფი მოიგო არგენტინის ნაკრებმა 7 ქულით, მექსიკელებმა კი 4 ქულა დააგროვეს და მე-2 ადგილზე გავიდნენ, ინგლისელებს 3 ქულა პლეი ოფში გასასვლელად ეყოთ. „სიკვდილის ჯგუფმა" აშკარად გაამართლა, მხოლოდ ჩრდილო კორეელთა გუნდი იყო აშკარა სუსტი. ინგლისელებს არც მოუგიათ, არც წაუგიათ, არც გოლი გაუშვიათ და არც გაუტანიათ, მერვედფინალში კი გავიდნენ.

9 აგვისტოს დადგა პლეი ოფების დრო და, ჰოი, საოცრებავ, პორტუგალიის ძლიერ გუნდს უსუსტესმა გვატემალამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და მხოლოდ ნელსონ ოლივეირას პენალტის წყალობით შემდეგ ეტაპზე პორტუგალია გავიდა. არგენტინამ **ერიკ ლამელას** დუბლის წყალობით დაამარცხა ეგვიპტე - 3:1. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში სამივე გოლი პენალტის ნიშნულიდან გავიდა. მექსიკამ და კამერუნმა საქმე პენალტების სერიამდე მიიყვანეს - 1:1. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ აფრიკელებს პენალტების დარტყმა არ სცოდნიათ - 3:0 მექსიკის სასარგებლოდ. მასპინძლებმა ბრძოლა „პორტუს" გარემარბის, **ჯეიმს როდრიგესის** 93-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით 3:2 მოუგეს კოსტა რიკას. ნიგერიამ 1:0 დაამარცხა უკბილო ინგლისი (ეგბედი). მოკლედ, **ბრაიენ ისტიკის** გუნდმა კოლუმბიაში გოლი ვერ გაიტანა. ესპანეთისა და სამხრეთ კორეის ნაკრებთა მატჩის ბედი პენალტების სერიამ გადაწყვიტა, 0:0-ის შემდეგ პენალტების სერია იბერიელებმა 7:6 მოიგეს და ბეწვზე გადაურჩნენ სენსაციურ გავარდნას. გადამწყვეტი პენალტი „ჩელსის" ახალწვეულმა **ორიოლ რომეუმ** გაიტანა. ბრაზილიას პრობლემა არ ჰქონია საუდის არაბეთთან თუმცა სამივე გოლი მე-2 ტაიმში გაიტანა - 3:0 (ენრიკე, **გაბრიელ სილვა**, დუდუ). დაბოლოს, საფრანგეთის ნაკრებს „რეალ სოსიედადის" ვარსკვლავმა **ანტუან გრიზმანმა** მოაგებინა 1:0.

ოთხი მეოთხედფინალიდან 2-ში პენალტების სერიამდე მივიდა საქმე, კიდევ ერთში კი ყველაფერი დამატებით ტაიმებში გაირკვა. მხოლოდ ერთ მატჩში მორჩა ყველაფერი 90 წუთში და ეს იყო მასპინძელთა დაპირისპირება მექსიკასთან - 1:3. სტუმრებს **ედსონ რივერას** დუბლმა და **ერიკ ტორესის** პენალტმა მოაგებინა. პორტუგალიამ და არგენტინამ 120 წუთში გოლი ვერ გაიტანეს. პენალტების სერია კი ევროპელებმა 5:4 მოიგეს. საფრანგეთი ლაკაზეტის გოლით უგებდა ნიგერიას, მაგრამ **ბრაით ეჯიკემ** ზედ ფინალური სასტვენის წინ გაათანაბრა. პირველ დამატებით ტაიმში ფრანგებმა ორი გაიტანეს (ფოფანა, ლაკაზეტი), მეორე დამატებით ტაიმში კი ნიგერიამ მხოლოდ ერთით უპასუხა (ისევ ეჯიკე) - 3:2.

ტურნირის მეოთხედფინალური სტადიის კულმინაცია ესპანეთი-ბრაზილია იყო. ბრაზილია „სან პაულუს" ვილიანმა დააწინაურა, მაგრამ როდრიგომ გაათანაბრა - 1:1. პირველ დამატებით ტაიმში დუდუმ ბრაზილია დააწინაურა, მაგრამ ორ წუთში ვასკესმა გაათანაბრა - 2:2. პენალტების სერიაში ფორტუნამ აღარ გაუღიმა ესპანეთს, მაშინ როცა **კასიმირო**, დანილო, ენრიკე და დუდუ ბრწყინვალედ ასრულებდნენ პენალტებს (მათი უფროსი თანამემამულეებისგან განსხვავებით - გაიხსენეთ კოპა ამერიკა!), ევროპელები **ხორდი ამატმა** და ბომბარდირმა ვასკესმა დაალალატეს - 4:2 პენალტების სერიაში, ბრაზილია წინ მიიწევს.

ბომბარდირთა დავაში 5 გოლით ალვარო ვასკესი ლიდერობს, მაგრამ „ესპანიოლის" ფორვარდს შედეგის გაუმჯობესება აღარ შეუძლია. 4-4 გოლი აქვთ კოლუმბიელ მურიელსა და ფრანგ ლაკაზეტს. 3 გოლი გაიტანა „რომას" არგენტინელმა ახალწვეულმა ერიკ ლამელამ და კიდევ სამმა ბრაზილიელმა (ფილიპე კოუტინიო, დუდუ, ენრიკე).

უნდა აღინიშნოს, რომ კოლუმბიაში ფეხბურთის ნამდვილი დღესასწაულია, ტურნირს მაყურებელი არ აკლია და საშუალოდ 20-30 ათასი მაყურებელი ყოველ შეხვედრას ესწრება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ჩელსი

რამ გაამხეცა სტოკელები?

„ჩელსის" თავკაცმა **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** მსაჯებს თხოვნით მიმართა: იბრძოლეთ მუჯლუგუნების წინააღმდეგ. მოგეხსენებათ, „ლურჯებმა" პირველ ტურში სტოკში ფრედ 0:0 ითამაშეს, რის შემდეგაც გუნდის ახალმა მწვრთნელმა თქვა:

„მუჯლუგუნებისა და ბიძგების რაოდენობამ გამაოცა. ეს, რაღაც, არაამქვეყნიური იყო".

ოთხშაბათს პრემიერლიგის მწვრთნელებისა და მსაჯების შეხვედრაზე AVB სწორედ ამ საკითხზე აპირებს ყურადღების გამახვილებას. „სტოკისა" და „ჩელსის" შეხვედრაში დასავლეთლონდონელები ორჯერ ითხოვდნენ პენალტს, ერთხელ **ფრანკ ლემპარდის** ხოლო მეორედ **ფერნანდო ტორესის** წაქცევის გამო, თუმცა მსაჯმა, **მარკ ჰეისლიმ** ორივე ეპიზოდში თამაშის გაგრძელება ბრძანა.

„ჩვენ, დამოუკიდებლად, ამის წინააღმდეგ ვერაფერს გავხდებით. ოთხშაბათს მსაჯებთან შეხვედრა დაგვინიშნეს და იქნებ ამ შეხვედრაზე მოვახერხო დისკუსიის წამოწყება. „სტოკის" ფეხბურთელებს სტანდარტული მდგომარეობები აქვთ კარგად დამუშავებული და ჩვენ ეს ვიცოდით. ვფიქრობ, მასპინძელთა ძლიერ მხარეებთან ბრძოლას კარგად გავართვით თავი, მაგრამ შეტევას მუჯლუგუნების რაოდენობა უბრალოდ შეუძლებელს ხდიდა. ბოლოს და ბოლოს შეხვედრის განმავლობაში ხელის კვრას სადღაც დასასრული ხომ უნდა ჰქონოდა? მსაჯებმა ასეთ დეტალებზე ყურადღება უნდა გაამახვილონ. „სტოკს" „ფეარ პლეის" აღიარებული ნორმები ნამდვილად არ დაურღვევია, მაგრამ მუჯლუგუნებში ყველანაირ ზღვარს გადაცდა" — თქვა ვილაშ-ბოაშმა.

ილია ბაბუნაშვილი

ვილაშ-ბოაში (მარცხნივ) და ფრანკ ლემპარდი

EuroBasket 2011 LITHUANIA

ყველაფერი ევრობასკეტის შესახებ

ლიტვა 2011
ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში

სპეციალური ჟურნალი
144 გვერდი

კალენდარი
ჩვენი მეტოქეები
საქართველოს ნაკრების გზა

40 გამარჯვება
56 კალათბურთელი
76 თამაში

20 აგვისტოს!
-სთან ერთად!

ფასი: 3 ლარი.
(ლელოსთან ერთად 3 ლარი და 80 თეთრი)

ქართული სპორტი

● ძიუდო. ნაკრები

ბაინდურაშვილი მსოფლიოსთვის გამოირიცხა

დასკვნითი შეკრება დუშეთში

საქართველოს ვაუ ძიუდოისტთა ნაკრები შაბათ დილას დაბრუნდა რომიდან, სადაც 10-დღიანი შეკრება გაიარა. მათთან ერთად იტალიელთა პირველი გუნდიც ვარჯიშობდა, ხოლო საბერძნეთიდან ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ილიას ილიადისი** (**ჯარჯი ზვიადაური**, 90) იყო ჩასული კიდევ ერთ იქაურ ბერძენ სპორტსმენთან ერთად. ჩვენები დასახული გეგმით ემზადებოდნენ, ყოველდღიური ვარჯიშებით და სპარინგ-შეხვედრებით. ერთი ეგაა, რომ ვერ მოხერხდა იტალიელებთან გუნდი-გუნდზე პრინციპით საკონტროლო ორთაბრძოლის გამართვა, რასაც იქ წასვლამდე ჩვენებურთა ავსტრიელი თავკაცი **პეტერ ზაიზენბახერი** იმედოვნებდა, თუმცა ამას არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებდა და არა გვგონია, ახლა ამაზე დიდად ინაღვლოს. უბრალოდ, მისი აზრით, ასეთი შეხვედრა თუ გამოვიდოდა, კარგი იქნებოდა, თორემ აუცილებლობა არ იყო.

სპორტსმენებმა იტალიაში ყველამ ჩვეულებრივად სრული დატვირთვით ივარჯიშა და ნაყოფიერი შეკრება გაიარა. საბედნიეროდ, არც ტრავმები ყოფილა ერთი გამონაკლისის გარდა - **გიორგი ბაინდურაშვილმა** (81) ნატკენი ფეხი კიდევ უფრო გაიმიზეზა. ფეხი მან ჯერ კიდევ თბილისში, რომში წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე იტკინა, თუმცა მკურნალობდა და ზაიზენბახერმა მაინც წაიყვანა იმ იმედით, რომ იქ ყოფნისას საბოლოოდ მოურჩებოდა, სამწუხაროდ, მორიგ ვარჯიშზე მუხლი ისევ დაარტყა და მოუშუშებელი იარა უფრო გაურთულდა. ამით 23-28 აგვისტოს პარიზში გასამართ მსოფლიოს პირველობაზე მისი წასვლა საბოლოოდ გამოირიცხა. არადა, ზაიზენბახერი მას ისე ელოლიავებოდა, ვფიქრობთ, საფრანგეთში წასვლა განაღდებული ჰქონდა. ამის თქმის საფუძველს თუნდაც ის ფაქტი გვაძლევს, რომ ევროპის მედალოსანი **ლევან წიკლაური** თავდაპირველად უნივერსიადაზე გაამწესა ანუ ამ წონაში მსოფლიოზე წასვლის კანდიდატებად ბაინდურაშვილი და **ავთანდილ ჭრიკიშვილი** დატოვა. საყურადღებოა ისიც, რომ ტრავმის მიუხედავად, ბაინდურაშვილი მაინც წაიყვანა იტალიაში ანუ ის ბოლომდე არ ეთმობოდა და მაინც ამზადებდა მსოფლიოსთვის იმ იმედით, რომ გამოჯანმრთელებას მოასწრებდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ბაინდურაშვილიც საბოლოოდ გამოირიცხა.

ნაკრები კვირას დუშეთში წავიდა, სადაც გუშინ მსოფლიოსთვის მოსამზადებელი დასკვნითი შეკრება დაიწყო. გუნდი იქიდან 20 აგვისტოს დაბრუნდება, 21-ში კი პარიზში გაფრინდება. ცხადია, ზაიზენბახერს უკვე შეგულებული ჰყავს იქ წასაყვანი შემადგენლობა, მაგრამ ბოლო დღემდე მის გამოცხადებას არ ჩქარობს. ამბობს, რომ ზოგიერთ წონაში ჯერ კიდევ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. თან იმისიც ეშინია, ვაითუ ვინმემ დარჩენილ დროში ვარჯიშს მოუკლოსო. თუმცა ზაიზენბახერი ყველას აფრთხილებს, რომ სპორტული რეჟიმის ნებისმიერი დარღვევა - ვარჯიშებისადმი ზერელე დამოკიდებულება თუ ხულიგნურ-ძველბიჭური გამოხტომა, ნაკრებიდან მოკვეთით დაისჯება და უდისციპლინობას არავის აპატიებს.

ზაიზენბახერი შემადგენლობას ჯერ ოფიციალურად არ ასახელებს, თუმცა კულუარულ ინფორმაციებზე და შეჯიბრებათა შედეგებზე დაყრდნობით ბევრ წონაში მონაწილეთა უმეტესობა ისედაც შეიძლება გამოვიცნოთ. მაგალითად, 60 კილოგრამში ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ბეთქილ შუკვანსა** და **ამირან პაპინაშვილს** კონკურენტი არც ჰყავთ. თან ორივე მაღალი დონის ჭიდაობას აჩვენებს. ბაინდურაშვილის გამოკლებამ ჭრიკიშვილი და ნიკლაურიც უკონკურენციოდ დატოვა. 73-ში **ამბაკო ავალიანის** უნივერსიადაზე წასვლა მსოფლიოს სიიდან ამოღებას ნიშნავდა, ამ წონაში კი კანდიდატებად **ნუგზარ ტატალაშვილი** და **თენგიზ პაპოშვილი** რჩებიან, თუმცა არ გამოვრიცხავთ (და ამას ჩვენი ინფორმაციებიც ადასტურებენ), რომ იქნებ ორივე არც წაიყვანოს. კულუარული ხმებით, შესაძლოა ასევე ერთი მონაწილე გვყავდეს 66-ში, 90-ში კი **ვალერი ლიპარტელიანთან** ერთად **ზვიად გოგოჭურსაც** გუნდის წევრად ასახელებენ. 100-ში ლამის გარკვეულია მონაწილეთა ვინაობა - მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** და ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ლომერ ყორყოლიანი**. მძიმეში **ზვიად ხანჯალიაშვილს** განაღდებული აქვსო ადგილი, მეორე მონაწილეზე კი სხვადასხვა ხმები დადის და მოდით, დაველოდოთ მწვრთნელთა გადაწყვეტილებას.

მსოფლიოს ჩემპიონატი 23 აგვისტოს დაიწყება და პირადი პირველობა 27-მდე გასტანს, შეჯიბრება კი 28-ში დასრულდება გუნდური ასპარეზობით. 23-ში ქალთაგან 48, ვაჟთაგან კი 60-66-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ. მეორე დღე ქალთაგან 52-57-ს, ვაჟთაგან კი 73-ს დაეთმობა. 25-ში სუსტი სქესიდან 63-კილოგრამიანები, ძლიერიდან კი 81-კილოგრამიანები მოსინჯავენ ძალებს, 26 აგვისტო 70-78 კილოგრამში ქალებს და 90 კილოგრამში ვაჟებს დაეთმობათ, 27-ში კი ორივე სქესის მძიმენონოსნები და პლუს 100-კილოგრამიანი ვაჟები იჭიდავებენ.

ირაკლი თავაძე

● მსოფლიოს უნივერსიადა

უმეჯლოდ ვრჩებით?

Universiade SHENZHEN 2011

მსოფლიოს უნივერსიადაზე, რომელსაც ჩინური შენჟენი მასპინძლობს წარუმატებლად გამოდიან ქართველი სპორტსმენები - ჩვენს აქტივში ჯერჯერობით არც ერთი მედალი არაა. ჩვენი დელეგაციისგან ჯილდოებს, უპირველესად, ძიუდოისტებისგან ელოდნენ, ისინი კი ვერაფრით გვახარებენ. მათ ასპარეზობა შაბათს დაიწყეს, გუშინ უკვე მესამე დღე მიილია, ამ პერიოდში ტატამზე გასული ექვსი ძიუდოისტიდან კი უმეტესობა ისე გავარდა, სანუგეშო წრემიც ვერ გადავიდა. **არჩილ საღინაძის** (+100), **იოსებ მსხალაძის** (100), **ბეთქილ ნავერიანისა** (90) და **დავით კარბელაშვილის** (81) დარად, გუშინ **ამბაკო ავალიანი** (73) და **გიორგი შოშიაშვილიც** (66) უმეჯლოდ დარჩნენ.

ავალიანი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ჩეხ **ვაცლავ სედმიდუბსკის** იპონით მოუგო. სამწუხაროდ, მეტის გაკეთება ვეღარ შეძლო - მომდევნო შეხვედრაში თურქ **ჰასან ვანლიოღლუსთან** დამატებით დროში იუკოთი დამარცხდა. პირველ წრეში შოშიაშვილიც ისვენებდა, მეორეში კი ალჟირელ **მოჰამედ ბოუგორფას** გაფრთხილებებით აჯობა. მეოთხედფინალში ჩვენებური პორტუგალიელ **სერგეი ოლეინიჩს** ვაზარს კი უგებდა, მაგრამ გაფრთხილებებით მაინც წააგო. სანუგეშოში ის პირველივე შეხვედრაში იპონით დამარცხდა რუს **მიხაილ პულიაევთან** და უმეჯლოდ დარჩა.

ხვალ შენჟენში **პაატა მერებაშვილი** (60) და ისევ მსხალაძე (ამჯერად - აბსოლუტურში) იჭიდავებენ. მერებაშვილი პაკისტანელ **ფარიდ გულამის** ხვდება, მსხალაძე - უკრაინელ **ალექსანდრ სიზოვს**.

უნივერსიადაზე მშვილდოსნობაში დღეს ჩვენი ერთადერთი მონაწილე - **დავით ჭელიძეც** გამოვიდა, თუმცა არც ისე წარმატებით - 558 ქულა დააგროვა, რითაც 67 მონაწილეს შორის 64-ე ადგილზე გავიდა. ის პლეი ოფში ზეგ გამოვა და ამერიკელ **გლენ ტომასის** დამარცხებას შეეცდება.

ირაკლი თავაძე

● ძიუდო. არჩევნები ფედერაციაში

ძიუდოისტები პრეზიდენტს ირჩევენ

დღეს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ძიუდოს ფედერაციის რიგგარეშე არჩევნებია - დელეგატები პრეზიდენტს აირჩევენ. თუმცა ასარჩევადაც არაა საქმე, რადგან კენჭს ერთადერთი კანდიდატი იყრის - პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ალექსიძე**. უფრო სწორი იქნება იმის თქმა, რომ დელეგატები მას პოსტზე დაამტკიცებენ და ისიც არა მოვალეობის შემსრულებელი, არამედ სრულფასოვანი პრეზიდენტი გახდება.

ფედერაციაში ახალი საპრეზიდენტო არჩევნების გამართვის საჭიროება მას შემდეგ დადგა, რაც პარლამენტარმა **დილარ ხაბულიანმა** შარშან პოსტი დატოვა. მოარული ხმებით, არჩევნები აქამდეც უნდა გამართულიყო, რამდენჯერმე მიახლოებითი თარიღიც დასახელდა, მაგრამ დღემდე გაიწელა. ამ პერიოდში ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ალექსიძე ასრულებდა.

ირაკლი თავაძე

● ქართული ჭიდაობა

ახალი თავკაცი

ბაიმართა თბილისის ქართული ჭიდაობის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა.

დელეგატებმა ამ ფედერაციის ახალ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების მთავარი ცენტრის გენერალური დირექტორი **ემზარ კიკაბიძე.**

● ჭადრაკი. მსოფლიოს პირველობა

პაიკიძეს ბრინჯაო

ინდოეთში გუშინ დამთავრდა 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც, როგორც გაუწყეთ, ორი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობდა. შეჯიბრების ბოლო ტურის წინ ასპარეზობის რეიტინგფავორიტ **ნაზი პაიკიძეს** ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი ჰქონდა და მან ეს შესაძლებლობა გამოიყენა. გუშინ მე-13 ტურში მან შავი ფიგურებით რუსი ანასტასია სავინა დაამარცხა და 9,5 ქულით მე-3 ადგილი დაიკავა, რადგან მისმა მთავარმა კონკურენტმა - ირინა ბულმაგამ (რუმინეთი) თეთრი ფიგურებით კუბრა ოზთურქთან (თურქეთი) წააგო.

ბოლო ტურის წინ „ოქრო-ვერცხლი", ოლგა გირიას (რუსეთი) და დეიზი კორის (პერუ), გარდა, სხვებისთვის მიუწვდომელი იყო. სწორედ ამ ორ მოჭადრაკეს შორის უნდა გარკვეულიყო, ვინ პირველი იქნებოდა და ვინ - მეორე. გუშინ კორიმ შავი ფიგურებით **ქეთი წანალაშვილი** დაამარცხა, მოაგროვა 11 ქულა და ჩემპიონობა დაიმსახურა, რადგან გირიამ თეთრებით როუთ რადმინისთან წააგო და 10,5 ქულით ვერცხლს დასჯერდა. 9-9 ქულით მეოთხე-მეხუთე ადგილები რადმინიმ და ოზთურქმა გაინაწილეს. ქეთი წანალაშვილმა კი 7,5 ქულით 21-ე ადგილი დაიკავა, თან რეიტინგში 26,5 პუნქტი დაკარგა.

ვაჟებში 13 შესაძლებლიდან 10,5 ქულით პირველ ადგილზე პოლონელი დარიუშ სმირუი გავიდა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე იყო რობერტ ჰოვანისიანი (სომხეთი). 9,5 ქულით საჰაჯ გროვერს (ინდოეთი) ბრინჯაო ხვდა.

ვაჟა დანელია

ნაზი პაიკიძე

ჭადრაკი, ჩოგბურთი, ფარიკაობა

ჩინურ შენჟენში გრძელდება მსოფლიო უნივერსიადა, რომელშიც ქართველებიც მონაწილეობენ. წარმატებით აიღეს სტარტი მოჭადრაკე გოგონებმა. პირველ ტურში **სოფიკო გურამიშვილმა** სირიელი პიუმი მანეში დაამარცხა, **ნინო ბაციაშვილმა** ინდონეზიელ ნორასა ვერდიანას სძლია, **მაკა ფურცელაძემ** კი ეგვიპტელ მერიჰან მაჰმუდს მოუგო. ვაჟებმაც იოლად გადალახეს პირველი ბარიერი: **დავით ბენიძე**-ჰაო ჩონგ ონგი (სინგაპური) 1:0, **ლუკა პაიჭაძე**-კაიმენ ვონგი (მალაიზია) 1:0.

მეორე ტურის შეხვედრები ჩვენებურებისთვის უფრო რთული გამოდგა. დავით ბენიძემ (2514) ჩინელ იუ ვანთან წააგო. ეს უკანასკნელი რეიტინგით 2700-იანთა კლუბის წევრია (2709) და უნივერსიადაზე მხოლოდ თანამემამულე ჰაო ვანს (2718) ჩამორჩება. საგულისხმოა, რომ ორივენი ჩინეთის ვაჟთა ეროვნული ნაკრების წევრები არიან და შენჟენშიც ფავორიტებად მიიჩნევენ. ლუკა პაიჭაძე (2489) და სომეხი ზავენ ანდრიასიანი, რომელსაც საკმაოდ მაღალი რეიტინგი (2616) აქვს, დაზავდნენ. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ ნინო ბაციაშვილი და ყაზახი მადინა დავლეტბაიევა. მაკა ფურცელაძემ და სოფიკო გურამიშვილმა კი მორიგი გამარჯვებები ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში, შესაბამისად, ტამარა ჩერემნოვასთან (რუსეთი) და ჰაზელ იანგ ლიუსთან (სინგაპური) პაექრობისას.

დღეს მე-3 ტურში ქართველი მოჭადრაკეები მეტოქეებს ასე დაუწყვილდნენ: პაიჭაძე-იან მარკოში (სლოვაკეთი), ბენიძე-ლუ იო იონგ აუ (მალაიზია), იოლანტა ზავადსკა (იგი პოლონეთის ნაკრების წევრია)-გურამიშვილი, ფურცელაძე-ქიან ჰუანი (ჩინეთი), გულმირა დაულეტოვა (ყაზახეთი)-ბაციაშვილი.

■ ■ ■

შეჯიბრებაში ჩაება ჩოგბურთელი **სერგო პეტრიძე,** თუმცა მისი დებიუტი მარცხიანი აღმოჩნდა: 23-ე სამკაციან ჯგუფში მან პირველი შეხვედრა კორეელ ლიისთან დათმო - 0:3 (3:11, 1:11, 1:11), დღეს ჰოლანდიელ ჩუნს დაუპირისპირდება.

■ ■ ■

მოფარიკავეთა ასპარეზობაში ორი მოხმალავე გვყავდა - **თათია აფციაური** და **ბექა ბაზაძე.** ორივემ უკვე მოსინჯა ძალები. ბექამ საბოლოოდ მე-18 ადგილი დაიკავა. მედლები კი ასე განაწილდა: 1. ანდრეი იაგოდკა (უკრაინა), 2. გილ ბონ გუ (კორეა), 3. მასიმილიანო მუროლო (იტალია) და ვეი ჰი (ჩინეთი).

გოგონებში თათია აფციაური 52 მონაწილეს შორის 46-ე იყო. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კი აქაც უკრაინელი გავიდა - ოლგა ხარლანი, რომელმაც რუმინელი ალექსანდრა ბიანკა პასკუ დაამარცხა. კორეელ იონ ლი კიმსა და ჰონკონგელ სუმ უაი იენ აუს ბრინჯაოს მედლები ერგოთ.

ვაჟა დანელია

ᲭᲔᲓᲠᲘᲐᲕᲘ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲠᲝᲨᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲓᲐᲤᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲚᲛᲐ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. ᲚᲔᲚᲝ N 186-189

ᲛᲐᲒᲝᲜᲓᲔᲑᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲓᲐ ᲡᲘᲧᲠᲛᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲐᲯᲘ ᲚᲔᲕ ᲐᲑᲠᲐᲛᲝᲕᲘ. ᲔᲠᲗ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲨᲘᲜ ᲛᲘᲒᲕᲘᲬᲕᲘᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲫᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲜᲠᲦᲠᲔᲛᲘ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲡᲣᲤᲠᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲓᲐ ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲑᲐᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲗᲐᲕᲨᲔᲣᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲩᲔᲜᲓᲐ, ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲣᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲐᲮᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲠᲘᲠᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲝᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲮᲨᲐᲛᲓ ᲑᲝᲠᲝᲛᲓᲔ ᲒᲐᲰᲧᲕᲐ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲛᲘᲗ ᲕᲣᲡᲛᲔᲜᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲘᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲚᲐᲙᲝᲜᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲔᲗᲥᲕᲐ. ᲐᲡᲔ ᲨᲔᲕᲫᲚᲘᲗ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲗᲒᲝᲒᲠᲐᲕᲘ ᲐᲦᲜᲘᲡᲮᲕᲐ, ᲛᲐᲗᲓᲐᲛᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲐᲢᲕᲐ.

- ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲖᲔ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲛᲐᲡᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲛᲨᲕᲔᲓᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲔ ᲘᲡᲘᲜᲔ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲛᲓᲔ ᲛᲘᲕᲐᲪᲘᲚᲔ. ᲚᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲓᲐᲦᲛᲐᲠᲗᲘ ᲠᲛᲐ ᲩᲐᲒᲐᲗᲐᲕᲔᲗ, „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲙᲘᲗ“ ᲐᲡᲔᲗᲒᲝ ᲤᲔᲮᲘᲗ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ, ᲦᲐᲛᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲛᲣᲗᲐᲘᲤᲝᲑᲓᲘᲗ.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘ ᲣᲪᲘᲜᲐᲓ ᲩᲔᲛᲙᲘᲗᲔᲜ ᲨᲔᲛᲝᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ:

- ᲓᲦᲔᲡ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲐᲛᲐᲤᲘᲥᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲣᲤᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲑᲐᲛ. ᲗᲐᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲜᲔᲑᲝᲗ ᲡᲘᲧᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲐ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲐᲯᲘ ᲚᲔᲕ ᲐᲑᲠᲐᲛᲝᲕᲘ. ᲔᲠᲗ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲨᲘᲜ ᲛᲘᲒᲕᲘᲬᲕᲘᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲫᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲜᲠᲦᲠᲔᲛᲘ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲡᲣᲤᲠᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲓᲐ ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲑᲐᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲗᲐᲕᲨᲔᲣᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲩᲔᲜᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲦᲜᲘᲡᲮᲕᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲠᲘᲠᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲝᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲮᲨᲐᲛᲓ ᲑᲝ-ᲛᲓᲔ ᲒᲐᲰᲧᲕᲐ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲛᲘᲗ ᲕᲣᲡᲛᲔᲜᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲘᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲚᲐᲙᲝᲜᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲔᲗᲥᲕᲐ. ᲐᲡᲔ ᲨᲔᲕᲫᲚᲘᲗ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲐᲢᲕᲔᲑᲘᲡ.

ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲖᲔ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲛᲐᲡᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲛᲨᲕᲔᲓᲜᲔᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲤᲘᲥᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲐᲪᲘᲗᲮᲝᲗ ᲡᲘᲮᲐᲚᲘᲡᲘᲐᲜᲘ, ᲨᲔᲣᲖᲐᲖᲔᲑᲣᲚ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲭᲔᲕᲠᲛᲔᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲯ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲦᲛᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲗᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲛᲐ.

ᲓᲐ ᲐᲛᲔᲤᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲛᲐᲦᲔᲚᲔᲕᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲚᲐᲗᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲦᲕᲜᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲫᲘᲔᲑᲐ. ᲜᲐᲓᲘᲛᲖᲔ ᲘᲡᲐᲓᲐᲣᲠᲔᲑᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲠᲘᲒᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲕᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲠᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲘᲗ ᲨᲔᲣᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲗᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲔᲠᲬᲧᲛᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ.

ᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲐ ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲐᲗᲐ ᲑᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲒᲠᲜᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ, ᲛᲐᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲙᲕᲐᲚᲣᲚ ᲡᲘᲧᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲖᲝᲨᲘᲩᲔᲜᲙᲝᲡ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲔᲡ, ᲛᲐᲜ ᲣᲛᲪᲠᲝᲡ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲣᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲐ: ᲨᲝᲠᲡ ᲒᲐᲣᲢᲔᲕ, ᲛᲐᲦᲐᲚ ᲛᲬᲕᲠᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲝᲠᲧᲠᲝᲑᲝ. ᲘᲡ ᲨᲔᲣᲞᲝᲕᲠᲐᲓ ᲛᲘᲘᲜᲬᲕᲔᲓᲐ ᲐᲦᲗᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲙᲔᲜ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲝᲨᲣᲠᲜᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲠᲬᲛᲣᲜᲝᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲔᲜᲔᲑᲜᲔᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲰᲧᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲚᲐᲛᲐᲖᲝᲗ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲖᲠᲐᲰᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔ ᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ ᲦᲠᲣᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲡᲐᲰᲔᲑᲐ ᲗᲣᲗᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔ ᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ ᲓᲦᲠᲣᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲡᲐᲰᲔᲑᲐ ᲗᲣᲗᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘ. ᲠᲐᲒᲝᲠᲘᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲪᲝᲮᲜᲘᲐᲜ, ᲐᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲡᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲡ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲚᲔᲕᲓᲐ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ ᲒᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲛᲐᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲝᲮᲕᲔᲭᲘᲚ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲔᲡ, ᲛᲐᲜ ᲣᲛᲪᲠᲝᲡ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲣᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲐᲕᲐᲒᲔᲚᲐᲓ, ᲐᲠᲐᲛᲔᲯ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲐᲖᲠᲝᲗ ᲛᲝᲜᲬᲕᲔᲣᲚᲗᲐ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲜᲘᲣᲐᲜᲡᲔᲑᲘ, ᲐᲛᲝᲘᲪᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲚᲐᲛᲐᲖᲝᲗ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲖᲠᲐᲰᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔ ᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ ᲦᲠᲣᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲗᲐ ᲠᲐᲛᲐᲠᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲐᲛᲔᲯ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲡᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲕᲘᲪᲜᲝᲗ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲐᲕᲐᲒᲔᲚᲐᲓ, ᲐᲠᲐᲛᲔᲯ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲐᲖᲠᲝᲗ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲐᲕᲐᲒᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲛᲡᲐᲣᲑᲠᲔᲚᲘ ᲛᲘᲕᲒᲣᲒ: ᲗᲣ ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, ᲓᲐᲔ ᲜᲣᲠᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐᲝ. ᲐᲛ „ᲡᲮᲕᲐᲨᲘ“ ᲙᲘ ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘ ᲘᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲓᲜᲔᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲝᲰᲪᲕᲔᲑᲡ, ᲡᲮᲕᲐᲒᲒᲐᲠᲐᲓ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲨᲔᲣᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲯ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲦᲛᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲗᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲛᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ:

- ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲮᲓᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲝᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲑᲘᲗ ᲮᲐᲠ �თუ ᲐᲠᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ?

ᲛᲐᲜ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲐᲠᲪ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲚ ᲙᲝᲜᲢᲠᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲨᲔᲛᲐ�გᲔᲑᲐ:

- ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ?

ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ, ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, ᲓᲐᲔ ᲜᲣᲠᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐᲝ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘ ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲘ ᲑᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲔᲑᲘ ᲘᲡᲮᲓᲜᲔᲜ.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲡᲐᲫᲛᲝᲨᲘ ᲣᲔᲪᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲭᲐᲠᲘᲚ ᲭᲐᲑᲬᲙᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲔᲑᲘᲗ. ᲮᲐᲜ ᲠᲐᲡ ᲣᲬᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲮᲐᲜ ᲠᲐᲡ. ᲘᲛᲘᲡᲐᲪ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲑᲔᲓᲐᲕᲡᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲜ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲗ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲐᲛᲐᲑᲡᲮᲡᲝᲕᲠᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲡᲐᲮᲠᲘᲐᲜ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ.

- ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲐ ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲐᲗᲐ ᲑᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲒᲠᲜᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ, ᲛᲐᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲙᲕᲐᲚᲣᲚ ᲡᲘᲧᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲖᲝᲨᲘᲩᲔᲜᲙᲝᲡ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲔᲡ, - ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲓᲐᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲛᲐᲜ. ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲡ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲚᲔᲕᲓᲐ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ ᲒᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲛᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲑᲐᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲠᲒᲝᲛᲔᲯ ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲝᲗ. ᲥᲕᲐᲪᲐᲑᲐᲘᲐ ᲠᲣᲗ **ᲓᲘᲐᲜᲐ ᲘᲡᲐᲕᲐᲡ** (752) ᲮᲕᲓᲔᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲒᲝᲠᲒᲝᲛᲯᲘ ᲛᲔ-7 ᲜᲝᲛᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲗᲔᲗᲡᲘᲚᲘ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚᲘ **ᲠᲝᲡᲘᲝ ᲓᲔ ᲚᲐ ᲢᲝᲠᲔᲡ** (409) ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲓᲦᲔᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲡ ᲓᲐᲕᲐᲠᲦᲕᲔᲕᲗ ᲓᲐ ᲘᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲩᲝ�გᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡᲐᲪ ᲒᲐᲒᲘᲪᲜᲝᲗᲑᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲝᲑᲗ: **ᲐᲜᲐ ᲩᲐᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔ** (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 125-Ე ᲩᲝ�გᲑᲐᲜᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝ **ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲤᲘᲤᲘᲐ** (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) - 429-Ე.

ATP-Ს ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲨᲘ ᲙᲚᲐᲕ ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ - ᲡᲐᲛᲔᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ **ᲚᲐᲓᲝ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ** 13 ᲥᲣᲚᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 844-Ე ᲩᲝᲗᲒᲐᲜᲘᲐ. ᲡᲮᲕᲔᲑᲘ: 1214 (-) **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲪᲘᲕᲐᲫᲔ** - 3 ᲥᲣᲚᲐ; 1496 (-) **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ** - 1. ᲐᲥᲪᲐ ᲒᲐᲒᲐᲪᲜᲝᲗ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲞᲐᲠᲔᲖᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ: **ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) 129-Ე ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔᲐ, **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) - 527-Ე.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ

ᲩᲝ�გᲑᲣᲠᲗᲘ


ᲐᲜᲐ ᲩᲐᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔ

ᲜᲘᲣᲘᲝᲠᲙᲣᲚᲘ ᲑᲐᲒᲐᲚᲘᲔᲑᲘᲡ წᲘᲜ

WTA-Ს ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲨᲘ ᲡᲣᲚ 7 ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲨᲕᲘᲓᲘᲕᲘ ᲛᲝᲜᲘᲜᲐᲕᲔ ᲮᲣᲗᲐᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲘ 21 ᲬᲚᲘᲡ **ᲐᲜᲐ ᲩᲐᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔ**. ᲐᲜᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲙᲘᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ Კ

გზად ევრობასკეტისკენ ნაკრები საქართველოში შემოიარა

შვეიკი ლიტვაში დიდ მომავალს გვიწინასწარმეტყველებს



გუშინ 17:15 საათზე ამსტერდამის რეისით თბილისის აეროპორტში ორი საკალათბურთო გუნდი დაეშვა - საქართველოსა და ისრაელის ნაკრებები. მათ ჰოლანდიის ქალაქ ალმერეში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და ერთად გამოეშურნენ საქართველოსკენ, სადაც კიდევ ერთ საკონტროლო მატჩს გამართავენ. მატჩი დღეს, სპორტის სახლეში 18 საათზე დაიწყება. ბილეთის ფასი 2, 3 და 5 ლარია.

ორი გამარჯვებული ერთ აეროპორტში

აეროპორტში ხალხმრავლობა იყო, შეკრებილნი მხოლოდ კალათბურთელებს როდი ელოდნენ - თითქმის ერთ დროს ჩამოფრინდნენ თვითმფრინავები ამსტერდამიდან და კიევიდან. პირველს, როგორც გითხარით კალათბურთელები ჩამოჰყვნენ, უკრაინიდან ჩამოფრენილმა თვითმფრინავმა კი ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრები ჩამოიყვანა. მოჭიდაველებმა მსოფლიო როგორ დაიპყრეს, გუშინდელ ნომერში ნაიკითხავდით, კალათბურთელთა ნაკრებიც გამარჯვებით ჩამოვიდა - ალმერეს ტურნირი მოიგო. სამი მატჩის შემდეგ მას და ჰოლანდიას 2-2 მოგება მოუგროვდათ. ურთიერთშეხვედრა ქართველებს ჰქონდათ მოგებული და ამიტომ ჩემპიონობაც ჩვენს კალათბურთელებს დარჩათ.

მოსაცდელში ჯერ მოჭიდაველები გამოვიდნენ. მათ კალათბურთელები გამოჰყვნენ. ისევე, როგორც მატჩების წინ, გვარების გამოცხადებისას, ჯერ მეოთხე ნომერი **ლაშა გამყრელიძე** გამოჩნდა და პირველი კომენტარიც გააკეთა:

- ჰოლანდიიდან დადებითი ემოციებით ვბრუნდებით. დავამარცხეთ ჰოლანდიის ნაკრები და კოლეჯების წარმომადგენელი „ვილიანოვა“, წავაგეთ ისრაელთან. საბოლოოდ პირველი ადგილი დავიკავეთ. რაც შეეხება ისრაელის ნაკრებთან მატჩს, მასთან ჰოლანდიაში წავაგეთ, თუმცა იმედი გვაქვს, 16 აგვისტოს თბილისში რევანშს ავიღებთ. აქამდე ჩატარებული და ლიტვა-ლატვიასთან გასამართი შეხვედრებიც თამაშის გაუმჯობესებაში უნდა დაგვეხმაროს, რათა, ევრობასკეტს საუკეთესო ფორმაში შევხვდეთ.

სწორ გზაზე

პირველი ნომრის (გამთამაშებლის) შემდეგ მეორე ნომერს (მსროლელს), **მანუჩარ მარკოიშვილს** მოვუსმინოთ.

- სასურველ ფორმაში ჯერ არა ვართ და რაც მალე მივაღწევთ, მით უკეთესი. თუმცა აჩქარებაც არ ივარგებს, მზადება ჯერ არაა დასრულებული და მთავარია, გუნდი 31 აგვისტოს, ევროპის ჩემპიონატზე გასამართ პირველ მატჩს შეხვდეს ოპტიმალურ კონდიციებში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწორ გზაზე ვდგავართ და ეტაპობრივად ვაუმჯობესებთ თამაშის ხარისხს. ავსტრიაში, ესტონეთსა და ჰოლანდიაში გამართული მატჩები საკმარისი იყო იმისთვის, რომ გაგვეგო, რაზე გვაქვს სამუშაო და რა კომპონენტი უნდა გავაუმჯობესოთ. დარჩენილ დროს სწორედ მინუსების გამოსწორებას მოვახმართ.

ერთად...

ამასობაში ორი ხელჩანთით საქართველოს ნაკრების თავკაცი **იგორ კოკოშკოვიც** გამოჩნდა. ცხადია, ჩვენი გაზეთის მკითხველს მისი მოსაზრებაც აინტერესებს, თუმცა კომენტარი რომ ვთხოვეთ, კალათბურთელებისკენ მიბრუნდა - მათ გაესაუბრეთ, ისინი გეტყვიან ყველაფერსო. თუმცა საბოლოოდ ჩვენი თხოვნა გაითვალისწინა და...

- ჯერჯერობით მზადების პროცესში ვართ. ჩავატარეთ 8 მატჩი, რომლებშიც დავინახეთ ჩვენი სისუსტეები. ევრობასკეტამდე დრო კიდევ გვაქვს და ერთად უნდა ვიმუშაოთ შეცდომების გამოსწორებაზე, უფრო გუნდურად ვითამაშოთ, კონდიციებიც გავუმჯობესოთ, რაშიც დარჩენილი ოთხი მატჩიც დაგვეხმარება.

ჰეინსიც ქართულ ოჯახში

15 აგვისტოს, 17:15 საათზე საქართველოს მიწაზე პირველად დადგა ფეხი ნატურალიზებულმა **მარკიზ ჰაინსმა**, რომელიც მეტად გულღია ადამიანი ჩანს:

- ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, ასეთ ნაკრებში თამაში. შესანიშნავი თანაგუნდელები გავიცანი და ვეცდები ევრობასკეტზე წარმატებულ თამაშში მეც დავეხმარო. აქამდეც დავრწმუნდი, რომ ეს ერთი დიდი ოჯახია.

ოჯახთან დაკავშირებით: აეროპორტში კალათბურთელებს მეუღლეებთან ერთად შვილებიც მოუთმენლად ელოდნენ, **ზაზა ფაჩულიას** უმცროსმა ვაჟმა ვერ მოითმინა, ლენტი ჩამოხსნა და იქით გაიქცა, საიდანაც კალათბურთელები უნდა გამოსულიყვნენ...

კიდევ უნდა მოვუმატოთ

თორნიკე შენგელია ნაკრებს მას შემდეგ შეუერთდა, რაც ახალგაზრდული გუნდი ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა. საინტერესოა, მოასწრო თუ არა 20-წლამდელთა თამაშებსა და ეროვნულის ვარჯიშებს შორის დასვენება.

- შუალედში რამდენიმე დღე დავისვენე. ეროვნულ გუნდთან ვარჯიში რომ დავიწყე, თავიდან ცოტა გამიჭირდა, თუმცა ნელ-ნელა ფორმაც დავიბრუნე და ახლა თავს ნორმალურად ვგრძნობ. კიდევ უნდა მოვუმატოთ.

გამოცდილი, ფიზიკურად ძლიერი...

ისრაელის ნაკრების თავკაცი **არიკ შვეკი** საქართველოში მეორედაა. პირველად „ამსტერდამთან“ ერთად „ენერჯისთან“ ევროჩელენჯზე სათამაშოდ ჩამოვიდა.

- საქართველოს ნაკრებში ევროპის ჩემპიონატზე დიდ მომავალს ვხედავ. ფიზიკურადაც ძლიერი გუნდი გყავთ, მოთამაშეების კლასითაც და რაც მთავარია, მეტად თანაბრადაა დაკომპლექტებული. მახსოვს 1995-96 წლის მატჩები საქართველოსა და ისრაელს შორის. მას მერე თქვენთან ბევრი შეიცვალა და დღეს ძალიან გამოცდილი გუნდი გყავთ. გადავხედოთ შემადგენლობას, რომელშიც კალათბურთელთა უმეტესობა ევროპის წამყვან კლუბებში ირიცხება. ამიტომ ვამბობ, ამ გუნდში დიდ პოტენციალს ვხედავ-მეთქი.

● ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

ჩვენ უკან მთელი საქართველოა

ჰოლანდიური ტურნირის მსვლელობისას იქაურმა ჟურნალისტებმა **ზაზა ფაჩულიას** ინტერვიუ ჩაწერეს. აი, რა უთხრა ჩვენი ნაკრების კაპიტანმა ნიდერლანდელებს:

- საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემთვის ყოველთვის ბევრს ნიშნავდა და ახლაც ასეა. მით უმეტეს, წლეულს ქვეყნის ღირსების დაცვა ევროპის ჩემპიონატზე მომიწევს. შესაბამისად, ნაკრებთან ერთად ევრობასკეტისთვის სერიოზულად ვემზადები.

- რა სხვაობაა „ატლანტაში“ თამაშსა და ნაკრებში გამოსვლას შორის?

- სხვაობა ნამდვილად არის. ძალებს არც „ატლანტა ჰოქსში“ ვიშურებ. თუმცა საქართველოს ნაკრებში სხვა ფუნქცია მაქვს - გუნდის კაპიტანი ვარ და დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია. იმასაც ვაცნობიერებ, რომ ჩვენ უკან მთელი საქართველოა. თითოეული კალათბურთელი ცდილობს გუნდისთვის მაქსიმუმი გააკეთოს.

- ივლისში იყო ლაპარაკი, თითქოს „ბეშიქთაშში“ უნდა გადასულიყავი.

- ამ გუნდთან ჩემი აგენტი აწარმოებდა მოლაპარაკებებს. თითქოს ყველაფერზე შევთანხმდით, კონტრაქტის გაფორმებას დეტალები აკლდა, მაგრამ საბოლოოდ ტრანსფერი არ შედგა. გამოგიტყდებით, მოვლენების დაჩქარება არც მიცდია, რადგან ჯერაც NBA-ს გუნდს ვეკუთვნი და ამერიკაში ვაპირებ თამაშს. ატლანტა ჩემი სახლია და კონტრაქტის მიხედვით „ჰოქსში“ კიდევ ორი წელი მაქვს სათამაშო. „ბეშიქთაშში“ იმ შემთხვევაში ვითამაშებდი, თუ NBA-ში ლოკაუტი გამოცხადდებოდა. ახლა საკლუბო საკითხებზე ნაკლებად ვფიქრობ, რადგან საქართველოს ნაკრებთან ერთად ევრობასკეტისთვის ვემზადები.

- თუ ამერიკაში გაფიცვა, ნოემბრამდე გაგრძელდა, ევროპაში არ ითამაშებ?

- მქონდა წინადადებები სხვადასხვა კლუბიდან. თუმცა სადღეისოდ კონკრეტული არაფერია. თუ NBA-ში ლოკაუტი დიდი ხნით გაგრძელდა, ევროპაში სიამოვნებით დავრჩები. ადრეც ვთქვი, რომ უპირატესობას თურქულ კლუბებს მივანიჭებ, რადგან ამ ქვეყანაში არაერთი წელი ვითამაშე, ბევრი მეგობარი და გულშემატკივარი შევიძინე.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მეტოქეები

ვის დაუქნევს თავს მარტინ ჯონსონი

დაშავებული ლუის მუდი მოედნიდან გაჰყავთ

ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქემ, ინგლისის ეროვნულმა გუნდმა ორი ტესტ მატჩი გამართა. „პომები" ორივეჯერ უელსის ნაკრებს დაუპირისპირდნენ და მხოლოდ ერთხელ მოიგეს.

ამ ფაქტმა, ცხადია, ინგლისელ რაგბის ქომაგებსა და სპეციალისტებს ბევრი კითხვა გაუჩინა. ფაქტია, რომ **მარტინ ჯონსონის** სამწყსო, ისეთ იშტაზე ვერ არის, როგორზეც წლევანდელი ექვსი ერის გათამაშებისას იყო.

თუმცა, ამ ამბავმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. მსოფლიოს თასის დაწყებამდე თვეზე ნაკლები დარჩა, მაგრამ ეს საკმარისი დროა საიმისოდ, რომ ჯონსონმა გუნდი ახალ ზელანდიაში საუკეთესო სპორტულ ფორმაში წაიყვანოს. წინა მსოფლიოს თასის გათამაშებასთან პარალელებს თუ გავავლებთ, „პომებს" იქაც არავინ ელოდა ფინალში, მაგრამ გააღწია.

ყველაფერი, კი მაინც იმაზე იქნება დამოკიდებული, ჯონსონი მსოფლიოს თასისთვის არჩევანს რომელ მორაგბეებზე გააკეთებს. გასულ უქმეებზე გამართულმა შეხვედრამ უელსის ნაკრებთან მიგვახვედრა, რომ ინგლისელთა თავკაცს ახალ ზელანდიაში წასაყვანი ოცდაათეული უკვე შერჩეული ჰყავს. „პომებს" წინ კიდევ ერთი ტესტ მატჩი ელით ირლანდიის ნაკრებთან და ამის შემდეგ ჯონსონის ნააზრევში კორექტივები მხოლოდ ტრავმებმა შეიძლება შეიტანოს.

ინგლისელთა თავკაცმა გუნდიდან ხუთი მოთამაშე ათი დღის წინათ დაითხოვა. ახლა თავის მწარე ხვედრს კიდევ ათი ელოდება. მათ ვინაობას მხოლოდ 22 აგვისტოს შევიტყობთ. მანამდე კი შეგვიძლია, ჩვენი ვარაუდით, ინგლისელთა თითქმის იდეალური ნაკრები ჩამოვაყალიბოთ, რომელსაც ნებისმიერი ამოცანის წარმატებით გადაჭრა ხელეწიფება.

დავიწყოთ ბოლოდან. როგორც ჩანს, ვეტერან **მარკ კუეტოს** ფულბეკის პოზიციაზე კონკურენტი არ ჰყავს. თუ გაუმართლებს და არ დაშავდება, ის მეორე მსოფლიოს თასზე ითამაშებს. მისი დუბლიორი, ალბათ, **დელონ არმითიჯი** იქნება, რომელსაც გარემარბადაც შეუძლია თამაში.

ყველაზე დიდი კონკურენცია შუამარბის პოზიციზეა. საკმაოდ კარგად წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები და, დარწმუნებულნი ვართ, გუნდის შემადგენლობაში ადგილი დაიბევა ახალგაზრდა **მანუ ტუილაგიმ.** წარმოშობით სამოელ მორაგბეს კარგი შანსი აქვს მთელი ელვარებით გაიბრწყინოს და მსოფლიოს თასის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახდეს.

მისი პარტნიორობის ყველაზე რეალური კანდიდატია **მეთ ბანაჰანი**, თუმცა გამორიცხული არაა, მთავარ მოქმედ გმირთა შორის ვიხილოთ ბრიტანეთის სამეფო კარის სიძე **მაიკ თინდოლი, შონთაი ჰეპი** და **რიკი ფლატი.**

დიდი მიეთ-მოეთი არ სჭირდება იმის გარკვევას თუ ვინ იქნება „პომების" მგეზავი. **ჯონი ვილკინსონი** არაათუ ინგლისში, მსოფლიოშიც უკონკურენციოდაა, მით უფრო, თავის საუკეთესო ფორმის აღდგენას თუ მოახერხებს. ცნობილია მისი დუბლიორიც, ნაკლებად არაორდინალური, მაგრამ მეტ-ნაკლებად სანდო **ტობი ფლუდი.** ასეთივე სიტუაციაა გარემარბების პოზიციაზე. **კრის ეშტონი** და **ბენ ფოდენი,** დღესდღეობით საქართველოში საუკეთესოები არიან.

პრობლემამ იჩინა თავი ცხრა ნომრის პოზიციზეც. თუ **ბენ იანგსმა** გამოჯანმრთელება ვერ მოსაწრო, ინგლისის ნაკრებს დენ კერის იმედად მოუწევს დარჩენა. უელსთან მატჩში მესამე ცხრა ნომერმა **რიჩარდ ვაიგელსვორსმა** ჯონსონს იმედი გაუცრუა.

პირველ ხაზში მარტინ ჯონსონის დასაყრდენი ვეტერანი **ენდრიუ შერიდანია,** თუმცა ის ტრავმირებულია. ყველა პროგნოზით ენდრიუ გამოჯანმრთელებას მოასწრებს, მაგრამ როგორ ფორმაში იქნება სამსოფლიოთასოდ არავინ იცის. მისი შემცვლელი **ალექს კორბშიერაა,** ამავე პოზიციაზე სავსებით წარმატებით შეუძლია თამაში **დენ კოლს.**

ბევრად უკეთესი სიტუაციაა შერკინების კვაჭის პოზიციაზე, აქ **დილან ჰართლი, სტივ ტომსონი** და **ლი მეარსი** თითქმის თანაბარი კვალიფიკაციის მორაგბეები არიან.

აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს მეორე ხაზის შემადგენლობა. **კორტნი ლოუს, ტომ პელმერს, ლუის დიკონს** და **საიმონ შოუს** ნებისმიერ მეტოქესთან გამკლავება შეუძლიათ. ამ ოთხეულს კონკურენციას სამხრეთაფრიკული წარმოშობის მეორეხაზელი **მორის ბოთა** უწევდა, მაგრამ, სავარაუდოდ, შინ დარჩენა სწორედ მას მოუწევს.

ინგლისელ ქომაგთა სამწუხაროდ უელსელებთან პირველ შეხვედრაში ისევ დაშავდა გუნდის ლიდერი და კაპიტანი **ლუის მუდი.** მას მუხლი ქრონიკულად აწუხებს. ჯონსონი ახალ ზელანდიაში მას ყველა შემთხვევაში იახლებს. მესამე ხაზში მუდისთან ერთად მსოფლიოს თასზე გამგზავრების კარგი შანსი აქვთ, **ტომ კროფტს, ნიკ ისთერს, ჯეიმზ ჰესკელს** და **ტომ ვუდს.**

ინგლისი

საპარაჯოდ იცდაპირელი

I ხაზი: ენდრიუ შერიდანი, დენ კოლი, მეთ სტივენსი, ელქს კორბიშერო, დევიდ ვილსონი, დილან ჰარტლი, სტივ თომსონი, ლი მეარსი.

II ხაზი: კორტნი ლოუ, ტომ პელმერი, ლუის დიკონი, საიმონ შოუ.

III ხაზი: ლუის მუდი, ტომ კროფტი, ნიკ ისთერი, ჯეიმზ ჰესკელი, ტომ ვუდი.

N:9: ბენ იანგზი, დენ კერი

N:10: ჯონი ვილკინსონი, ტობი ფლუდი

N:12-13: შოთაი ჰეპი, მაიკ თინდოლი, მანუ ტუილაგი, მეთ ბანაჰანი, რიკი ფლატი.

N:11-14: კრის ეშტონი, ბენ ფოდენი

N:15: მარკ კუეტო, დელონ არმითიჯი

უკვე დაითხოვეს

ჯო ვორსლი, ჯორჯ ჩატერი, ტომას ვალდრომი, დევიდ სტრიტლი, ჯეიმზ სიმპსონ-დენიელი.

საპარაჯოდ დაითხოვენ

მორის ბოთა, პოლ დურან-ჯოუნზი, ჰენრი ფური, ტიმ პაინი, კრის რობშო, ჩარლი ჰოჯსონი, უგო მუნი, კრის შეპლისი, ჯო სიმსპონი, რიჩარდ ვაიგელსვორსი.


მარტინ ჯონსონი

● ისტორია

ბენ კოენი

ახალი ბიჭუნა დიდების კარიბჭესთან

მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. გუნდები ახალ ზელანდიაში ღირსეულად საასპარეზოდ გამალებით ემზადებიან. თითქმის ყველა მათგანი საწვრთნელ შეხვედრებს მართავს. ბოლო ორი უქმეებზე ორჯერ ითამაშა საქართველოს ნაკრების მეტოქემ ინგლისის ეროვნულმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც ახალი ამომავალი ვარსკვლავი **მანუ ტუილაგი** გამოჩნდა. ის ერთადერთი თინეიჯერი არ არის , რომელიც ინგლისურმა რაგბიმ აღზარდა. მოდით, გავიხსენოთ რამდენიმე მათგანი.

ბენ კოენი (ინგლისი-ირლანდია 50:18)

2000 წლის 5 თებერვალი

მისი დებიუტი ინგლისის ნაკრებში ექვსი ერის გათამაშებაში 2000 წელს ირლანდიის ნაკრებთან მატჩში შედგა. ბენ კოენთან ერთად პირველად მოირგეს „პომების" კვართები **იან ბოლშომ** და **მაიკ თინდოლმა.** ინგლისელებმა შესანიშნავად ითამაშეს და „სამყურები" დიდი ანგარიშით დაამარცხეს - 50:18. კოენმა ორი ლელო გაიტანა.

მას შემეგ ამ სამეულს ბრნყინვალე კარიერა ჰქონდა. თუმცა, როგორც ჩანს, თინდოლი მას ისევ განაგრძობს და ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასს უმიზნებს. კოენმა კი ბოლოს ეროვნულ ნაკრებში 2006 წელს სამხრეთ აფრიკაში ითამაშა.

მან ბოლო ორი სეზონი „ნორჰემპტონში" გაატარა და ახლახან რაგბიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ბენ კოენი ამჟამად სპორტში ჰომოფობიის პრობლემაზე მუშაობს.

მარკ კუეტო (ინგლისი-კანადა 70:0)

2004 წლის 13 ნოემბერი

მარკ კუეტომ, რომელმაც ფაქტობრივად გაინაღდა წლეულს ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე თამაში, ეროვნული ნაკრების კვართი პირველად 2004 წელს კანადის ნაკრებთან მატჩში მოირგო. „პომებმა" მეტოქე 70:0 გაანადგურეს. კუეტომ ორი ლელო მიითვალა. იმ შეხვედრაში ჰეთ თრიკი შესრულა **ჯეისონ რობინსონმა.**

კუეტოსთან ერთად ინგლისის ნაკრებში დებიუტი კიდევ სამ მორაგბეს, **ენდრიუ შერიდანს, ენდი ჰეიზელს** და **ჰიუ ვივიანს** ჰქონდა. მარკმა დღემდე ეროვნულ გუნდში 52 კეპი მოიხვეჭა. 2007 წლის მსოფლიოს თასის ფინალში კი ინგლისის ნაკრებს „ვებ ელისის" თასი მოაგებინა. მის მიერ გატანილი ლელო ვიდე რეფერიმ, **სტიუარტ დიკინსონმა** არ ჩათვალა.

ჩარლი ჰოჯსონი (ინგლისი-რუმინეთი 134:0)

2001 წლის 17 ნოემბერი

„სარასენზის" მგეზავი ეროვნულ ნაკრებში პირველად 2001 წელს, რუმინეთის ნაკრებთან მატჩში გამოჩნდა. ინგლისელებმა .მაშინ ჩვენთვის კარგად ნაცნობი რუმიენთის ნაკრებისგან აღარაფერი დატოვეს - 134:0. ჰოჯსონმა შეხვედრაში ორი ლელო გაიტანა. ჯეისონ რობინსონი კი ოთხი ლელოს ავტორი შეიქნა. სამ-სამჯერ გადაკვეთეს „სტეუარის" ჩათვლის მოედნის ხაზი **დენ ლუგარმა** და ბენ კოენმა.

ჰოჯსონი 2008 წელს ახალ ზელანდიასთან მატჩში მძიმედ დაშავდა, რის შემდეგაც კრიტიკოსებმა ერთხმად დასჭექეს, რომ მას დაცვაში თამაშში დიდი პრობლემები აქვს. ამჟამად ჰოჯსონი ინგლისის ნაკრების საწვრთნელ ბანაკში იმყოფება და ახალ ზელანდიაში მოხვედრისთვის **ჯონი ვილკინსონსა** და **ტობი ფლუდს** ეჯიბრება.

დინ რიჩარდსი (ინგლისი-ირლანდია 25:20)

1986 წლის 1 მარტი

ის მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო უკანახაზელადაა მიჩნეული. **დინ რიჩარდსმა** 1986 წელს ირლანდიის ნაკრებთან სადებიუტო მატჩში ორი ლელო გაიტანა და „პომებს" უმძიმეს ბრძოლაში მოაგებინა. მიუხედავად იმისა, რომ მან უამრავი ტიტული მოირგო როგორც კლუბში, ისე ინგლისის ნაკრებსა და ბრიტანელ ლომებში, პოპულარობა ცუდი საქციელითაც მოიპოვა.

1988 წელს შოტლანდიის ნაკრებთან მატჩში ისე ბინძურად ითამაშა, რომ სამწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. რაგბის თამაშს რომ თავი დაანება, რიჩარდსმა ხელი მწვრთნელობას მიჰყო და ამ ასპარეზზეც შესანიშნავად წარმოაჩინა თავისი უბადლო ნიჭი.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. ტურნირები

სერენა საბოლოოდ დაბრუნდა

სენსაცია არ მოხდა ტორონტოს სუპერტურნირის ფინალში. ახლა უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ **სერენა უილიამსი** სრულფასოვნად დაუბრუნდა ტურს და მოახლოებული ამერიკის ღიას მთავარი ფავორიტი იქნება.

ამერიკელს ფინალში მეტოქედ **სამანტა სტოსური** ჰყავდა, რომელიც საკმაოდ სუსტ სეზონს ატარებს. ტორონტომდე ავსტრალიელს ერთადერთი წარმატება რომში ჰქონდა, სადაც როლან გაროსის მომავალ ფინალისტებს - **ფრანჩესკა სკიავონესა** და **ნა ლის** გაუსწორდა და ტიტულისთვის მატჩი რუს **მარია შარაპოვას** დაუთმო. სხვათა შორის ამ ტურნირზე სტოსურმა ისევ მოუგო ნა ლის, ნახევარფინალში კი სამ სეტში აჯობა **აგნიეშკა რადვანსკას.**

საინტერესოა, რომ სერენასა და სამანტას შორის ბოლო მატჩი ავსტრალიელის გამარჯვებით დასრულდა - ეს მოხდა 2010 წლის როლან გაროსის მეოთხედფინალში. იმ დრამატულ მატჩში უილიამსს მატჩბოლიც ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ სტოსურმა გამარჯვება მოიპოვა და შემდეგ ფინალშიც გავიდა. მაგრამ ეს მოხდა გრუნტზე, თანაც ავსტრალიელი იმ დროს კარგ ფორმაში იყო.

ამ ფინალში კი სტოსურის მხოლოდ ერთი იარაღი მუშაობდა - მოწოდება. საწყის გეიმებში ორივე ჩოგბურთელი კარგად აწვდიდა და დამაჯერებლად იღებდა საკუთარ მოწოდებას - საქმე „თანაბარ ანგარიშამდეც" არ მიდიოდა. თითქოს ასეთი სიტუაცია ტაი-ბრეიკამდე უნდა შენარჩუნებულიყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში სერენამ მიღებისას მოუმატა თამაშს და ბრეიკი გააკეთა, რის შემდეგაც სეტზე ჩაანოდა - 6:4.

მეორე სეტში კი უილიამსმა თავიდანვე დააწესა თამაშზე კონტროლი. პირველივე გეიმში ბრეიკის გაკეთების შემდეგ მან საკუთარ თავს მოდუნების უფლება არ მისცა და მალე ანგარიში 5:1 გახდა. მართალია, სერენას მოწოდებაზე სტოსურმა შეძლო ერთი ბრეიკ-პოინტის მოპოვება, მაგრამ მისი გამოყენება ვერ შეძლო და მატჩში მეოთხე ეისით უილიამსმა წერტილი დაუსვა შეხვედრას.

„ძალიან გახარებული ვარ! ვერ ვიფიქრებდი, რომ დაბრუნებისთანავე ასე კარგად შევძლებდი თამაშს. ბედნიერად ვგრძნობ თავს იმით, რომ ისევ ვთამაშობ და ისევ ვიმარჯვებ. ეს შესანიშნავია. გამოგიტყდებით, რომ სწორედ ამ ტურნირის მოგება მინდოდა", - განაცხადა სერენამ დაჯილდოების ცერემონიის დროს.

ამ გამარჯვების წყალობით ამერიკელი 31-ე ადგილზე აინაცვლებს რეიტინგში, რითაც განთესვის ნომერს მიიღებს ამერიკის ღია პირველობისთვის. შეგახსენებთ, „დიდი სლემის" რიგით მეოთხე ტურნირზე განთესილებს ცინცინატის ტურნირის შემდეგ არსებული რეიტინგის მიხედვით დაასახელებენ. ეს შეჯიბრება გუშინ დაიწყო და თითქმის დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ სტოსური და უილიამსი იქ მეორე წრეში შეხვდებიან ერთმანეთს.

სერენა უილიამსი მთავარი პრიზით

WTA

Rogers Cup

ტორონტო (კანადა). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 2 050 000 დოლარი

ფინალი

სერენა უილიამსი (აშშ)-სამანტა სტოსური (ავსტრა, 10) 6:4, 6:2.

ყვირილს აიკრძალებს?

ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტმა **სტეისი ალასტერმა** ტორონტოში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ აპირებს კორტზე ყვირილი აუკრძალოს ჩოგბურთელებს. ამისთვის მას გულშემატკივართა პოზიცია აინტერესებს.

„ჩვენს ორგანიზაციაში მოქმედებს თამაშის შეფერხების შესახებ წესი. სინამდვილეში, ჩოგბურთელები არ მოდიან ჩემთან და არ წუწუნებენ იმის გამო, რომ მეტოქის ყვირილი თამაშში ხელს უშლით. მაგრამ ჩვენ გულშემატკივრებზე გვაქვს სწორება. თუ ისინი იტყვიან, რომ ჩოგბურთელთა შეძახილები მათთვის პრობლემას წარმოადგენს, ჩვენ ვიზრუნებთ სიტუაციის გამოსწორებისთვის", - ამბობს ალასტერი.

ცნობილია, რომ ქალთა ტურში ყველაზე ხმაურიანი ჩოგბურთელები არიან რუსი **მარია შარაპოვა** და ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა**. მათ ბევრით არ ჩამოუვარდება ამერიკელი **სერენა უილიამსი.**

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცინცინატი

კაცების ბადე

1/32	1/16	1/8	1/4	1/2	ფ
ჯოკოვიჩი (სერ, 1)	ჯოკოვიჩი (სერ, 1)				
ჰარისონი (აშშ)					
ჩელა (არგ)					
შტეპანეკი (ჩეხ)					
ისნერი (აშშ)					
გოლუბევი (ყაზ)					
ვავრინკა (შვეიც, 16)					
როდიკი (აშშ, 11)					
კოლშრაიბერი (გერ)					
ფერერო (ესპ)					
ფ. ლოპესი (ესპ)					
დოდიგი (ხორ)					
გულბისი (ლატ)					
მონფილსი (საფ, 6)	მონფილსი (საფ, 6)				
ფედერერი (შვეიც, 3)	ფედერერი (შვეიც, 3)				
დელ პოტრო (არგ)					
სეპი (იტა)					
ბაღდატისი (კვიპ)					
ბლეიკი (აშშ)					
ფონინი (იტა)					
ტროიცკი (სერ, 14)					
ალმაგრო (ესპ, 9)					
მონტანიესი (ესპ)					
კარლოვიჩი (ხორ)					
ფ. მაიერი (გერ)					
ჰაასი (გერ)					
მონაკო (არგ)					
ბერდიხი (ჩეხ, 6)	ბერდიხი (ჩეხ, 6)				
ფერერი (ესპ, 5)	ფერერი (ესპ, 5)				
ილჰანი (თურ)					
დიმიტროვი (ბულ)					
ტიფსარევიჩი (სერ)					
როჟე-ვასელენი (საფ)					
მელცერი (ავსტრია)					
სიმონი (საფ, 10)					
ცონგა (საფ, 15)					
ჩილიჩი (ხორ)					
ბოგომოლოვი (აშშ)					
ჯინეპრი (აშშ)					
ნიშიკორი (იაპ)					
ნალბანდიანი (არგ)					
მიურეი (ბრიტ, 4)	მიურეი (ბრიტ, 4)				
ფიში (აშშ, 7)	ფიში (აშშ, 7)				
დავიდენკო (რუს)					
სტახოვსკი (უკრ)					
მალისე (ბელ)					
ანდერსონი (ს. აფრ)					
დოლგოპოლოვი (უკრ)					
გასკე (საფ, 12)					
იუჟნი (რუს, 13)					
ლოდრა (საფ)					
ბელუჩი (ბრა)					
ვერდასკო (ესპ)					
გარსია ლოპესი (ესპ)					
ბენეტო (საფ)					
ნადალი (ესპ, 2)	ნადალი (ესპ, 2)				

ATP

ცინცინატი, აშშ
14.08.2011 - 21.08.2011
სტადიონი: ლინდერ ფემილი ტენის სენტერი
საფარი: ჰარდი (ღია კორტი)
საპრიზო ფონდი: $2 430 000
მონაწილეთა რიცხვი: 56

WTA

ცინცინატი, აშშ
15.08.2011 - 21.08.2011
სტადიონი: ლინდერ ფემილი ტენის სენტერი
საფარი: ჰარდი (ღია კორტი)
საპრიზო ფონდი: $2 050 000
მონაწილეთა რიცხვი: 54



ქალების ბადე

ფ	1/2	1/4	1/8	1/16	1/32
				ვოზნიაცკი (დან, 1)	ვოზნიაცკი (დან, 1)
					მაკჰეილი (აშშ)
					პირონკოვა (ბულ)
					ვინჩი (იტა)
					პეტროვა (რუს)
					გლეტჩი (აშშ)
					ივანოვიჩი (სერ, 15)
					პეტკოვიჩი (გერ, 9)
					გაიდოშოვა (ავსტრა)
					დატე (იაპ)
					ნიკულესკუ (რუმ)
					მარინო (კან)
					სხეპერსი (ს. აფრ)
				კვიტოვა (ჩეხ, 6)	კვიტოვა (ჩეხ, 6)
				აზარენკა (ბლრ, 3)	აზარენკა (ბლრ, 3)
					ლისიცკი (გერ)
					პეერი (ისრ)
					სტივენსი (აშშ)
					ერანი (იტა)
					დულკო (არგ)
					პენგი (ჩინ, 16)
					იანკოვიჩი (სერ, 13)
					ბენეშოვა (ჩეხ)
					გორჯესი (გერ)
					ჟენგი (ჩინ)
					კირილენკო (რუს)
				სკიავონე (იტა, 7)	სკიავონე (იტა, 7)
				ნა ლი (ჩინ, 5)	ნა ლი (ჩინ, 5)
					საფაროვა (ჩეხ)
					ზაკოპალოვა (ჩეხ)
					ჰრადეცკა (ჩეხ)
					ს. უილიამსი (აშშ)
					სტოსური (ავსტრა, 10)
					კუზნეცოვა (რუს, 14)
					კრეიბასი (აშშ)
					ჩეტკოვსკა (ჩეხ)
					მედინა გარიგესი (ესპ)
					როდიონოვა (ავსტრა)
					ჰერცოგი (სლოვენ)
				შარაპოვა (რუს, 4)	შარაპოვა (რუს, 4)
				ბარტოლი (საფ, 8)	ბარტოლი (საფ, 8)
					მორიტა (იაპ)
					ა. ბონდარენკო (უკრ)
					ჰანტუხოვა (სლოვაკ)
					დომინგეს ლინო (ესპ)
					პენეტა (იტა)
					პავლიუჩენკოვა (რუს, 12)
					ვიკმაიერი (ბელ, 17)
					იოვანოვსკი (სერ)
					ვესნინა (რუს)
					მარტიჩი (ხორ)
					მარტინეს სანჩესი (ესპ)
					მაკაროვა (რუს)
				ზვონარევა (რუს, 2)	ზვონარევა (რუს, 2)

ჩოგბურთი. ტურნირები

ნოვაკის ახალი რეკორდი

ნოლეს მეცხრე ტიტული

ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ მონრეალის მასტერსის ფინალში ამერიკელი **მარდი ფიში** შეძლებდა სეზონის ლიდერისთვის **ნოვაკ ჯოკოვიჩისთვის** წინააღმდეგობის გაწევას და მით უმეტეს, მის დამარცხებას. ფიშისთვის ეს იყო ამ კატეგორიის ტურნირების ფინალში მეოთხე მონაწილეობა - ორჯერ ცინცინატიში ითამაშა გადამწყვეტ მატჩში, ერთხელ ინდიან უელსში, თანაც იქ სწორედ ჯოკოვიჩთან დამარცხდა. საერთოდ, ეს ჩოგბურთელები ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ყოველთვის გამარჯვებული სერბი რჩებოდა, თანაც ამ ექვს მატჩში ფიშმა მხოლოდ სამი სეტის აღება მოახერხა. ეს სტატისტიკაც არანაირ შანსს არ უტოვებდა ამერიკელს.

ცნობისთვის, ნოვაკი გამარჯვების შემთხვევაში რეკორდს ამყარებდა - აქამდე არც ერთ ჩოგბურთელს არ მოუგია სეზონში ოთხზე მეტი მასტერსი. წინა ოთხ შემთხვევაში მან ფინალში **რაფაელ ნადალი** დაამარცხა, მონტე კარლოში კი არ უთამაშია.

ტურნირის მსვლელობისას ჯოკოვიჩი თანდათან უმატებდა თამაშს. **ნიკოლაი დავიდენკოსთან** არცთუ ისე დამაჯერებელი გამოსვლის შემდეგ, სერბმა გაცილებით უკეთესი დონე აჩვენა **გაელ მონფილსისა** და **ჟო-ვილფრიდ ცონგას** წინააღმდეგ. მაგრამ ფინალში ნოვაკმა ისევ სუსტად დაიწყო და ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა. პირველ გეიმებში ფიშმა ხუთი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა. რა თქმა უნდა, ამან ამერიკელის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ცუდად იმოქმედა და ნოვაკმა ბოძებული შანსი კარგად გამოიყენა. მეექვსე გეიმში მან ბრეიკი გააკეთა და ამ მომენტიდან სეტის ბოლომდე მხოლოდ ერთი ქულა დაუთმო მეტოქეს - 6:2.

მაგრამ ბრძოლა ამით არ დასრულებულა, პირიქით, ყველაფერი მხოლოდ ახლა იწყებოდა. ფიში კარგად განეწყო მეორე სეტისთვის და ისევ შეტევაზე გადავიდა. თუმცა მარდიმ ისევ გაუშვა ხელიდან მეტოქის გეიმის აღების რამდენიმე შანსი. მაგრამ ამჯერად ფიში არ გატყდა და მაინც მოახერხა ბრეიკის აღება, რის შემდეგაც კიდევ უფრო დამაჯერებლად ათამაშდა და ისიც კი შეძლო, რომ პარტია „მშრალი" ანგარიშით მოგებული ბრეიკით დაასრულა.

გადამწყვეტ სეტში ნოვაკმა გააქტიურება და თამაშზე კონტროლის დანესება შეძლო. თუმცა პარტიაში ერთადერთი ბრეიკი მან მეტოქის შეცდომების ხარჯზე აიღო. მატჩზე ჩაწოდებისას განიავებულ სამმაგ მატჩბოლს თუ არ ჩავთვლით, სერბმა მთელი სეტი დამაჯერებლად ჩაატარა და ფიშს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მისცა, რითაც სეზონში მეცხრე ტიტული მოიპოვა.

ასე რომ, ჯოკოვიჩმა კიდევ უფრო გაზარდა რეიტინგში კონკურენტებთან უპირატესობა, რადგან შარშან აქ ნოვაკმა ნახევარფინალში შეწყვიტა ბრძოლა. ფიში კი მისთვის სარეკორდო მეშვიდე ადგილამდე აიწევს კლასიფიკაციაში.

ATP

Rogers Cup

მონრეალი (კანადა). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 398 250 ევრო

ფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)-მარდი ფიში (აშშ, 6) 6:2, 3:6, 6:4.

რორი და კარო ერთად არიან

კარო და რორი ვარჯიშის შემდეგ

როგორც უკვე ვნერდით, ცნობილმა ჩრდილოირლანდიელმა გოლფისტმა **რორი მაკილროიმ** ტრავმის გამო ნაადრევად შეწყვიტა ატლანტაში გამართული ტურნირი - PGA Championship, რის შემდეგაც ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონი ცინცინატიში გაემგზავრა, სადაც მორიგი ტურნირისთვის ემზადება მისი მეგობარი, მსოფლიოს პირველი ჩოგანი **კაროლინ ვოზნიაცკი**.

ჟურნალისტები დანიელი ჩოგბურთელის ვარჯიშს ადევნებდნენ თვალს, როცა კორტის მიღმა მჯდომი მაკილროი შეამჩნიეს, რომელიც კაროლინის მოქმედებას აკვირდებოდა. გოლფისტი ცდილობდა გულგრილი გამომეტყველება ჰქონოდა და გარშემო მყოფთ თავს ისე აჩვენებდა, თითქოს საკუთარი მობილური ტელეფონით იყო გართული. მაგრამ ვარჯიშის შემდეგ ფოტოგრაფებმა შეძლეს რორისა და კაროლინის დაფიქსირება, რომლებიც ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ მაკილროისა და ვოზნიაცკის ურთიერთობა მას შემდეგ დაიწყო, რაც გოლფისტმა ჩოგბურთელს დაბადების დღე მიულოცა, რის შემდეგაც კარო და რორი ერთად დააფიქსირეს ლონდონის ერთ-ერთ ბარში. თუმცა ვოზნიაცკი დღემდე ამტკიცებს, რომ მას არანაირი ურთიერთობა არ აქვს მაკილროისთან.

ჰოკეი

კროსბი სტარტს გაამოტოვებს?

„პიტსბურგ პინგვინზის" კაპიტანი **სიდნი კროსბი** კვლავაც აღდგენით პროცესს გადის. კანადური ჰოკეის მთავარმა ვარსკვლავმა ჯერ კიდევ იანვარში მიიღო ტვინის შერყევა, მაგრამ დღემდე ვერ მოიცილა ტკივილის გამომწვევი სიმპტომები.

არადა, ბოლო ინფორმაციების თანახმად, თავდამსხმელის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა და ის კლუბის მეორე ვარსკვლავთან **ევგენი მალკინთან** ერთად შეძლებდა საწვრთნელ ბანაკში მონაწილეობის მიღებას. მაგრამ გუშინ ერთ-ერთმა კანადურმა რადიომ გამოაცხადა, რომ კროსბის ახალი სეზონის სტარტის გამოტოვება მოუწევს.



სიდნი კროსბი

რადიოს ჟურნალისტს ერთბაშად სამმა წყარომ აცნობა, რომ კროსბი ისევ ცუდად გრძნობს თავს და უახლოეს პერიოდში ყინულზე ვერ დაბრუნდება. გარდა ამისა, ჰოკეის ექსპერტები გაკვირვებულნი არიან - რატომ ვერ ახერხებს ჰოკეისტი რვა თვის განმავლობაში მომჯობინებას და რატომ იტყობინება „პიტსბურგის" პრესსამსახური, რომ სიდნის მდგომარეობა ყოველდღიურად უმჯობესდება.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ „პიტსბურგის" გენერალური მენეჯერი **რეი შერო** ოფიციალური განცხადებით გამოვიდა კროსბითან დაკავშირებით.

„დიახ, სიდს კიდევ დარჩა ტვინის შერყევის გარკვეული სიმპტომები, მაგრამ ეს ნორმალურია ასეთი ტიპის ტრავმისთვის", - მიაჩნია შეროს.

ამასთან, გენერალური მენეჯერი უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ კროსბის მოუწევს სეზონის სტარტის გამოტოვება. ჰოკეისტს საწვრთნელი ბანაკის დაწყებამდე კიდევ ერთი თვე აქვს რეაბილიტაციისთვის.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

ბოჰემიანსი-ევერტონი	1:1
სარაგოსა-ესპანიოლი	1:1

ინგლისი

მანჩესტერ სიტი-სუონსი	4:0

გერმანია

II ბუნდესლიგა

აინტრახტი-ფორტუნა	1:1

საფრანგეთი

II დივიზიონი

მონაკო-რეიმსი	1:2

პოლანდია

ნიიმეგენი-ექსელსიორი	2:0

II დივიზიონი

ტელსტარი-დენ ბოში	0:0

პორტუგალია

ლეირია-აკადემიკა	1:2

დანია

სილკეგორგი-ორჰუსი	1:1

ნორვეგია

II დივიზიონი

ბრინი-ჰამ კამი	0:3

შვეიცარია

ელფსბორგი-ბიოტეგორგი	3:2
ნორჩოპინგი-აიკ	0:1

II დივიზიონი

ბრაგე-ჰამარბიუ	0:0
ბრუმაპიოკარნა-ვარნამო	1:3
ლანდსკრონა-ოსტერი	1:0
კვიდინგი-ანგელჰოლმი	1:3

ფინეთი

ჰონკა-ვაასა	1:1
ინტერი-მარიეჰამნი	2:0
იუვიასკიულა-იარო	3:3
როვანიემი-კუოპიო	1:1

II დივიზიონი

ლაჰტი-ჰოპა	4:0

ირლანდია

ბრეიდაგლიკი-ვესტმანაიეარი	1:2
კეფლავიკი-გრინდავიკი	1:2
სტიარნანი-ფრამი	2:2
ვალური-ფილკირი	3:1
ვიკინგური-ჰაფნარი	1:3

ჩელენჯლიგა

სტ. გალენი-ლუგანო	1:0

ჩეხეთი

იაბლონეცი-ბოჰემიანსი	5:0

უკრაინა

მეტალურგი-ტავრია	1:3

პოლონეთი

ბელხატოვი-ლეხი	0:3

რუმინეთი

ვოინტა-ტარგუ	1:1
ბრაშოვი-სპორტული	1:0

ბელარუსი

შახტიორი-დინამო (მნ)	1:3

არგენტინა

ატ. რაფაელა-არსენალი	1:3
ველეზი-ბანფილდი	3:0

კალათბურთი

ევროგასკეტი 2011

საკვალიფიკაციო

ფინეთი-პორტუგალია	68:56

ამხანაგური მატჩები

ესპანეთი-ბულგარეთი	96:59

ჩოგბურთი

ATP. ცინცინატი

ტროიცკი-ფიონინი	4:6, 1:6
ვერდასკო-ბელუჩი	6:3, 7:6
დიმიტროვი-ილჰანი	6:3, 7:5
ბოგომოლოვი-ჯინეპრი	6:4, 6:3
ფ. ლოპესი-ფერერო	4:6, 6:3, 6:4
დოლგოპოლოვი-გასკე	1:6, 6:7
ნიშიკორი-ნალბანდიანი	4:6, 4:6

WTA. ცინცინატი

მორიტა-ა. ბონდარენკო	2:6, 6:4, 2:6
ერანი-სტივენსი	6:1, 7:5
ლისიცკი-პეერი	4:6, 6:7
საფაროვა-ზაკოპალოვა	6:2, 6:2
ჩეტკოვსკა-მედ. გარიგესი	2:6, 6:2, 6:2
მარინო-სხეპერსი	5:7, 2:6
როდიონოვა-ჰერხოგი	6:0, 6:0
მარტინეს სანჩესი-მაკაროვა	5:7, 3:6
გორვეზესი-ჟენგი	2:6, 6:1, 4:6
ვესნინა-მარტიჩი	6:3, 6:7, 0:6
პეტკოვიჩი-გაიდოშოვა	5:7, 7:6, 6:2

TV პროგრამა

16 აგვისტო. სამშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
12:00 პოლანდიის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
14:00 ამხანაგური მატჩი. მალმიო-მილანი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. II ტური. ოსერი-მარსელი.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი იუნ.
21:00 ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა
23:00 არგენტინის ჩემპიონატი. II ტური. ბოკა ხუნიორსი-უნიონი.
01:00 ესპანეთის სუპერთასი. I მატჩი. რეალი-ბარსელონა.
02:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. მანჩესტერი სიტი-სუონსი.
12:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. პლეი ოფი. მემფისი-ოკლაჰომა.
14:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. I წრე. ცინცინატი. აშშ.
18:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ. მიმოხილვა.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. II წრე. ცინცინატი. აშშ (LIVE).
01:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
01:30 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. პლეი ოფი. მემფისი-ოკლაჰომა.

I არხი

17:55 კალათბურთი. ამხანაგური მატჩი. საქართველო-ისრაელი (LIVE).
22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. პირველი მატჩი (LIVE).

რუსთავი 2

22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ლიონი-რუბინი. პირველი მატჩი (LIVE).

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

22:00 ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ლიონი-რუბინი. პირველი მატჩი (LIVE).

НТВ-პლუსი (ონლაინი)

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ტვენტე-ბენფიკა. პირველი მატჩი (LIVE).

НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

19:00 ATP-ის ტური. მასტერსი. II დღე. ცინცინატი. აშშ (LIVE).

SPORT+

22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. არსენალი-უდინეზე. პირველი მატჩი (LIVE).

EUROSPORT

19:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. ცინცინატი. აშშ (LIVE).

EUROSPORT-2

11:00 ფრენბურთი. უნივერსიადა. ჩინეთი (LIVE).
14:00 ცურვა. უნივერსიადა. III დღე. ჩინეთი (LIVE).
16:00 მძლეოსნობა. უნივერსიადა. ჩინეთი (LIVE).
16:30 ფრენბურთი. უნივერსიადა. ჩინეთი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. ტალანტების თასი. რუმინეთი (LIVE).
22:30 ფეხბურთი. ტალანტების თასი. რუმინეთი (LIVE).

კალათბურთი

რუდი რეალში ნავიდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ესპანელი ლეგიონერი **რუდი ფერნანდესი** სამშობლოში გააგრძელებს კარიერას - მცველი ოთხწლიანი კონტრაქტს გააფორმებს მადრიდის „რეალთან". ესპანური პრესის ინფორმაციით, ფერნანდესმა უკვე შეათანხმა „სამეფო კლუბთან" მომავალი ხელშეკრულების დეტალები.

კონტრაქტი ოთხწლიანი იქნება, მაგრამ თუ NBA-ში ლოკაუტი დასრულდა, რუდი მსოფლიოს უძლიერეს ლიგას დაუბრუნდება და იქ „დალასის" შემადგენლობაში ითამაშებს. ტექსასურმა კლუბმა ესპანელზე უფლება ამ ზაფხულს მოიპოვა.

2012-13 წლების სეზონში კი ფერნანდესი ნებისმიერ შემთხვევაში დაბრუნდება „რეალში". გარიგება ამ კვირის ბოლო უნდა გაფორმდეს და მისი მიხედვით რუდი სეზონში 3 მილიონ ევროს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ გასული სეზონი რუდიმ „პორტლენდში" გაატარა და საშუალოდ მატჩში 9.1 ქულას აგროვებდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

დიდი შემოსევა იწყება

დერონ უილიამსმა სამუშაო უკვე იშოვნა

თვენახევარი გავიდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ლოკაუტის გამოცხადების დღიდან, მაგრამ ამ დროის განმავლობაში კლუბების მფლობელებსა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის მოლაპარაკებებში არანაირი პროგრესი არ შეიმჩნევა და 2011-12 წლების სეზონის გაუქმების რისკი კიდევ უფრო იზრდება. შესაბამისად, იზრდება შანსი ევროპული კლუბებში ვიხილოთ NBA-ის ბევრი სუპერვარსკვლავი.

გასულ უქმეებზე NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** გამოაცხადა: *„თუ ლიგა და პროფკავშირი არ შეხვდებიან ერთმანეთს 5 სექტემბერამდე, როცა ჩვენთან „შრომის დღე“ აღინიშნება, სეზონის გაუქმების შანსი 100 პროცენტს მიუახლოვდება“.* აქ ლაპარაკი არ არის სეზონის ნაწილობრივ გაუქმებაზე, როგორც ეს 13 წლის წინ მოხდა, როცა ლოკაუტის გამო 1998-99 წლების სეზონი თებერვალში დაიწყო. ლაპარაკია რეგულარულის მთლიანად ჩაშლაზე.

მელასავით ცბიერი სტერნი ამჯერად არ თვალთმაქცობს. იმაზე, რომ რეგულარული ჩემპიონატი დათქმულ დროში (31 ოქტომბერი) დაიწყოს, ლაპარაკიც ზედმეტია. საქმე ისაა, რომ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების პირობების შეთანხმებას, როგორც წესი, ოთხი თვე სჭირდება. ამ სიტაუციაში კი ეს პროცესი კიდევ უფრო გაიწელება.

ამიტომაც მარტივი გამოთვლა შეიძლება. მოლაპარაკებათა ცალკეული რაუნდები დაახლოებით თვეში ერთხელ იმართება. თუ ის 5 სექტემბერს არ დაიწყო, საუკეთესო შემთხვევაში, 5 ოქტომბერს განახლდება. მივუმატოთ ამ თარიღს „მინიმალური“ ოთხი თვე და მივიღებთ 5 თებერვალს. როგორც ჩანს, ასეთი მკვეთრი განცხადებისას სტერნი სწორედ ამ ლოგიკას ეყრდნობოდა. და რთულია მას არ დაეთანხმო. თუ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე თებერვლის პირველ რიცხვებში მოაწერეს ხელი, რეგულარული ჩემპიონატის გამართვა ყოველგვარ აზრს დაკარგავს. 1999 წელს ის სწორედ 5 თებერვალს დაიწყო - 15 დღის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა ლიგამ და პროფკავშირმა ხელშეკრულება გააფორმეს. 82 მატჩის ნაცვლად თითოეულმა გუნდმა ჩემპიონატში 50 შეხვედრა ჩაატარა. საეჭვოა, რომ NBA-მ გარისკოს და მოისურვოს მატჩების რაოდენობის კიდევ 10-15-ით შემცირება.

ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ NBA-ის ასობით მოთამაშე, რომელთა ჯამური წლიური ხელფასი მილიარდ დოლარს აჭარბებს, 2011-12 წლებში სამუშაოსა და ჰონორარების გარეშე რჩება. მათთან ერთად ზარალდებიან თავისუფალი აგენტებიც, რომლებსაც დაგეგმილი ჰქონდათ ახალი კონტრაქტების გაფორმება. ახლა კი ფული და სათამაშო პრაქტიკა რომ არ დაკარგონ, ისინი აუცილებლად ევროპას მიაშურებენ.

■ ■ ■

არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ ამერიკელ ვარსკვლავებს არ უყვართ და ერთგვარად შიშით უყურებენ ევროპაში გამგზავრებას. მაგრამ ეს არ არის მართალი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ევროპაში გამოჩდნენ NBA-ის სუპერვარსკვლავები: **ბობ მაკადუ** (მილანი - 1986-90, ფორლი - 1990-92), **ჯორჯ გერვინი** (ვირტუსი - 1986/87, მანრესა - 1989/90), **მაიკლ კუპერი** (ვირტუსი - 1990/91), **ალექს ინგლიში** (ნაპოლი - 1991/92), **რეჯი ტიასი** (ვარეზე - 1991/92), **როლანდო ბლეკმენი** (აეკ - 1994/95, მილანი - 1995/96, ლიმოჟი - 1996/97), **ედი ჯონსონი** (ოლიმპიაკოსი - 1994/95), **ტომ ჩემბერსი** (მაკაბი - 1995/96), **დომინიკ უილკინსი** (პანათინაიკოსი - 1995/96, ფორტიტუდო - 1997/98) და **ბაირონ სკოტი** (პანათინაიკოსი - 1997/98)1

ესენი მართლაც გამორჩეულები იყვნენ (ცნობისთვის: მაკადუ NBA-ის სეზონის MVP იყო, გერვინი კი საერთო ლიგის ყველა დროის საუკეთესო 50 კალათბურთელს შორის შეიყვანეს). მაგრამ შესაძლებელია ნაკლებად რეკლამირებული ლეგიონერების დასახელება: **ვინი დელ ნეგრო, ჯო ბრაიანტი, ტერლ ბეილი, ჯონ სეილი, დერილ დოუკინსი, ქსავიე მაკდანიელი** ან **სკოტ სკაილზი**. ამ ორ აბზაცში ჩამოთვილი კალათბურთელები სიამოვნების ჩადიოდნენ ევროპაში კარიერის დასასრულებლად.

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დრაფტის შემდეგ იწყებდნენ ოკეანის აქეთ კარიერას. მათ შორის NBA-ის მომავალი ჩემპიონები: **ბილ ბრედლი** (მილანი - 1965/66), **ბილ ლემბირი** (ბრეშია - 1979/80), **კურტ რემბისი** (აეკ - 1980/81) და **ბრაიან შო** (ვირტუსი - 1989/90). აგრეთვე **ენტონი მეისონი** (ეფესი - 1988/89), **ანტონიო დევისი** (პანათინაიკოსი, 1990-92, მილანი - 1992-93) და **პი ჯეი ბრაუნი** (პანიონნიოსი - 1992-93).

აღარაფერს ვამბობთ **როი ტარპლისა** და **რეი „შუგარ“ რიჩარდსონზე**, რომლებმაც 90-იანი წლების დასაწყისში NBA ევროპაზე დოპინგთან დაკავშირებული პრობლემების გამო გაცვალეს. ასევე არ ვიღებთ სათვალავში **მეჯიქ ჯონსონს**, ვინც 1998 წელს რამდენიმე მატჩი ჩაატარა შვედური ქალაქის ბორასის გუნდში (მანამდე მისი მფლობელი გახდა).

მოკლედ, ამერიკელ ვარსკვლავებს ევროპული საკლუბო კალათბურთი დიდი ხანია ათვისებული აქვთ და არანაირი შიში არ აწუხებთ.

თანამედროვე ამერიკელი ვარსკვლავებისთვის, რომლებსაც არ ახსოვთ გერვინი და მაკადუ, ევროპული კალათბურთის ძლიერი რეკლამა გახდა გასულ შემოდგომაზე თვით **ალენ აივერსონის** „ბეშიქთაშში“ გადასვლა. ამერიკელმა სტამბოლში 2.5 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, თუმცა სეზონი ჩააგდო, რითაც თანამემამულეებს დაანახა: ევროპა არა მარტო ფული, არამედ კონკურენციის საკმაოდ მაღალი დონეცაა. ამით არის ის განსხვავებული ფინანსურად ასევე ძლიერ ჩინეთთან.

მოკლედ, თუ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სეზონი მართლაც გაუქმდა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ორი თვის შემდეგ, მაგალითად, **კევინ დურანტი** რომელიმე ევროპული კლუბის მაისურით ვიხილოთ. **დერონ უილიამსმა** კი უკვე გააფორმა კონტრაქტი „ბეშიქთაშთან“. NBA-ის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი, რომელიც სულ რაღაც 27 წლისაა, 2011-12 წლების სეზონში „ნიუ ჯერსიში“ 16.3 მილიონს გამოიმუშავებდა. სხვათა შორის დურანტს „ოკლაჰომაში“ ნაკლები ხელფასი აქვს და რატომ არ უნდა მიბაძოს მან დერონს?!

მოკლედ, როცა ყველა ბარიერი მოიხსნება, ევროპაში გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება NBA-ის ლეგიონერთა რაოდენობა, მანამდე კი სატრანსფერო ბაზარზე მდგომარეობა ასე გამოიყურება:

გაფორმებული კონტრაქტები

მოთამაშე	კლუბი	სტატუსი NBA-ში	ახალი კლუბი
დერ. უილიამსი	ნიუ ჯერსი	$16 359 805	ბეშიქთაში (თურ)
ფაჩულია	ატლანტა	$4 750 000	ბეშიქთაში (თურ)
პეკოვიჩი	მინესოტა	$4 320 000	პარტიზანი (სერ)
ფარმარი	ნიუ ჯერსი	$4 000 000	მაკაბი (თ-ა, ისრ)
მოზგოვი	დენვერი	$2 566 800	ხიმკი (რუს)
ილიასოვა	მილუოკი	$2 541 000	ეფესი (თურ)
ბატუმი	პორტლენდი	$1 796 140	ნანსი (საფ)
ბუკერი	ვაშინგტონი	$1 294 920	ბნეი ჰაშარონი (ისრ)
კრსტიჩი	ბოსტონი	თავ. აგენტი	ცსკა (რუს)
ძუინი	სან ანტონიო	თავ. აგენტი	ხიმკი (რუს)
ანდერსენი	ნიუ ორლეანი	თავ. აგენტი	მონტეპასკი (იტა)
არმსტრონგი	ატლანტა	თავ. აგენტი	ვილერბანი (საფ)
ვუიაჩიჩი	ნიუ ჯერსი	თავ. აგენტი	ეფესი (თურ)
ლიუ	გ. სტეიტი	თავ. აგენტი	პარტიზანი (სერ)
სამერსი	დეტროიტი	თავ. აგენტი	მონტეპასკი (იტა)
სონგაილა	ფილადელფია	თავ. აგენტი	გალათასარაი (თურ)
ტემპლი	შარლოტი	თავ. აგენტი	კაზალე (იტა)
უიმსი	ტორონტო	თავ. აგენტი	ჟალგირისი (ლიტ)
უეიფერი	ბოსტონი	თავ. აგენტი	კრემონა (იტა)
შაკური	ვაშინგტონი	თავ. აგენტი	პო ორტეზი (საფ)
დიგლერი	-	დრაფტი 2011	პანიონიოსი (საბ)
ლუიერი	-	დრაფტი 2011	სკაილაინერსი (ბერ)
მური	-	დრაფტი 2011	ბენეტონი (იტა)

მიმდინარეობს მოლაპარაკებები

მოთამაშე	კლუბი	სტატუსი NBA-ში	ახალი კლუბი
დურანტი	ოკლაჰომა	$13 604 000	ბეშიქთაში (თურ)
ოქური	იუტა	$10 890 000	ფენერბაჰჩე (თურ)
თურქოგლუ	ორლანდო	$10 600 000	ეფესი (თურ)
არტესტი	ლეიკერსი	$6 790 640	ჩეშირი (ინგ)
კლეიზა	ტორონტო	$4 605 000	ჟალგირისი (ლიტ)
ტურიაფი	ნიუ იორკი	$4 360 000	მაკაბი (ბ, ისრ)
გელინელი	ნიუ ორლეანი	$3 377 604	მონტეპასკი (იტა)
დულინგი	მილუოკი	$2 160 000	ეფესი (თურ)
დრაგიჩი	ჰიუსტონი	$2 108 000	ოლიმპია (სლოვენ)
სერაფინი	ვაშინგტონი	$1 680 360	შოლე (საფ)
კასპი	კლივლენდი	$1 341 960	მაკაბი (თ-ა, ისრ)
მილზი	პორტლენდი	$1 171 494	ეფესი (თურ)
კირილენკო	იუტა	თავ. აგენტი	სპარტაკი (რუს)
ე. პარკერი	კლივლენდი	თავ. აგენტი	მაკაბი (თ-ა, ისრ)
ფესენკო	იუტა	თავ. აგენტი	დნეპრი (უკრ)
ჯ. კროუფორდი	ატლანტა	თავ. აგენტი	ბეშიქთაში (თურ)
ი. ტომასი	ატლანტა	თავ. აგენტი	მურსია (ესპ)

განიხილავენ წინადადებებს

მოთამაშე	კლუბი	სტატუსი NBA-ში	ახალი კლუბი
ბრაიანტი	ლეიკერსი	$25 244 000	თურქეთი, იტალია, ესპანეთი
სტაუდმაიერი	ნიუ იორკი	$18 217 705	ისრაელი
მაგეტი	შარლოტი	$10 262 069	იტალია, თურქეთი, საბერძნეთი
არიზა	ნიუ ორლეანი	$6 790 640	ესპანეთი, სერბეთი
ფ. პიეტრუსი	ფინიქსი	$5 300 000	თურქეთი
გინუმი	ლეიკერსი	$3 500 000	ისრაელი
სეფოლოშა	ოკლაჰომა	$3 300 000	ესპანეთი
არიზა	ბოსტონი	თავ. აგენტი	იტალია
ბარეა	დალასი	თავ. აგენტი	ესპანეთი
რადმანოვიჩი	გ. სტეიტი	თავ. აგენტი	სერბეთი

● მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

ფავორიტი აშკარაა

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი „ჰონდას“ ტრიუმფით დასრულდა - პოდიუმის სამივე საფეხური ამ გუნდის წევრებმა დაიკავეს. ჩეხეთში გამართული რბოლის შემდეგ **კეისი სტოუნერმა** განიმტკიცა ლიდერობა საერთო ჩათვლაში, **ანდრეა დოვიციოზომ ხორხე ლორენსოსთან** ჩამორჩენა შეამცირა, **დანი პედროსამ** კი ბრნოს ტრასაზე კრახი განიცადა და **ვალენტინო როსის** წინ გასვლის საშუალება მისცა.

პოულის მფლობელი პედროსა იყო, მაგრამ მან სტარტი ლორენსოსთან წააგო, თავის მხრივ კი სტოუნერმა დოვიციოზო გაატარა. ასევე ვერ შეძლო მეექვსე პოზიციის შენარჩუნება როსიმ და მერვე ადგილზე დაეშვა.

მესამე წრეზე არ გაუმართლა დანი პედროსას, რომელიც მთელი უქმეები შესანიშნავ ტემპს აჩვენებდა და გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იყო. დანიმ გაუსწრო ლორენსოს და პირველი ადგილი დაიბრუნა, მაგრამ იქვე თავისი მოტოციკლი ვერ დაიმორჩილა და დაეცა. მაშინვე ლიდერი სტოუნერი გახდა, ვინც სწრაფად აუარა გვერდი დოვიციოზოსა და ლორენსოს.

მეხუთე წრეზე მოქმედ ჩემპიონ ლორენსოს დოვიციოზოს შეტევა გამოეპარა და მესამე პოზიციამდე ჩამოქვეითდა. ამასშობაში, კეისი უპირატესობას ზრდიდა. ოთხი წრის შემდეგ ლორენსოს კონტრშეტევა გამოუვიდა და მეორე ადგილი დაიბრუნა.

სტოუნერის პოზიციებს არაფერი ემუქრებოდა, სამაგიეროდ, საინტერესო ბრძოლა გაიმართა პოდიუმზე ადგილებისთვის: ხორხე ლორენსომ ვერ გაუძლო ზეწოლას, შეცდომა დაუშვა და დოვიციოზოსა და სიმონჩელის უკან აღმოჩნდა.

დარჩენილ დროში საინტერესო არაფერი მომხდარა. აღსანიშნავია მხოლოდ სტოუნერის მცირე შეცდომა ერთ-ერთ მოსახვევში, მაგრამ იმ მომენტისთვის ავსტრალიელს პელოტონზე დიდი უპირატესობა ჰქონდა და ამ შეფერხებას მის პოზიციაზე გავლენა არ მოუხდენია.

ჩეხეთის გრან-პრი

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა“) - 22 წრე; 2. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა“) - +6.532; 3. **მარკო სიმონჩელი** (იტა, „ჰონდა“) - +7.792; 4. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა“) - +8.513; 5. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა“) - +10.186; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი“) - +12.632; 7. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი“) - +23.037; 8. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, „იამაჰა“) - +24.189...

საერთო ჩათვლა

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი“) - 218 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა“) - 186; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა“) - 163; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, „იამაჰა“) - 118; 5. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა“) - 110; 6. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა“) - 109; 7. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი“) - 103; 8. **მარკო სიმონჩელი** (იტა, „ჰონდა“) - 76...

კეისი სტოუნერი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა